



ზუგდიდის

მუნიციპალიტეტის

პრიორიტეტების დოკუმენტი

2024-2027 წლები

I თავი
ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ
ისტორია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი სამეგრელო-ზემო სვანეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულია.

ზუგდიდის ტერიტორიაზე ნამოსახლარები დადასტურებულია ადრეული ბრინჯაოს ხანიდან (ძველი წელთაღრიცხვის მე-3 ათასწლეული) ანტიკური პერიოდის (ძვ. წელთაღრიცხვის VI, ახალი წელთაღრიცხვის IV სს) ჩათვლით.

წერილობით წყაროებში პირველად ზუგდიდი მოხსენიებულია გურია-სამეგრელოს ბრძოლასთან დაკავშირებით.

ისტორიული წყაროებით ზუგდიდი ადრეულ საბჭოთა პერიოდში იწოდებოდა „მაზრად“, 1930 წლიდან ზუგდიდი წარმოადგენს ზუგდიდის რაიონს, 1967-1990 წლებში დაყოფილი იყო ქ. ზუგდიდად და ზუგდიდის რაიონად, ხოლო 1990 წლიდან გაერთიანდა ზუგდიდის რაიონად. 2014-2017 წლებში ზუგდიდი იყო თვითმმართველი ქალაქი და მუნიციპალიტეტი, ხოლო 2017 წლიდან იწოდება მუნიციპალიტეტად.

გეოგრაფიული მდებარეობა და ფართობი

მუნიციპალიტეტის ტერიტორია მდებარეობს საქართველოს დასავლეთ ნაწილში. დასავლეთის საზღვარი არის შავი ზღვის სანაპირო (განმუხური - ანაკლია), ჩრდილო დასავლეთით ესაზღვრება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გალის ადმინისტრაციული ერთეული, ჩრდილო აღმოსავლეთით - წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, აღმოსავლეთით - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, სამხრეთით - ხობის მუნიციპალიტეტი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ფართობი შეადგენს 668 მ²-ს, მანძილი უახლოეს ნავსადგურამდე 60 კმ-ს, მანძილი შავ ზღვამდე (ანაკლის ადმინისტრაციული ერთეული) – 30 კმ, მანძილი უახლოეს აეროპორტამდე (ქუთაისი) – 80 კმ.

ქალაქი ზუგდიდი მდებარეობს დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში, ოდიშის დაბლობზე მდინარე ჩხოუშის ორივე ნაპირზე, ზღვის დონიდან 110 მეტრ სიმაღლეზე.

ზუგდიდს ხელსაყრელი სატრანსპორტო გეოგრაფიული მდებარეობა აქვს.

ქ. ზუგდიდი, სამეგრელო-ზემო სვანეთის ადმინისტრაციული ცენტრია.

მოსახლეობა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენს 101.8 ათასს, რაც საქართველოს მოსახლეობის - 2.7 %-ია, ხოლო რეგიონის მოსახლეობის - (316.2 ათასი) 32.2 %. რეგიონის 9 მუნიციპალიტეტიდან მოსახლეობის რიცხოვნებით პირველ ადგილზეა, ხოლო საქართველოს 67 მუნიციპალიტეტიდან მესამე ადგილზეა გორის და მარნეულის შემდეგ.

დევნილი მოსახლეობა შეადგენს 57.0 ათასს, მუნიციპალიტეტში 49 დასახლებული პუნქტია, მათ შორის 1 ქალაქი და 48 სოფელი.

მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 31010 პენსიონერი, 140 მრავალშვილიანი და 501 სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე (65 ათას ქულამდე) ოჯახი.

საჯარო დაწესებულებები

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს საგანმანათლებლო, კულტურული, სპორტული და ჯანდაცვის დაწესებულებები.

- 51 საჯარო სკოლა, მათ შორის 12 ქალაქად. საჯარო სკოლებში მოსწავლეთა კონტიგენტი შეადგენს 14681 მოსწავლეს;
- 63 სკოლამდელი დაწესებულება, მათ შორის 18 ქალაქად და 45 სოფლად;
- საბავშვო ბაღის ასაკის აღსაზრდელთა საერთო კონტიგენტი შეადგენს 4375-ს, მათ შორის ქალაქად 2212-ს, სოფლად 2163-ს;
- საბიბლიოთეკო ქსელი მოიცავს 31 ბიბლიოთეკას, მათ შორის ქალაქში ფუნქციონირებს ცენტრალური ბიბლიოთეკა და სამი საქალაქო ფილიალი, სოფლად კი 27 ფილიალი. წიგნადი ფონდი შეადგენს 190896- ს.

- სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრში, გაერთიანებულია საჭადრაკო სკოლა, სპორტული სკოლა, ჭიდაობის, საბრძოლო ხელოვნების და კომპლექსური სასპორტო სკოლები შესაბამისი ბაზებით. სპორტის 19 სახეობას ეუფლება 1700 მოსწავლე სპორტსმენი.
- ხელოვნებისა და კულტურის ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს მუსიკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლები, 9 ადგილობრივი მუზეუმი, საგამოფენო გალერეა, მოყვარულთა თეატრი.
- მოსწავლე ახალგაზრდობის განვითარების სასახლეში ფუნქციონირებს 27 სხვადასხვა წრე, სადაც გაერთიანებულია 817-მდე მოსწავლე.
- სახელოვნებო სკოლების გაერთიანება მოიცავს N1 სამუსიკო, N2 სამუსიკო, საგუნდო და სამხატვრო სკოლებს, მოსწავლეთა კონტიგენტი 450-ს აღემატება.
- შოთა მესხიას სახელობის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ხორციელდება 2 სამაგისტრო, 11 საბაკალავრო, 18 პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამა და ფუნქციონირებს 18 გადამზადების მოკლევადიანი კურსით. უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა რაოდენობა შეადგენს 935-ს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე 565-ს, გადამზადების კურსებს გადის 200.

ღირსშესანიშნაობები

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არაერთი კულტურის ობიექტი, დაწესებულება და ისტორიული ძეგლია, მათ შორისაა ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული კომპლექსი, რუხის ციხე, ჭაქვინჯის ციხე, კორცხელის ტაძარი, ცაიშის სამონასტრო კომპლექსი.

სოფლის მეურნეობა

აგროკლიმატური პირობები და გეოგრაფიული მდებარეობა მეტად ხელსაყრელია მრავალდარგოვანი და მაღალრენტაბელური სასოფლო-სამეურნეო წარმოების ისეთი დარგების განვითარებისათვის, როგორცაა მეთხილეობა, მესიმინდოობა, მეჩაიეობა, სუბტროპიკული კულტურების (ციტრუსები, დაფნა, ფეიხოა და სხვ.), ხეხილის, ერთწლიანი მარცვლეული და ბოსტნეული კულტურების წარმოება.

- მემცენარეობა: მრავალწლიანი კულტურების ფართობები ნარგავების მიხედვით იძლევა შემდეგ სურათს: ვენახი 425 ჰა, სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურები (დაფნა) - 1 808 ჰა, ხეხილი - 708 ჰა, ციტრუსი - 775 ჰა, კაკლოვანი კულტურები - 15638 ჰა და კენკრა - 8 ჰა;
- მეცხოველეობა: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავებულია მეცხოველეობით. მათ საკუთრებაშია 44702 სული მსხვილფეხა პირუტყვი, 5300 ღორი, 3000-მდე თხა და ცხვარი, ასევე 250800 ფრთა ფრინველი, საწარმოო მნიშვნელობა ძირითადად მსხვილფეხა პირუტყვს აქვს. მუნიციპალიტეტის ფერმერული მეურნეობებიდან 79 ორიენტირებულია მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებაზე (ყველი, ხორცი). პროდუქციის რეალიზაცია ძირითადად ზუგდიდის ბაზარზე ხდება, რომელიც საკვანძო ბაზარს წარმოადგენს ოკუპირებული აფხაზეთის მოსახლეობისათვის;
- მეფუტკრეობა: მუნიციპალიტეტი მდიდარია თადლოვანი ყვავილების რესურსით. ეს უკანასკნელი მეფუტკრეობის განვითარებისათვის ხელშემწყობ პირობებს ქმნის. სულ მუნიციპალიტეტში 7518 სკა ფუტკარია, რომელიც ძირითადად განაწილებულია 130-მდე ფერმერულ მეურნეობაში;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 105 თევზსაშენი ტბორია, სარკის საერთო ფართობით 77 ჰა. თუმცა მათგან მხოლოდ მცირე ნაწილი მოქმედებს და წლის განმავლობაში აწარმოებს დაახლოებით 1,5 ტონა ტბორის თევზს. გარდა ამისა მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 3 საკალმახე მეურნეობა, რომელთა წლიური წარმადობა 2 ტონაა.

სასათბურე მეურნეობების განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობებია მუნიციპალიტეტის არაერთ სოფელში, სადაც თერმული წყლის არსებობა აადვილებს ზამთრის პირობებში გათბობის უზრუნველყოფას, თუმცა ჯერჯერობით ეს რესურსი სხვადასხვა მიზეზების გამო ნაკლებად გამოიყენება.

მრეწველობა და გადამამუშავებელი მეურნეობა

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის გადამამუშავებელი საწარმოები და რამდენიმე სხვა პროფილის მსხვილი სამრეწველო საწარმო. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავებულია ჩაისა და

თხილის გადამუშავებით, დაფნის ფოთლის დამუშავებით. ამასთან იწარმოება სამშენებლო მასალები (ბლოკი, ქვა-ღორღი, კირი, ასფალტ-ბიტუმი, ბეტონი, ინერტული მასალები, ხის ნაკეთობანი და სხვა.)

ტურიზმი და მომსახურების სფერო

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი საინტერესოა ტურისტებისათვის მისი წარსულიდან, კულტურისა და ისტორიულ-მატერიალური მრავალრიცხოვანი ძეგლებიდან გამომდინარე. ზუგდიდის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა და მატერიალური კულტურის ძეგლები მოწმობს, რომ აქ ადამიანი უწყვეტად ცხოვრობს ქვის ხანიდან დღემდე.

ანაკლია-განმუხურის საზღვაო-საკურორტო ინდუსტრიულ ზონას წლიურად საშუალოდ 100 000-მდე ვიზიტორი სტუმრობს. ანაკლიაში ფუნქციონირებს 3 მსხვილგაბარიტიანი სასტუმრო. განმუხურში ფუნქციონირებს აკვაპარკი და ერთი სასტუმრო. სანაპირო ზოლზე მდებარეობს რამდენიმე სპორტული მოედანი.

2.2 გასული და მიმდინარე წლის ბიუჯეტების შესრულება

2.2 გასული 2022 წლის და მიმდინარე 2023 წლის 9 თვის ბიუჯეტის შესრულება

2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანალიზი

ცნობილია, რომ მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №22 დადგენილებით და თავდაპირველად ის განისაზღვრა 47200.0 ათასი ლარის ოდენობით. შემდეგ საფინანსო წლის განმავლობაში, ადგილობრივ ბიუჯეტში საკრებულოს ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებით შეტანილი იქნა გარკვეული ცვლილებები, რომელიც ეხებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტების სახით გამოყოფილი ფინანსური რესურსების, 2023 საბიუჯეტო წლის დასაწყისისთვის ნაშთის სახით არსებული ვალდებულებათა ქვეშ მყოფი და ვალდებულებით დაუტვირთავი თავისუფალი თანხების, გასულ წელს მაკროეკონომიკური განვითარების ზრდის შედეგებიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის საგადასახადო შემოსავლების ნომინალური (ფულადი) გამოხატულებაში მატების გამო საკუთრივი ბიუჯეტის გადიდების და განხორციელებული შიდა ცვლილებების ბიუჯეტში ასახვას. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, დაზუსტების შედეგად მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის მოცულობამ მთლიანობაში შეადგინა 69025.9 ათასი ლარი, მათ შორის საკუთარი სახსრებით 52930.3 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის წლიური ფინანსური პარამეტრები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ბიუჯეტის შემოსულობები

2022 წელს ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა-პროგნოზი განსაზღვრული იყო 65557.4 ათასი ლარით, საკასო (ფაქტიური) შესრულებამ შეადგინა 64464.7 ათასი ლარი. ბიუჯეტის საერთო შემოსავლების შესრულების მაჩვენებელი უტოლდება პრაქტიკულად 100%-ს (გეგმა-პროგნოზი 63957.4 ათასი ლარი, ფაქტიური შესრულება 63899.1 ათასი ლარი). საკუთარი შემოსავლების გეგმა-პროგნოზი კი შეადგენდა 49211.7 ათას ლარს, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 49659.2 ათასი ლარი, რაც თანხობრივად გეგმა-პროგნოზზე 447.5 ათასი ლარით მეტია და გეგმიური მაჩვენებლის თითქმის 101%-ია.

ბიუჯეტის შემოსავლების შესრულება ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა:

ა) გადასახადები (დღგ; ქონების გადასახადი) პროგნოზირებული იყო 42640.0 ათასი ლარის ოდენობით, შესრულებამ შეადგინა 43034.1 ათასი ლარი ანუ 394.1 ათასი ლარით მეტი.

გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების საერთო თანხიდან ბიუჯეტში შემოსულია:

- დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) – 34268.3 ათასი ლარი, პროგნოზირებულ მაჩვენებელზე 388.3 ათასი ლარით მეტი.
- ქონების გადასახადი - 8765.8 ათასი ლარი ანუ პროგნოზით გათვალისწინებულზე 5.8 ათასი ლარით მეტი.

ბ) სხვა შემოსავლები (შემოსავლები საკუთრებიდან, ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი, საქონლის და მომსახურების რეალიზაცია, რენტა, ჯარიმები, სანქციები და საურავები, არაკლასიფიცირებული ტრანსფერი) პროგნოზირებული იყო 6176.1 ათასი ლარის ოდენობით, შესრულებამ შეადგინა 6231.7 ათასი ლარი ანუ პროგნოზირებულ მაჩვენებელზე 55.6 ათასი ლარით მეტი.

სხვა შემოსავლებიდან ძირითადი სახეების მიხედვით ბიუჯეტში შემოსულია:

- 749.6 ათასი ლარი - შემოსავლები საკუთრებიდან (მათ შორის 308.4 ათასი ლარი - ბიუჯეტის დროებით თავისუფალი სახსრების დეპოზიტზე განთავსების შედეგად მიღებული პროცენტის სარგებელი; 441.2 ათასი ლარი - რენტა (აქედან 227.2 ათასი ლარი - მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის; 213.9 ათასი ლარი - შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან);

- 3602.8 ათასი ლარი - საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია, აქედან: 3491.4 ათასი ლარი - ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები (მათ შორის: სანებართვო მოსაკრებელი - 281.3 ათასი ლარი; სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 2634.4 ათასი ლარი; მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 575.3 ათასი ლარი); 107.8 ათასი ლარი - არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება (აქედან 104.5 ათასი ლარი - შემოსავალი შენობების და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში გადაცემიდან); 3.6 ათასი ლარი - საბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება;

- 1713.3 ათასი ლარი - შემოსავალი ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან (მათ შორის ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის - 1654.8 ათასი ლარი; არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევების გამო - 58.1 ათასი ლარი;

- 166.0 ათასი ლარი - ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული, აქედან 140.9 ათასი ლარი - შემოსავალი ხელშეკრულებების პირობის დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოსთვის; 17.8 ათასი ლარი - წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლების დაზუსტებული გეგმა-პროგნოზი განსაზღვრული იყო 1600.0 ათასი ლარის ოდენობით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 576.1 ათასი ლარი. ამ სახეში თანხობრივად შემოსავლის მნიშვნელოვანი დანაკლისი განპირობებულია, გასულ წელს სხვადასხვა ფაქტორების გავლენით, ქონების პრივატიზებისადმი პრეტენდენტთა მხრიდან ნაკლები დაინტერესებით, რაც პრაქტიკულად გამოიხატა მერიის მიერ არაერთხელ გამოცხადებული, მაგრამ არშემდგარი და ჩაშლილი საპრივატიზებო კონკურსების სახით.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები გრანტების ოდენობა 2022 წელს თანხობრივად სულ განისაზღვრა 14745.7 ათასი ლარით, ფაქტიურად მიღებულია 14239.9 ათასი ლარი. გამოყოფილი გრანტების საერთო თანხის ფარგლებში კაპიტალური ტრანსფერის ოდენობა გეგმით გათვალისწინებული იყო 13034.9 ათასი ლარი, აქედან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა ფაქტიურად მიიღო 11823.5 ათასი ლარი. კაპიტალური ტრანსფერის თანხის სრული ოდენობით აუთვისებლობა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგების ლიკვიდაციისათვის მთავრობის მიერ ორ ეტაპად გამოყოფილი 3 მილიონი ლარიდან, მეორე ეტაპისთვის განკუთვნილი თანხა

გამოყოფილი იქნა მხოლოდ 2022 წლის 20 დეკემბერს და ფინანსთა სამინისტრომ გასული წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვერ მოახერხა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 1170.0 ათასი ლარის ჩარიცხვა.

ბიუჯეტის გადასახდელები

ბიუჯეტის გადასახდელები 2022 წელს პროგნოზირებული იყო 69025.9 ათასი ლარის ოდენობით, საკასო (ფაქტიური) შესრულებამ შეადგინა 59798.5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 86.6%-ს შეადგენს. ბიუჯეტის საკუთარი სახსრებით შესრულების უკეთესი მაჩვენებელი იკვეთება. კერძოდ 2022 საფინანსო წელს გეგმა-პროგნოზი განსაზღვრული იყო 52930.3 ათასი ლარით, საკასო შესრულება კი შეადგენს 50118.8 ათას ლარს, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის მიმართ არის 94.7%-ი.

გადასახდელების გეგმა-პროგნოზით განსაზღვრული მაჩვენებლების შეუსრულებლობა ძირითადად გამოწვეულია კაპიტალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციის (იგულისხმება კაპიტალური ინფრასტრუქტურული პროექტები) დანიშნულებით გამოყოფილი და დაგეგმილი საბიუჯეტო სახსრების ნაშთების წარმოშობითა და დაგროვებით, რაც განპირობებული იყო ზოგიერთი ობიექტური და სუბიექტური მიზეზებით, რის შესახებაც მომდევნო საკითხების გაშუქებისას წინამდებარე განმარტებით ბარათში კონკრეტულად იქნება ნათქვამი.

ბიუჯეტის შესრულების წლიური მონაცემებიდან გამომდინარე ძირითადი სფეროების, პროგრამებისა და მხარჯავი სუბიექტების მიხედვით გადასახდელების 2022 წლის შესრულების მაჩვენებლები იძლევა შემდეგ სურათს:

□ მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები გეგმა-პროგნოზი განსაზღვრული იყო 13155.0 ათასი ლარით, საკასო შესრულება შეადგინა 12819.3 ათასი ლარი ანუ 335.7 ათასი ლარით ნაკლები.

□ წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფისათვის გათვალისწინებული იყო 9628.4 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 9467.9 ათასი ლარი ანუ 160.5 ათასი ლარით ნაკლები.

□ საკრებულოს საქმიანობის ფინანსურ უზრუნველყოფაზე გათვალისწინებული იყო 1768.8 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო მაჩვენებელმა შეადგინა 1700.4 ათასი ლარი.

□ მერიის სამსახურებისა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების დაფინანსებისათვის პროგნოზირებული იყო 7859.6 ათასი ლარის გამოყოფა, ფაქტიურმა შესრულებამ კი შეადგინა 7767.5 ათასი ლარი ანუ 92.1 ათასი ლარით ნაკლები.

სარეზერვო ფონდიდან 2022 წელს გამოიყო 83.7 ათასი ლარი, რაც ბიუჯეტის საკუთარი ხარჯების წლიური მოცულობის მხოლოდ 0.19% - ს შეადგენს.

საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფის სფეროში შემავალი (ორგანიზაციული კოდი 01 00) სხვა ძირითადი გადასახდელების გეგმა-პროგნოზის შესრულება (რომელიც ეხება მუნიციპალიტეტზე დელეგირებული თავდაცვითუნარიანობის ამალგების ხელშეწყობის ღონისძიებების დაფინანსებას, ასევე მგფ-ის და წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვას), წარმოდგენილია შემდეგი სახით:

თავდაცვისუნარიანობის ამალღების ხელშეწყობის სფეროს დაფინანსება, რომელიც ხორციელდება მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ, პროგნოზირებული იყო 308.0 ათასი ლარის ოდენობით, ფაქტური ათვისების მაჩვენებელი შეადგენს 297.3 ათას ლარს, რომელიც მიმართა წვევამდელთა აღრიცხვაზე აყვანის, მიწერის და გაწვევასთან დაკავშირებული სატრანსპორტო მომსახურების და სხვა ხარჯების ასანაზღაურებლად.

მუნიციპალური განვითარების ფონდიდან (მგფ) კაპიტალური პროექტების განსახორციელებლად აღებული და წინა წლებში წარმოქმნილი, მუნიციპალიტეტის მიერ 2022 წელს გადასახდელი ფინანსური ვალდებულებების თანხა შეადგენდა 2925.7 ათას ლარს, რომელიც გრაფიკის მიხედვით დაფარულია სრულად და დროულად.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის დანიშნულებით მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში ერთად აღებული აღნიშნული სფეროს ხვედრითი წილი ასიგნებათა მთლიანი მოცულობის 40.3%-ს შეადგენდა. ამ სფეროს დაფინანსების გეგმა-პროგნოზი განსაზღვრული იყო 27842.7 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 20370.5 ათასი ლარი, აქედან 7860.7 ათასი ლარი გამოიყო სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან 12509.8 ათასი ლარი ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით. აღნიშნული პროგნოზირებული მაჩვენებლის (27875.7 ათასი ლარი) შეუსრულებლობა ძირითადად განპირობებულია კაპიტალური ინფრასტრუქტურის კუთხით (კაპიტალური პროექტები) დაგეგმილი ტრანსფერების და საკუთარი ბიუჯეტის თანხების გარკვეული ნაწილის ათვისებლობით და წლის ბოლოს ფულადი ნაშთის სახით დაგროვებით.

კაპიტალური ინფრასტრუქტურის სფეროს (იგულისხმება მუნიციპალიტეტის მთლიანი ინფრასტრუქტურის მხოლოდ ის სეგმენტი, რომელიც მოიცავს კაპიტალური ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა-განხორციელებას, ფინანსირების მიმართულებას) დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით 2022 წელს გეგმა-პროგნოზით განისაზღვრა 14138.3 ათასი ლარის ოდენობით, საკასო შესრულებამ შეადგინა 7860.7 ათასი ლარი ანუ 6277.4 ათასი ლარით ნაკლები, რაც გამოწვეულია ობიექტური მიზეზებით და აქვს კონკრეტული ახსნა, კერძოდ:

კაპიტალური ინფრასტრუქტურის ნაწილში გეგმა-პროგნოზით გათვალისწინებული მთლიანი თანხიდან (14138.3 ათასი ლარი) მუნიციპალიტეტს გზების მშენებლობის (2730.0 ათასი ლარი), სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების (1726.1 ათასი ლარი) და სხვა მიმდინარე პროექტების (588.2 ათასი ლარი) დანიშნულებით ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ანგარიშზე თანხა ჩაერიცხა შესაბამისად 2022 წლის 26, 28 და 29 დეკემბერს, რაც ჯამში შეადგენს 5044.3 ათას ლარს. რა თქმა უნდა წლის ბოლომდე დარჩენილ ასეთ მოკლე პერიოდში აღნიშნული თანხების ათვისება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.

გარდა ამისა, მთავრობის განკარგულებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის გასული წლის 20 დეკემბერს გამოყოფილი 1.5 მილიონი ლარი კანონის მოთხოვნიდან გამომდინარე, როგორც წესი, ასახული იქნა (დაზუსტდა) გეგმაში, მაგრამ ამ თანხიდან 1170.0 ათასი ლარი საფინანსო წლის დასრულებამდე ფინანსთა სამინისტროს მიერ ფულადი სახით არ ჩარიცხულა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში. აღნიშნულმა გარემოებამ გამოიწვია მექანიკურად გეგმის გაზრდა შესაბამისი ფინანსური რესურსის გარეშე და საკასო მაჩვენებლის მიხედვით ათვისებელი თანხის ხელოვნურად გადიდება.

თუ ობიექტური მიზეზით განპირობებული 5044.3 ათასი ლარის ოდენობით არსებული ათვისებელი თანხის ნაშთს და ხელოვნურად გამოწვეული გარემოების გამო 1170.0 ათასი ლარის ოდენობით ფორმალურად ათვისებლად დაფიქსირებული თანხის ნაშთს განვიხილავთ ერთობლიობაში, მაშინ იკვეთება, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით კაპიტალური ინფრასტრუქტურის ნაწილში ობიექტურად გაუმართლებელი მიზეზით ათვისებელი ნაშთი პრაქტიკულად არ არსებობს.

კაპიტალური ინფრასტრუქტურის სფეროს დაფინანსება ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით 2022 წელს გეგმა-პროგნოზით განსაზღვრული იყო 5187.1 ათასი ლარით, საკასო შესრულება შეადგენს 3826.9 ათას ლარს, რაც 1360.2 ათასი ლარით ნაკლებია პროგნოზირებულ მაჩვენებელზე.

ინფრასტრუქტურის სფეროში გეგმა-პროგნოზით გათვალისწინებული თანხების სრული მოცულობით აუთვისებლობა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, განპირობებულია ზოგიერთი ობიექტური და სუბიექტური მიზეზებით, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი დიდი ოდენობით ფულადი სახსრების ადგილობრივ ბიუჯეტში საფინანსო წლის ბოლოს ჩარიცხვით, ცალკეულ შემთხვევებში საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციებში გამოვლენილი ხარვეზებით, სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით ტენდერების ორგანიზებაში დაშვებული შეფერხებებით, მიმწოდებელი სუბიექტების მიერ განსახორციელებელი პროექტების დადგენილ ვადებში შეუსრულებლობით, გაწეული სამუშაოების ასანაზღაურებლად სრულყოფილი დოკუმენტების დროულად წარმოუდგენლობით. ასევე დაგეგმილი საბიუჯეტო თანხების გარკვეული ნაწილის მთლიანობაში აუთვისებლობა განპირობებულია კონკრეტული სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებით ფულადი სახსრების სახით მიღებული ეკონომიებით.

უნდა აღინიშნოს, რომ 2022 წელს რეგიონული განვითარების პროექტების ფონდიდან გამოყოფილი და ათვისებული კაპიტალური ტრანსფერების თანხა მიიმართა მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი პროექტების განსახორციელებლად, როგორცაა:

ა) 5258.6 ათასი ლარი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გზების მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის, მათ შორის:

295.9 ათასი ლარი - კახათის, გუგუჩიას ქუჩაზე გზის მშენებლობაზე (მე-III ეტაპი);

522.9 ათასი ლარი - ნარაზენის საკალანდიოს უბანში საავტომობილო გზის მშენებლობაზე (მე-II ეტაპი);

74.4 ათასი ლარი - ხეცერის ადმინისტრაციულ ერთეულში საფირცხალაო-სამელიოს უბანში გზის მშენებლობაზე;

14.2 ათასი ლარი - ჭაქვინჯში, ბალმარანის გზის საფარის რეაბილიტაციაზე;

44.4 ათასი ლარი - ორულუს ადმინისტრაციულ ერთეულში მოგირის უბნის გზის მშენებლობაზე;

114.9 ათასი ლარი - ოირემე-დავითიანის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მშენებლობაზე;

765.5 ათასი ლარი - ერგეტას ცენტრიდან დიდგვიმარას უბანამდე გზის საფარის რეაბილიტაციაზე (მე-II ეტაპი);

380.0 ათასი ლარი - რუხის და ახალაბასთუმნის ადმინისტრაციული ერთეულების დამაკავშირებელი გზის მშენებლობაზე;

380.1 ათასი ლარი - დიდინეძის ნაკალის უბანში გზის საფარის რეაბილიტაციაზე;

380.0 ათასი ლარი - ჭკადუაში სოფლის ცენტრამდე მისასვლელი გზის მშენებლობაზე (მე-IV ეტაპი);

475.0 ათასი ლარი - ჩხოუმის ადმინისტრაციულ ერთეულში ჭავჭავაძის და დადიანის ქუჩების გზის საფარის რეაბილიტაციაზე;

285.0 ათასი ლარი - ნაწულუკუს ადმინისტრაციულ ერთეულში ცენტრალური გზიდან სასაფლაომდე მისასვლელი გზის მშენებლობაზე;

332.5 ათასი ლარი - კახათის ადმინისტრაციულ ერთეულში კოსტავას ქუჩაზე გზის სამშენებლო სამუშაოებზე;

307.2 ათასი ლარი - განმუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში ჭავჭავაძის, ც.დადიანის და კ.გამსახურდიას ქუჩებზე საავტომობილო გზის საფარის რეაბილიტაციაზე;

24.2 ათასი ლარი - ანაკლიაში რუსთაველის ქუჩაზე გზის მშენებლობის სამუშაოებზე;

263.9 ათასი ლარი - საკუტალიო-სამოლაშხიოს გზის მშენებლობაზე;

285.0 ათასი ლარი - ყულიშკარში სოფლის ცენტრიდან სასაფლაომდე მისასვლელი გზის მშენებლობაზე;

28.6 ათასი ლარი - ჯიხაშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში საშენგელიოს უბნის გზის სამშენებლო სამუშაოებზე;

ბ) 782.6 ათასი ლარი წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაციისათვის, მათ შორის:

473.0 ათასი ლარი - ჭაქვინჯის (ბაღმარანის უბანი) და ნარაზენის (საბეჭვაიოს უბანი) წყლის სისტემების მე-II ეტაპის სამუშაოებზე;

158.6 ათასი ლარი - ჭკადუაშში, პაპავების უბანში მე-III ეტაპის სამუშაოებზე;

147.0 ათასი ლარი - ალერტკარის საკანკიოს უბანში I-ლი და მე-II ეტაპის სამუშაოებზე;

გ) 12.4 ათასი ლარი - ანაკლიის ადმინისტრაციულ ერთეულში რუსთაველის ქუჩაზე გარე განათების მოწყობის სამუშაოებზე;

დ) 388.3 ათასი ლარი - ადმინისტრაციული შენობების და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობისათვის;

ე) 19.7 ათასი ლარი - სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაციაზე;

ვ) 403.4 ათასი ლარი - სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებზე;

ზ) 5.7 ათასი ლარი - ბოტანიკური ბაღის ტბისა და სარწყავი სისტემის წყალმომარაგებისთვის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერის თანხა მიიმართა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ დაფინანსებაზე. აღნიშნული პროგრამის ასიგნება გეგმით განსაზღვრული იყო 1411.7 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ კი შეადგინა 995.7 ათასი ლარი, 416.0 ათასი ლარით ნაკლები, მაგრამ გეგმა-პროგნოზსა და საკასო შესრულებას შორის არსებული სხვაობიდან 126.1 ათასი ლარი არის ამ პროგრამის განხორციელებისას შესრულებული სამუშაოებიდან მიღებული ეკონომიის თანხა.

ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით დაგეგმილ თანადაფინანსების თანხასთან ერთად, ზემოთ აღნიშნული პროგრამის გეგმა-პროგნოზი შეადგენდა 1930.7 ათას ლარს, ხოლო საკასო შესრულებას 1344.8 ათასი ლარი (585.9 ათასი ლარით ნაკლები). პროგრამის განხორციელებაში დაშვებული გარკვეული ჩამორჩენა, სხვა მიზეზებთან ერთად, განპირობებულია სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებით პრეტენდენტი სუბიექტების მხრიდან მიკრო და მცირე პროექტების მიმართ ნაკლები სურვილისა

და დაინტერესების გამოვლენით. ამ გარემოებამაც განაპირობა ის ფაქტი, რომ განსახორციელებელ პროექტებზე ხელშეკრულებების დადება დასრულდა გასული წლის მხოლოდ დეკემბრის თვეში. ამის მიუხედავად 2022 წელს სოფლის პროგრამით განხორციელდა სხვადასხვა პროფილის 53 პროექტი, ხოლო სამუშაოები მიმდინარეობდა 20 პროექტზე, რომლებიც სახელშეკრულებო ვადების მიხედვით დასრულდება 2023 წლის თებერვლის თვის ბოლოს.

რაც შეეხება ინფრასტრუქტურის მიმართულებით ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხებს, ის მიიმართა შემდეგი კაპიტალური პროექტების, პროგრამებისა და სამუშაოების (მომსახურების) დასაფინანსებლად, კერძოდ:

490.8 ათასი ლარი - საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობაზე;

82.2 ათასი ლარი - სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაციასა და წყლის სისტემების რეაბილიტაციაზე;

88.1 ათასი ლარი - საგზაო მოძრაობის მარეგულირებელი სისტემების მოწყობაზე;

58.6 ათასი ლარი - გარე განათების სისტემების რეაბილიტაციაზე;

135.4 ათასი ლარი - მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების კეთილმოწყობასა და შექმნაზე;

60.0 ათასი ლარი - სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსებაზე;

25.4 ათასი ლარი - სამშენებლო ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურებაზე;

279.6 ათასი ლარი - საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სამუშაოების დაფინანსებაზე;

10.7 ათასი ლარი - მიწის საკადასტრო ნახაზების შედგენის და ქონების შეფასების მომსახურების დაფინანსებაზე;

153.0 ათასი ლარი - ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის დაფინანსებაზე;

2740.0 ათასი ლარი - მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის პროგრამის დაფინანსებაზე;

1896.9 ათასი ლარი - რგფ-დან და მგფ-დან გამოყოფილი თანხებით განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტებისა და სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული პროექტების თანადაფინანსებაზე.

712.8 ათასი ლარი მიიმართა სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამით განხორციელებული პროექტების დაფინანსებაზე (გეგმა-პროგნოზით ამ პროგრამის ასიგნება გათვალისწინებული იყო 785.7 ათასი ლარის ოდენობით). 2022 წელს აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 9 პროექტი, როგორცაა: ქ. ზუგდიდში მოსაშვილის, სოხუმის, მშვიდობის, ეგ.ფიფიას, ივ. ჯავახიშვილის, სააკაძისა და გოგოლის ქუჩებზე სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცია; ხერგიანისა და კეკელიძის ქუჩებზე სპორტული მოედნების მოწყობა. მომდევნო წელში გადასულ პროექტებზე ტენდერის გამოსაცხადებლად მიმდინარეობს მუშაობა 11 საპროექტო ინიციატივასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება: ქ. ზუგდიდში თაბუკაშვილის ქუჩის N4 შესახვევში არსებული საბავშვო მოედნის რეაბილიტაციას; ჯორჯიაშვილის ქუჩაზე საბავშვო ატრაქციონის მოწყობას; თავისუფლების ქუჩის I შესახვევის N5-ში საბავშვო მოედნის მოწყობას; სოხუმისა და პუშკინის ქუჩების კვეთაზე სკვერის კეთილმოწყობას; რუსთაველის ქუჩაზე სკვერის რეაბილიტაციას; ჯანაშიას ქუჩა N12-ში მდებარე ეზოში ეთნოკულტურული დასასვენებელი პარკის მოწყობას; ლაზის ქუჩის გარკვეული

მონაკვეთის გამწვანებას; თამარ მეფისა და გორგასლის ქუჩების კვეთასთან სკვერისა და პარკირების ზოლის მოწყობას; ჯანაშიას ქუჩა N10ა-სა და N10-ში მდებარე ეზოების კეთილმოწყობას; ბარამიას ქუჩა N7-ში მდებარე N5 კორპუსის ტერიტორიაზე სატრენაჟორო სავარჯიშოების კომპლექსის მოწყობას.

„კეთილმოწყობის ღონისძიებათა პროგრამა“ ინფრასტრუქტურის სფეროს მიკუთვნებული მუნიციპალური პროგრამების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტია, რომელიც ხორციელდება ა(ა)იპ კეთილმოწყობის ცენტრის მიერ. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გამოიყო და ათვისებულია ასიგნებანი 4352.1 ათასი ლარის ოდენობით (გეგმა-პროგნოზი 4379.0 ათასი ლარი), რომელიც მიიმართა სხვადასხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად, კერძოდ:

2657.1 ათასი ლარი - ცენტრის ძირითადი მომსახურების სფეროში დასაქმებული მუშაკების და ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურებაზე;

210.0 ათასი ლარი - შტატგარეშე თანამშრომელთა ხელფასის ანაზღაურებაზე;

601.6 ათასი ლარი - ოფისის ხარჯებზე;

533.3 ათასი ლარი - ტრანსპორტის და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯებზე, მათ შორის 260.0 ათასი ლარი - საწვავი მასალების შეძენაზე;
261.3 ათასი ლარი - ტრანსპორტის რემონტსა და სათადარიგო ნაწილების შესყიდვაზე;

263.9 ათასი ლარი მოხმარდა არაფინანსური აქტივების (მატერიალური და ქონებრივი საშუალებები) ზრდას.

გასულ წელს ცენტრს ბიუჯეტიდან ასიგნებული სუბსიდიის თანხების გარდა, გაწეული მომსახურებიდან მიღებული აქვს საკუთარი შემოსავალი 73.5 ათასი ლარი, რომელიც გახარჯულია მიმდინარე საოპერაციო ხარჯების ასანაზღაურებლად.

კეთილმოწყობის ცენტრის მიერ ბიუჯეტიდან ასიგნებული თანხებით განხორციელებულია კომუნალური ინფრასტრუქტურის გამართულ ფუნქციონირებასთან, მოვლა-პატრონობასთან, ჯანსაღი ეკოლოგიური გარემოს შექმნასთან, მწვანე სივრცის შენარჩუნება-დაცვასთან, სასაფლაოების კეთილმოწყობასთან დაკავშირებული მთელი რიგი მნიშვნელოვანი ტექნიკური ღონისძიებები. ყოველივე ეს ეხება წყლის სისტემების შეკეთება-რეაბილიტაციას, ქალაქის ტერიტორიაზე სანიაღვრე არხებისა და საკანალიზაციო სისტემების ამოწმენდას, ადმინისტრაციული შენობების, საცხოვრებელი კორპუსების, საბავშვო ბაღების, ეზოების, ქალაქის ცენტრალური ბულვარის, სკვერების, ხეივნებისა და პარკების მოთიბვა-მოწესრიგების, დადიანების ისტორიულ-არქიტექტურული კომპლექსის ტერიტორიის კეთილმოწყობის, მწვანე ხე-მცენარეების გასხვლა-გადაბეღვის სამუშაოების ჩატარებას, მწვანე ზოლების, გაზონების დაზიანებისაგან დაცვას, ტროტუარებისა და ბორდიურების შეკეთება-კეთილმოწყობას, გარე განათების ქსელის მოვლა-შენახვას.

მუნიციპალური ტრანსპორტის როგორც ინფრასტრუქტურის სფეროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარჯავი სუბიექტის ფინანსური ხელშეწყობის პროგრამის განმახორციელებელია შპს „ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტი.“ აღნიშნულ მხარჯავ სუბიექტს გასულ წელს ბიუჯეტიდან გამოეყო ასიგნება 2740.0 ათასი ლარის ოდენობით, მიღებული აქვს საკუთარი შემოსავალი 1693.1 ათასი ლარი და მთლიანობაში მის მიერ მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 4433.1 ათასი ლარი, რომელიც მიიმართა შემდეგი ძირითადი ხარჯების დასაფარად:

1607.7 ათასი ლარი - შრომის ანაზღაურებაზე, მათ შორის : მძღოლების ხელფასზე - 1130.1 ათასი ლარი, ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასზე - 477.6 ათასი ლარი;

1988.3 ათასი ლარი - საწვავ-საცხები მასალების შეძენაზე;

355.1 ათასი ლარი - ავტობუსების მომსახურებაზე;

132.3 ათასი ლარი - სათადარიგო ნაწილების და საწვავ-საპოხი მასალების შესყიდვაზე და სხვა მიმდინარე ხარჯებზე.

უნდა ითქვას, რომ გასულ წელს საგრძნობლად გაუმჯობესდა მგზავრთა მომსახურება, დაწესდა ახალი მარშრუტები, უფრო ფართოდ იქნა მოცული მგზავრთა სატრანსპორტო მომსახურების არეალი, კვლავ უცვლელად იქნა შენარჩუნებული მოსახლეობის ავტობუსით მგზავრობის შეღავათიანი ტარიფები. გაუქმებული იქნა მგზავრობის საფასურის ნაღდი ფულით ანგარიშსწორების პრაქტიკა, ავტობუსებიდან ჩაიხსნა სალარო აპარატები და მოხდა გადასვლა ახალ, საბარათო სისტემაზე. ყოველივე ამან კი დადებითი შედეგი გამოიღო.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ „მუნიციპალურ ტრანსპორტ“-ს, როგორც მხარჯავ სუბიექტს, შექმნილი აქვს რთული საფინანსო მდგომარეობა, რაც ერთის მხრივ გამოწვეულია საწვავი მასალების საბაზრო ფასების მკვეთრი ზრდით, რემონტისა და ტექნიკური მომსახურების გაძვირებით, ხოლო მეორეს მხრივ საკუთარი ფულადი თანხების ამოღების კუთხით დაშვებული მნიშვნელოვანი გარღვევით და ავტოპარკის მენეჯმენტის თვალსაზრისით არსებული ნაკლოვანებებით.

აღნიშნული იურიდიული პირის არასახარბიელო ფინანსურ მდგომარეობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მისი კრედიტორული დავალიანება შეადგენდა 493.5 ათას ლარს.

გამომდინარე აღნიშნული ვითარებიდან, მუნიციპალიტეტის მერია 2023 წლისთვის გეგმავს სათანადო ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებებს „მუნიციპალურ ტრანსპორტ“-ში არსებული პრობლემის დაძლევისა და ფინანსური მდგომარეობის არსებითად გაუმჯობესებისათვის.

დასუფთავება და გარემოს დაცვა

2022 წელს დასუფთავებისა და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებაზე მიმართულ იქნა 7507.5 ათასი ლარი (გეგმა-პროგნოზი 7526.2 ათასი ლარი), აქედან 5821.6 ათასი ლარი მოდის დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის მუნიციპალური პროგრამის დაფინანსებაზე, რომლის განმახორციელებელია ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავები“-ს ცენტრი. ბიუჯეტის ასიგნებიდან ცენტრის მიერ ათვისებული თანხის უდიდესი ნაწილი (5782.1 ათასი ლარი) საოპერაციო ხარჯების სახით მიმართულ იქნა: 3869.7 ათასი ლარი შრომის ანაზღაურებაზე, 1912.4 ათასი ლარი - საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით მყარი ნარჩენების გატანის სერვისი ერთნაირად შეუფერხებლად მიეწოდებოდა ქალაქისა და 48 სოფლის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობას, მეწარმე იურიდიულ და ფიზიკურ პირებს და საჯარო სექტორს. მომსახურეობა მიეწოდებოდა: ქალაქის მოსახლეობის 100%-ს; სოფლის ადმინისტრაციული ერთეულების მოსახლეობის 90%-ს; კომერციული სექტორის, სხვა იურიდიული და ფიზიკური პირების - 100%-ს.

2022 წელს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეგროვებული და ნაგავსაყრელში ტრანსპორტირებულია 25.8 ათასი ტონა მყარი ნარჩენი, მათ შორის ქალაქის ტერიტორიიდან 17.0 ათასი ტონა, სოფლის ადმინისტრაციული ერთეულებიდან 8.8 ათასი ტონა. საშუალოდ ყოველდღიურად ნაგავსაყრელში გაიზიდებოდა 71 ტონა, მათ შორის ქალაქიდან 47 ტონა, სოფლებიდან 24 ტონა.

მუნიციპალიტეტში ნარჩენების შეგროვება ძირითადად ხდებოდა 3 მეთოდის გამოყენებით, კერძოდ:

1. კოლექტიური (კონტეინერული) შეგროვების მეთოდით; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული იყო 2031 ნაგავშემკრები კონტეინერი, მათ შორის ქალაქის ტერიტორიაზე 982 ერთეული, სოფლებში 1049 ერთეული;
2. კარდაკარ შემოვლის მეთოდით, რომელსაც ემსახურებოდა ღია სატვირთო ავტომანქანები;
3. ხელით დაგვისა და აკრეფის წესით; ამ გზით, სუფთავდებოდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 47 ჰა, მათ შორის ქალაქის ტერიტორიაზე 2 ჰა, სოფლის ადმინისტრაციულ ერთეულებში 45 ჰა.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით ყოველდღიურად საშუალოდ იგვებოდა 38 ჰა ფართობი, მათ შორის: ქალაქის ტერიტორიაზე 28 ჰა, სოფლის ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით კი - 10 ჰა. დამგველი მანქანით ყოველდღიურად იგვებოდა 5-8 ჰა; სისტემატიურად იწმინდებოდა ანაკლია-განმუხურის ზღვის სანაპირო ზოლის 6-7 ჰა.

აგრეთვე ყოველდღიურად სუფთავდებოდა ქალაქის ცენტრალური ხეივანი, დადიანების სასახლის ბაღი, ცენტრალური სუპერმარკეტების შიდა და გარე მიმდებარე ტერიტორიები, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლესთან მდებარე სკვერი, „სქეით - პარკი“, ვეტერანთა ხეივანი, გულუას სახელობის სკვერი, ქალაქის რკინიგზის სადგური და მისი მიმდებარე ტერიტორია, ზუგდიდის ცენტრალური ავტოსადგური და მისი მიმდებარე ტერიტორიები, ყოფილი იქვ - ს დასახლება და ქალაქის სხვადასხვა ცენტრალური ნაწილი. მთელი წლის განმავლობაში, საჭიროების მიხედვით, მომსახურეობა ეწეოდა მშენებარე საკათედრო ტაძარს და ა.შ. ამასთან წლის განმავლობაში არსებული საჭიროებიდან გამომდინარე სუფთავდებოდა მდინარეების ჩხოუმის, კუჩხობონის და სინწის კალაპოტები დანალექი მასისა და შლამისგან.

ბოტანიკური ბაღის ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამა ხორციელდება ა(ა)იპ ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის მიერ. 2022 წელს ამ მხარჯავი სუბიექტის ასიგნება გეგმა-პროგნოზით გათვალისწინებული იყო 870.0 ათასი ლარი, რომელიც მთლიანობაში პრაქტიკულად ათვისებულია. აღნიშნული თანხა მიმართული იქნა შემდეგი ძირითადი სახის ხარჯებზე: 717.6 ათასი ლარი - ძირითადი და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურებაზე; 21.3 ათასი ლარი - ხელშეკრულებით დასაქმებულ მუშაკთა ხელფასზე; 35.7 ათასი ლარი - ოფისის ხარჯებზე; 35.2 ათასი ლარი - ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის ხარჯების ანაზღაურებაზე; 103.2 ათასი ლარი - არაფინანსური აქტივების ზრდაზე (შემენილი იქნა 1 ერთეული თვითმცლელი სატვირთო ავტომანქანა Ford Transit-42).

2022 წელს ბოტანიკურ ბაღში ამოქმედდა ფასიანი მომსახურების ტარიფები, რამაც ხელი შეუწყო დამატებითი ფულადი თანხების მობილიზაციას. აღნიშნულ იურიდიულ პირს გასულ წელს მთლიანობაში საკუთარი შემოსავლები მიღებული აქვს 165.9 ათასი ლარი, რაც მიიმართა სხვადასხვა საოპერაციო ხარჯების დანიშნულებით.

ბოტანიკური ბაღის მიერ 2022 წელს, ფინანსურ საქმიანობასთან ერთად, განხორციელებულია მნიშვნელოვანი პრაქტიკული სამუშაოები და არსებითი ხასიათის აქტივობები, რომელიც მოიცავს კულტურული მემკვიდრეობის, ეკოლოგიური განახლების, ტურიზმის, მარკეტინგის, მცენარეთა კოლექციის მართვის, სამეურნეო (ბაღის მოვლა-პატრონობა) და უსაფრთხოების სფეროებს, აქედან:

□ თანამშრომლობის, პარტნიორობისა და ღონისძიებების მიმართულებით აღსანიშნავია:

- ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი გაწევრიანდა ევროპული ისტორიული ბაღების მარშრუტის ასოციაციაში.

- ბოტანიკურ ბაღსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ეხება საგანმანათლებლო და შემეცნებით პროექტს სახელწოდებით - „ღია გაკვეთილი ბუნებაში.“

- ბოტანიკურ ბაღში, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიცირებით ჩატარებული ფესტივალი - „ღვინის დღეები“, რომელიც იყო რეგიონული მასშტაბის ღონისძიება და ფართოდ მონაწილეობდნენ მეღვინეები, ამ დარგის მეწარმეები, ხელოვანები, კულტურის სამინისტროს ქვემდებარე მუსიკალურ-ქორეოგრაფიული კოლექტივები, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ფართო საზოგადოებრიობის, კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლები.

- კულტურული მემკვიდრეობისა და მარკეტინგის ხაზით ბოტანიკური ბაღის ვებ-გვერდზე პერიოდულად ქვეყნდებოდა ბაღის ისტორიის, არქეოლოგიის და არქიტექტურის საზოგადოებისათვის უცნობი და ცნობილი დეტალები.
- მცენარეთა კოლექციის მართვის ფარგლებში ჩატარებულია სერიოზული სამუშაოები სანერგეების მოწყობის, ჩითილების გამოყვანის, ნერგების დარგვის, ხეივნების გაშენების, ყვავილნარების მოწყობის, დენდროლოგიის კუთხით.
- ფიტოსანიტარული და აგროტექნიკური მიმართულებით:
 - ღია გრუნტში მოეწყო მერქნიან და ბალახოვან მცენარეთა სანერგეები; დაკალმდა მცენარეთა და ბალახოვანთა 19368 კალამი;
 - სულ დაირგო ხე-მცენარეთა 2600 ნერგი;
 - ბაღში არსებულ მცენარეებზე ჩატარდა ფიტოსანიტარული და აგროტექნიკური ღონისძიებები (გამოკვება, შეწამვლა). გამოიკვება 200 დასახელების 3000-მდე მცენარე კომპლექსური და ორგანული საუსუბეებით.
- სამეურნეო (მოვლა-პატრონობა) და უსაფრთხოების კუთხით:
 - ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს ბაღის 26 ჰა ტერიტორიის გასუფთავება წარმოქმნილი ბიონარჩენების და საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან;
 - ციკლური ყოველდღიური რეჟიმით ხდებოდა ფრინველების, ტბის თევზების, შენობა-ნაგებობების, მოსასვენებელი სკამების, ელექტროგანათების სისტემების მოვლა-პატრონობა;

გარემოს დაცვის სფეროში შემავალი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების კეთილმოწყობის პროგრამის კუთხით (კოდი 03 05) გასულ წელს ათვისებულია 5.7 ათასი ლარი, გეგმა-პროგნოზი შეადგენდა 10.7 ათას ლარს.

აგრეთვე გარემოს დაცვის პროგრამის ფარგლებში (კოდი 03 08) ხორციელდებოდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიის და მოსახლეობის მღრღნელებისა და უზედამხედველო, საფრთხის შემცველი მოხეტიალე ცხოველებისგან დაცვის ღონისძიებები. გასულ წელს, საჭიროებიდან გამომდინარე, ამ დანიშნულებით გამოიყო და ათვისებული იქნა 51.3 ათასი ლარი (გეგმა-პროგნოზი 60.0 ათასი ლარი).

გარემოს დაცვის სფეროში შემავალი მხარჯავი სუბიექტის შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS“-ის ფინანსურ ხელშეწყობაზე (პროგრამული კოდი 03 02) ასიგნება გეგმა-პროგნოზით განსაზღვრული იყო 759.3 ათასი ლარი, რომელიც სრულად ათვისებულია. სუბსიდირებული თანხები მიიმართა: 330.5 ათასი ლარი - შრომის ანაზღაურებაზე; 31.9 ათასი ლარი - საწვავის შეძენაზე; 65.5 ათასი ლარი - მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ანაზღაურებაზე. ამასთან დანარჩენი თანხები გაიხარჯა შემდეგი ძირითადი კაპიტალური და სამეურნეო დანიშნულების ღონისძიებებზე, როგორცაა:

 - ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება (გაიხარჯა 10.3 ათასი ლარი);
 - ანაკლია-განმუხურის ბულვარის განათების სისტემის მოდერნიზება-რეაბილიტაცია (მოხმარდა 144.8 ათასი ლარი);
 - სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე არსებული დამსვენებელთა მომსახურებასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის (გასახდელები, საშხაპეები) რეაბილიტაცია (გაიხარჯა 54.9 ათასი ლარი);
 - განმუხურის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის მოვლა-პატრონობა (გაიხარჯა 8.0 ათასი ლარი);
 - ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის გამწვანების ზონაში ფიტოსანიტარული სამუშაოების (ხე-მცენარეების, დეკორატიული ნარგავების შეწამვლა და მინერალური სასუბეებით გამოკვება) ჩატარება და საკუთარი მონიტორინგი.

განათლება

განათლების დარგის დაფინანსებისათვის 2022 წელს მთლიანობაში სუბსიდიის ოდენობა განისაზღვრა 10912.3 ათასი ლარით, მათ შორის ბიუჯეტის საკუთარი სახსრებით 8965.7 ათასი ლარით, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით 1946.6 ათასი ლარით. აღნიშნულ პერიოდში გამოყოფილი სუბსიდიის მთლიანი თანხიდან საკასო (ფაქტიური) შესრულებამ შეადგინა 10746.8 ათასი ლარი, აქედან სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის პროგრამის დაფინანსებაზე მიიმართა 7705.1 ათასი ლარი ანუ 72 %-ი.

ა(ა)იპ სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის საქმიანობა, რომელიც ზემოთხსენებული პროგრამის განმახორციელებელია, წლის განვლილ პერიოდში მიმართული იყო ბავშვთა სკოლამდელი განათლების და აღზრდის ხარისხის ამაღლების, სკოლამდელი დაწესებულებათა მატერიალური ბაზის და შიდა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, აღსაზრდელო დადგენილი სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველსაყოფად, რომელიც უკავშირდება ამჟამად მუნიციპალიტეტში მოქმედი 63 საბავშვო დაწესებულების (ბაღი) ფუნქციონირებას.

ზემოაღნიშნული ცენტრის მიერ, 2022 წელს ათვისებული თანხა (7705.2 ათასი ლარი) ძირითადად მოხმარდა: 5448.9 ათასი ლარი - შრომის ანაზღაურებას; 2132.7 ათასი ლარი საქონელსა და მომსახურებას, მათ შორის 134.6 ათასი ლარი - შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებას, 943.2 ათასი ლარი - კვების ხარჯებს, 643.5 ათასი ლარი - ოფისის ხარჯებს, 12.1 ათასი ლარი - ტრანსპორტის და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯებს, 399.3 ათასი ლარი - „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება-ს“; 29.8 ათასი ლარი - სოციალური უზრუნველყოფას;

93.8 ათასი ლარი მოხმარდა არაფინანსური აქტივების (ქონებრივი მატერიალური საშუალებები) ზრდას.

სუბსიდიის გარკვეული ნაწილი მიიმართა სარემონტო, სარეაბილიტაციო და კეთილმოწყობის სამუშაოებზე, კერძოდ:

ქალაქის N15 და კოკის საბავშვო ბაღებში განხორციელდა სარეაბილიტაციო სამუშაოები (გაიხარჯა -16.7 ათასი ლარი); ნარაზენის N2 საბავშვო ბაღში ჩატარდა სახურავის რეაბილიტაცია (გაიხარჯა 8.1 ათასი ლარი); ქალაქის N12 საბავშვო ბაღში გამოიცვალა ცენტრალური გათბობის ქვაბი (გაიხარჯა - 9.8 ათასი ლარი); N 1 საბავშვო ბაღში სრულად განხორციელდა სარეაბილიტაციო სამუშაოები დანიის ლტოლვილთა საბჭოს მხარდაჭერით; ყულიშკარის საბავშვო ბაღში მოეწყო პროფილირებული თუნუქის სახურავი (გაიხარჯა 65.0 ათასი ლარი); სურსათის ეროვნული სააგენტოს რეკომენდაციის შესაბამისად საბავშვო ბაღების სამზარეულო კვანძებში დამონტაჟებული იქნა გამწოვი სისტემა და წყლის ელექტროგამაცხელებლები; აგრეთვე სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფის მიზნით საბავშვო ბაღებში დაინერგა HACCP-ის სტანდარტის სისტემა, რაც ითვალისწინებს სურსათის უვნებლობის პოტენციური საფრთხეების დადგენას, პრევენციას და აღმოფხვრას.

მოსწავლე - ახალგაზრდობის სკოლისგარეშე სწავლისა და განვითარების პროგრამის დაფინანსებისათვის, რომლის განმახორციელებელია ა(ა)იპ „მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე“, 2022 წელს ასიგნება გეგმა-პროგნოზით განისაზღვრა 784.6 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 783.4 ათასი ლარი. აღნიშნულ პერიოდში მიღებული აქვს საკუთარი სახსრები 42.4 ათასი ლარი.

გამოყოფილი თანხები მიიმართა საბიუჯეტო ხარჯების შემდეგი ძირითადი მუხლების მიხედვით: 626.5 ათასი ლარი - შრომის ანაზღაურებაზე; 123.9 ათასი ლარი - საქონელსა და მომსახურებაზე; 10.5 ათასი ლარი - შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურებაზე; 28.9 ათასი ლარი - ოფისის ხარჯებზე; 83.0 ათასი ლარი - სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე; 33.1 ათასი ლარი - არაფინანსურ აქტივებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ სასახლის საქმიანობა, ისე როგორც წინა წლებში, მიმდინარე წელსაც მიმართული იყო ფუნქციურად მასზე დაკისრებული, მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროგრამის ეფექტურად განხორციელებისათვის. ცენტრის მიერ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, 2022 წელს ჩატარებულია და მის ბაზაზე მოქმედ მოსწავლეთა შემოქმედებით კოლექტივებს მონაწილეობა მიღებული აქვთ 80-ზე მეტი სასწავლო, შემეცნებითი, საგანმანათლებლო, მუსიკალურ-მხატვრული ხასიათის ადგილობრივი, რესპუბლიკური და საერთაშორისო მასშტაბის ღონისძიებებში. რაც აღინიშნა სასახლის აღსაზრდელთა მიერ მიღწეული თვალსაჩინო წარმატებებითა და მოპოვებული განსაკუთრებული შედეგებით.

განათლების სფეროში საჯარო სკოლების ფინანსური ხელშეწყობის პროგრამის დაფინანსებისათვის, სასკოლო შემეცნებით-საგანმანათლებლო, განსაკუთრებით ნიჭიერ მოსწავლეთა და ბავშვთა მხარდაჭერის ღონისძიებებსა და სკოლების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოებზე განვლილ 2022 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფაქტიურად ათვისებულია 103.8 ათასი ლარი.

საჯარო სკოლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 10 ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელიც მოიცავს დარჩელის N2, ჯუმის, ტყაიას, ჭითაწყარის, ოქტომბრის, ურთის, ოდიშის N2, კოკის და ქ. ზუგდიდის N9 საჯარო სკოლებში ლოკალური მასშტაბის სარემონტო და სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას (აღნიშნული სამუშაოები შესრულებულია, ამ კუთხით განათლების შესახებ კანონით გათვალისწინებული შეზღუდვების გავრცელებამდე).

განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური მხარდაჭერის პროგრამის დასაფინანსებლად 2022 წელს გამოიყო 289.0 ათასი ლარი და ათვისებულია 288.7 ათასი ლარი, აღნიშნული თანხა მიიმართა შემდეგი დანიშნულებით:

- 166.5 ათასი ლარით დაფინანსდა მერის მიერ დაწესებული სტიპენდიის მიმღები, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული უმაღლესი სასწავლებლის 82 სტუდენტი;
- უცხოეთში სწავლის საფასური ნაწილობრივ დაუფინანსდა 35 სტუდენტს (გაიხარჯა 90.5 ათასი ლარი);
- უცხოეთში მგზავრობის საფასური დაუფინანსდა 5 ნიჭიერ ახალგაზრდას (გაიხარჯა 8.1 ათასი ლარი);
- ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწია 5 ნიჭიერ მხატვარს (გაიხარჯა 6.9 ათასი ლარი);
- ზუგდიდის საჯარო და კერძო სკოლების მედალოსან კურსდამთავრებულთა დაჯილდოებაზე გაიცა 15.7 ათასი ლარი.

შოთა მესხიას სახელობის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხელშეწყობის პროგრამისათვის გაიხარჯა 30.0 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტზე დელეგირებული უფლებამოსილებიდან გამომდინარე, ზუგდიდის საჯარო სკოლებისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეთა სატრანსპორტო მომსახურებაზე მიიმართა 1813.2 ათასი ლარი.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

კულტურის, რელიგიის, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების დასაფინანსებლად გასულ საფინანსო წელს ასიგნებანი გეგმა-პროგნოზით განსაზღვრული იყო 4,948.3 ათასი ლარის ოდენობით, საკასო (ფაქტიური) შესრულებამ შეადგინა 4,795.7 ათასი ლარი, რომელიც გადანაწილდა კონკრეტულ პროგრამებს შორის. აქედან: მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამაზე, რომლის განმახორციელებელია ა(ა)იპ სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრი, მიიმართა 1,051.1 ათასი ლარი (გეგმა-პროგნოზი 1,056.6 ათასი ლარი), რომელიც ძირითადი მუხლების მიხედვით გაიხარჯა: შრომის ანაზღაურებაზე 641.7 ათასი ლარი, შტატგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე - 56.1 ათასი ლარი, სპორტულ ღონისძიებებზე - 30.6 ათასი ლარი, ოფისის ხარჯებისთვის - 58.9 ათასი ლარი, კვებაზე - 49.5 ათასი ლარი, სატრანსპორტო მომსახურეობასა და სხვა დანარჩენი ხარჯებისთვის - 208.4 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდის დასაფინანსებლად - 5.9 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ ზუგდიდელმა სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს 80-მდე საერთაშორისო, რესპუბლიკურ და ადგილობრივ სპორტის 20-მდე სახეობის ტურნირში, მათ შორის:

ძიუდო, სამბო, თავისუფალი ჭიდაობა, ჭადრაკი, რაგბი, მძლეოსნობა, კრივი, ხელბურთი, ძალოსნობა, კალათბურთი, მხატვრული ტანვარჯიში, ქვიშის ფრენბურთი, კუდო, კიკ-ბოქსინდი, ტაეკვანდო, კარატე.

სპორტის სხვადასხვა სახეობაში ჩემპიონი და პრიზიორი გახდა 100-მდე სპორტსმენი. მათგან მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე თავი გამოიჩინა 16-მა. მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი სახის მიღწევები:

- საფრანგეთში ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატზე კიკბოქსინგში ჩემპიონი გახდა - დავით ქირია;
- გერმანიაში ჩატარებულ კიკბოქსინგის ევროპის ჩემპიონატში ჩემპიონები გახდნენ: ლადო გაბისონია და ირაკლი ჯგუშია;
- პოლონეთში ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატზე ძალოსნობაში ჭაბუკებს შორის ჩემპიონები გახდნენ: დიმიტრი აბრალავა, ნიკოლოზ ესართია, ირაკლი ვეკუა.
- თურქეთში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე მოსწავლეთა შორის კრივში ჩემპიონი გახდა გიორგი ბიგვავა.

სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამის დაფინანსებისთვის 2022 წელს გათვალისწინებული იყო ასიგნება 219.8 ათასი ლარის ოდენობით, საკასო შესრულებამ შეადგინა 213.0 ათასი ლარი.

აღნიშნული პროგრამის მიზანია ახალგაზრდული პოლიტიკის ხელშეწყობა, ახალგაზრდების პოტენციური უნარებისა და როლის განვითარება, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა მოტივაციის ამაღლება.

პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხები მიიმართა სხვადასხვა ახალგაზრდული და სპორტული პროექტების დაფინანსებისათვის; ახალგაზრდული თემატური ბანაკების ორგანიზებისათვის; საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარებისათვის; პროექტი „ახალგაზრდული სათათბიროს“ ფინანსური ხელშეწყობისათვის; სკაუტების კლუბ „სამეგრელოს“ სამოყვარულო ფეხბურთის გუნდი „მეგრის“ და ამპუტანტ ფეხბურთელთა გუნდი „ოდიშის“ ფინანსური მხარდაჭერისთვის; პროექტში - „ახალგაზრდები და მედია“ მონაწილეობის მისაღებად 6 ზუგდიდელი ახალგაზრდის (13 დან 18 წლამდე) ხორვატიის ქალაქ ველი-ლოსინში ვიზიტის თანადაფინანსებისთვის; 9 ზუგდიდელი ახალგაზრდის პოლონეთის ქალაქ გდანსკში სასწავლო ვიზიტის დასაფინანსებლად; 2022 წლის წარმატებული სპორტსმენებისა და მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოების გადასაცემად; შშმ პირებისთვის შესაძლო ადაპტირებული პირობების

შესაქმნელად; ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოყვარულო კლუბების მიერ სხვადასხვა ახალგაზრდული პროგრამების კუთხით ორგანიზებული და განხორციელებული თემატურ-მიზნობრივი პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსებისათვის.

გასულ წელს მთლიანად ან ნაწილობრივ დაფინანსდა 20-ზე მეტი სპორტული, ახალგაზრდული და გასართობი ხასიათის აქტუალური პროექტი და ღონისძიება.

ცხენოსნობის, როგორც სპორტის ერთ-ერთი ეროვნული სახეობის პოპულარიზების მიზნით ადგილობრივი საცხენოსნო კლუბი - „ხარება“-ს ფინანსური მხარდაჭერისა და საცხენოსნო სპორტის განვითარებისთვის სათანადო პირობების შესაქმნელად, განვიღო წელს ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნება და ათვისებულია 80.0 ათასი ლარი (კოდი 05 03). აღნიშნული პროგრამის განხორციელებამ გარკვეულად შეუწყო ხელი ახალგაზრდა და მოზარდ თაობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია ხელოვნებისა და კულტურის ხელშეწყობის პროგრამა, რომელიც ხორციელდება ა(ა)იპ „ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი“-ს მიერ. 2022 წელს აღნიშნული პროგრამის განხორციელებაზე გეგმა-პროგნოზით გათვალისწინებული იყო 1,200.0 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო შესრულებამ შეადგინა 1,194.7 ათასი ლარი. აქედან თანხის ძირითადი ნაწილი მიმართულია შემოქმედებით მუშაკთა - ანსამბლებსა და სახელოვნებო წრეებში დასაქმებულთა, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურებაზე (927.7 ათასი ლარი); აგრეთვე თანხები გახარჯულია საქონელსა და მომსახურეობაზე (216.1 ათასი ლარი); არაფინანსური აქტივების ზრდას მოხმარდა 50.9 ათასი ლარი.

უნდა აღინიშნოს, რომ ა(ა)იპ „ხელოვნებისა და კულტურის ცენტრის“ საქმიანობის პროფილი მრავალდარგოვანია და მოიცავს სხვადასხვა სფეროს. მათ შორის უნდა გამოიყოს ქართული ფოლკლორის, თეატრალური ხელოვნების, მუსიკალურ-ქორეოგრაფიული, ადგილობრივი მუზეუმების, სამხატვრო და გამოყენებითი ხელოვნების მიმართულებები. ცენტრის მიერ გასულ წელს აქ ჩამოთვლილი სახელოვნებო მიმართულებების მიხედვით ჩატარებულია მნიშვნელოვანი მუშაობა. როგორც საქართველოს ფარგლებს გარეთ, ისე საქართველოს სხვადასხვა რეგიონებსა და თვით ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ორგანიზებული და განხორციელებულია 70-მდე მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელიც ეხება სახელოვნებო, კულტურულ-შემოქმედებითი, თეატრალური, ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ჟანრის აქტივობებს; ცენტრის შემოქმედებითი კოლექტივების, ინდივიდი შემოქმედი ხელოვნების როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო კონკურს-ფესტივალებში მონაწილეობას, მათ მიერ სხვადასხვა ნომინაციებში ლაურეატის წოდების მოპოვებას, მედლებით, სპეციალური დიპლომებითა და სიგელებით დაჯილდოებას.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის პროგრამის ფარგლებში, 2022 წელს ასიგნების მიხედვით გათვალისწინებული იყო 125.6 ათასი ლარის გამოყოფა, ფაქტიურად ათვისებულია 77.9 ათასი ლარი, რომელიც მიიმართა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, პოპულარიზაციის, ამ სფეროში მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების, სამეცნიერო-კვლევითი, არქეოლოგიური-საექსპედიციო, საკონსერვაციო-სარეაბილიტაციო ხასიათის რიგი ღონისძიებისა და აქტივობის დასაფინანსებლად. მათ შორის უნდა გამოიყოს ზოგიერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება და პროექტი კერძოდ:

□ შეიქმნა საგანმანათლებლო - შემეცნებითი პროექტი „ზუგდიდის არქეოლოგია“, რომელიც ითვალისწინებს ვიდეო ლექციების კურსს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ;

□ არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული არტეფაქტების პოპულარიზების მიზნით გამოიყენა სამეცნიერო ნაშრომი - წიგნი „ერგეტა“.

□ გერმანიის იენის უნივერსიტეტის სამეცნიერო ექსპედიციასთან ერთად მოეწყო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საფორტიფიკაციო ნაგებობების გეოფიზიკური დაზვერვა და ციფრულ რუკაზე დატანა;

□ კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსზე - არქეოლოგია ახალგაზრდებთან ერთად, წარდგენილი იქნა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პროექტი „ვიცნობდეთ ცაიშის სამაროვანის არქეოლოგიურ მემკვიდრეობას“;

□ მომზადდა საგრანტო - საკონკურსო პროექტი ეროვნული მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის - „ჭაჭვინჯის ციხე-სიმაგრის, ევროპა-ნოსტრას მიერ ინიცირებული ევროპის 7 განადგურების საფრთხის ქვეშ მყოფი ძეგლის გადარჩენის ფონდში წარსადგენად;

□ ჩერქეზული კულტურის ცენტრთან ერთობლივი თანამშრომლობით ანაკლიაში ჩატარდა IV კავკასიური ლიტერატურული ფესტივალი - „ანაკლია 2022“, ფესტივალზე შედგა ახალი ლიტერატურული გამოცემების პრეზენტაცია. წარმოდგენილი იყო, ჩერქეზული, ქართული, აფხაზური, ჩეჩნური, ბალყარული, ინგუშური, ოსური, დაღესტნური და სხვა კავკასიური ლიტერატურის შემოქმედებითი ნიმუშები;

□ მერიაში, მოქალაქე ლევან ქეცაიას ინიციატივის საფუძველზე, მომზადდა ტექნიკური დოკუმენტაცია და საკრებულოს წარედგინა საქართველოს ეროვნული გმირის, გენერალ-მაიორ გენო ადამიას სახვითი ხელოვნების ძეგლის (ბიუსტი) ქ. ზუგდიდში ე.წ. ევროპული პარკის ტერიტორიაზე განთავსების შესახებ წინადადება, რომელიც დადებითად იქნა გადაწყვეტილი.

მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი წარმოადგენს საინფორმაციო და საგანმანათლებლო ცენტრს.

ა(ა)იპ ბიბლიოთეკების მართვის ცენტრის დასაფინანსებლად 2022 წელს გაიხარჯა 683.8 ათასი ლარი, რომლის ძირითადი ნაწილი მიმართულ იქნა შრომის ანაზღაურებაზე - 628.9 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება - 54.9 ათასი ლარი, აქედან: კომუნალურზე - 12.3 ათასი ლარი, მივლინების ხარჯი - 0.3 ათასი ლარი, წიგნების შეძენაზე - 4.5 ათასი ლარი, ჟურნალ-გაზეთებზე - 4.9 ათასი ლარი.

საბიბლიოთეკო ცენტრის მიერ 2022 წელს მკითხველთა წიგნით და საინფორმაციო მომსახურების კუთხით გაწეული მუშაობის რაოდენობრივი მაჩვენებლები გამოიხატა შემდეგ ციფრობრივ მონაცემებში:

- მკითხველთა/მომხმარებელთა რაოდენობა - 7054;
- წიგნადი ფონდისა და ინფორმაციის გაცემა - 41509;
- დამსწრეთა რაოდენობა - 99025.

გასულ წელს ბიბლიოთეკების მართვის ცენტრმა ცენტრალურ ბიბლიოთეკასთან, სასოფლო და საქალაქო ბიბლიოთეკა-ფილიალებთან და მის დაქვემდებარებაში არსებულ „ამერიკულ კუთხეს“-თან ერთად 100-ზე მეტი პროექტი და აქტივობა განახორციელა, მათ შორის აღსანიშნავია:

□ ცენტრალური ბიბლიოთეკა მონაწილეობას იღებდა ციფრული კოლექციების შექმნაში და აგრძელებდა თანამშრომლობას საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან;

□ ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ ქალთა თვეს ლიტერატურული საღამო - „ქართველი მწიგნობარი ქალები“ მიუძღვნა. საღამოზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ეპოქაში მოღვაწე ქალების ლიტერატურული და მრავალმხრივი საზოგადოებრივი საქმიანობა. აღინიშნა მარიამ დადიანის, ანასტასია ერისთავი-ხომტარიას, ეკატერინე გაბაშვილის, ელენე დარიანისა და ანა კალანდაძის ღვაწლი ქართული ლიტერატურის განვითარების საქმეში.

კულტურული ღონისძიებების დაფინანსებისთვის, რომლის განმახორციელებელია მერიის კულტურის განყოფილება (კოდი 050204), 2022 წელს პროგნოზირებული იყო 166.9 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო შესრულებამ კი შეადგინა 148.3 ათასი ლარი, რომელიც მიმართა სხვადასხვა სახის 15-მდე მნიშვნელოვანი ღონისძიების ჩატარებასა და ორგანიზებაზე. განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ის აქტივობები, რომელიც უკავშირდება ქალთა დღისადმი მიძღვნილ ტრადიციულ ღონისძიებას - „მარტის თვეა შენი“, „აფხაზეთობასთან“ დაკავშირებით მოზარდ მაყურებელთა პროფესიული თეატრის სპექტაკლის - „მე შენ მიყვარხარ“

ჩვენებს, პოლიკარპე ხუბულავას სახელობის ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალის - „კოლხი და ...“ მოწყობას, ქორეოგრაფიული ანსაზლი „კოლხას“ ხელმძღვანელის ემირ ნადარეიშვილის „ვარსკლავი“-ს გახსნას, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის -EU4culture დასკვნითი ღონისძიების და დაჯილდოების ცერემონიალს, „თანაცხოვრების ისტორიები საზღვრის ფესტივალი“-ს ფარგლებში, პოლონეთის ქალაქ სეინის თეატრის კლემენტის ორკესტრის მიერ დადიანების ისტორიული სასახლის ეზოში ჩატარებულ კონცერტს, ბერტა ფონ ზუტნერის „მშვიდობის საერთაშორისო პრემია 2022 - ახალგაზრდებისთვის“ დაჯილდოების ცერემონიას, მიმდინარე წელს დაფუძნებული, ზუგდიდის პირველი კლასიკური მუსიკის ფესტივალის ფარგლებში „ზუგდიდის საპატიო მოქალაქისა და საპატიო ზუგდიდელის“ დაჯილდოების საზეიმო ცერემონიას, გამოჩენილი ქართველი პოეტის, მწერლის, მთარგმნელისა და დიპლომატის რაულ ჩილაჩავას ვარსლავის გახსნას.

ასევე ცალკე აღნიშვნის ღირსია პირველი ქართული რეფერენდუმის დღის, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბადების დღის, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის, საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას დაბადების დღის, 13 ივნისის ტრაგედიის მსხვერპლის მარიამ ქუთელიას ხსოვნის დღის, 2008 წლის 8 აგვისტოს ომში დაღუპულთა ხსოვნის დღის, უგზოუკვლოდ დაღუპულთა ხსოვნის დღის, 1924 წლის აჯანყების მსხვერპლთა ხსოვნის დღის, ძველი და უახლესი ისტორიული თარიღებისადმი მიძღვნილი თემატური ხასიათის აქტივობები.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს რომ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტმა ევროკავშირის პროექტ EU4culture-ს საგრანტო კონკურსში გაიმარჯვა და ქალაქის კულტურის განვითარების სტრატეგიის განსახორციელებად 300.0 ათას ევრომდე დაფინანსება მოიპოვა.

ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგია დამტკიცდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმდინარე წლის 20 მაისის N56 განკარგულებით. საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების შეფასებით საქართველოს სამ ქალაქ შორის გამარჯვებული გამოვლინდა ზუგდიდი, როგორც კულტურული მემკვიდრეობის, ინოვაციების, რეწვისა და გასტრონომიის შემოქმედებითი ქალაქი.

კულტურის სტრატეგიის განხორციელება, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, ქალაქს აძლევს უნიკალურ შესაძლებლობას გაიზარდოს მისი ცნობადობა საერთაშორისო დონეზე, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ეკონომიკური აქტივობის განვითარებას.

ტელერადიომაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის საბიუჯეტო ორგანიზაციული კოდით 2022 წელს გათვალისწინებული იყო 56.4 ათასი ლარის გამოყოფა, ფაქტიურად გახარჯული იქნა 43.0 ათასი ლარი.

რელიგიის ხელშეწყობის პროგრამის დაფინანსებისათვის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული იყო 120.0 ათასი ლარი, ამ მიზნობრივი დანიშნულებით გამოყოფილი თანხა მთლიანად ათვისებულია და ის მიიმართა ზუგდიდის ივერიის ყოვლაწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის მამათა სამონასტრო კომპლექსის მიმდინარე მშენებლობის სამუშაოების დასაფინანსებლად.

სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობის პროგრამას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კულტურის სფეროს სხვა მუნიციპალურ პროგრამებს შორის, რომლის განმახორციელებელია ა(ა)იპ სახელოვნებო სკოლების გაერთიანება, რომელიც საკუთრივ ფუნქციონირებს N1 და N2 სამუსიკო სკოლების, სამუსიკო-საგუნდო სკოლის და სამხატვრო სკოლის სტრუქტურული ერთეულების ბაზაზე. აღნიშნულ მხარჯავ სუბიექტს 2022 წელს ათვისებული აქვს (საკასო შესრულება) 692.4 ათასი ლარი. ათვისებული თანხები ძირითადად მოხმარდა : 584.0 ათასი ლარი - ძირითად მომსახურეთა და შემოქმედებითი პედაგოგიური საქმიანობით დაკავებული მუშაკების შრომის ანაზღაურებას, ხოლო 103.5 ათასი ლარი- მატარებელ მუშაკთა ხელფასებს; გაერთიანების საკუთარმა შემოსავალმა შეადგინა 71.6 ათასი ლარი, რომელიც მიიმართა მიმდინარე საოპერაციო ხარჯების ანაზღაურებაზე.

2022 წელს როგორც სახელოვნებო სკოლებისა და გაერთიანების ადმინისტრაციის ძალებით, ისე საქართველოს მუსიკალურ-სახელოვნებო ცენტრებთან მათი ჩართულობით ჩატარებულია და განხორციელებულია 60 აქტივობა და პროექტი. აღნიშნულ აქტივობებსა და პროექტებში მონაწილე სახელოვნებო სკოლების მუსიკალურმა ანსაზლებმა და გუნდებმა, შემოქმედებითმა ჯგუფებმა როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო მუსიკალურ-შემოქმედებით კონკურსებზე და

კონკურსფესტივალებზე მიღწეული განსაკუთრებით მაღალი შედეგებისათვის ჯილდოს სახით მოიპოვეს არაერთი მედალი, დიპლომი, სიგელი, „გრან-პრი“ და ლაურეატის წოდებები.

ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთერთი პრიორიტეტული სფეროა.

2022 წელს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური პროგრამებისათვის პროგნოზირებული იყო ბიუჯეტიდან 4608.4 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო შესრულებამ კი შეადგინა 3558.7 ათასი ლარი. ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებანი ჯანდაცვისა და სოციალურ სფეროს მიკუთვნებული პროგრამებისა და ღონისძიებების მიხედვით მიმართული იქნა შემდეგი სახით:

ა) მუნიციპალიტეტზე დელეგირებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ფუნქციების შესასრულებლად, რომელიც პროგრამულად ხორციელდება ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ, ათვისებულია 361.3 ათასი ლარი (გეგმა-პროგნოზი 377.0 ათასი ლარი). აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, ცენტრის მიერ შესრულებულია მნიშვნელოვანი სამუშაოები და ჩატარებულია რიგი აქტივობები, რომელიც მოიცავს დაავადებათა ზედამხედველობის ელექტრონულ-ინტეგრირებულ სისტემაში ინფექციური დაავადებების დარეგისტრირებას, პროფილაქტიკური აცრების ჩატარებას, „დედათა და ბავშვთა სახელმწიფო პროგრამა“-ს ფარგლებში ინფექციურ დაავადებებზე ორსულთა გამოკვლევის, თამბაქოს კონტროლის ჩარჩო-კონვენციის იმპლემენტაციის ფარგლებში სახელმწიფო, სასწავლო დაწესებულებებში საზოგადოებრივი კვების, მომსახურების სფეროს ობიექტებში, „სილამაზის სალონებში“, საზოგადოებრივ ტრანსპორტში კონტროლის ღონისძიებებს, საბავშვო ბაღებში, სტომატოლოგიურ კაბინეტებში ინფექციის მონიტორინგის ჩატარების, C-ჰეპატიტის, აივ შიდსის და ტუბერკულოზის პროგრამების ფარგლებში სკრინინგის, პარაზიტოლოგიურ დაავადებებზე ლაბორატორიული კვლევის საკვანძო საკითხებს და სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებს.

გასულ წელს ცენტრს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამული 06 01 01 კოდით ათვისებული აქვს 361.3 ათასი ლარი, 06 01 02 კოდით (ჯანდაცვის სხვა ღონისძიებები) 15.6 ათასი ლარი, საკუთარი სახსრებით კი, რომელიც მოიცავს სახელმწიფო ცენტრალიზებულ დაფინანსებას 823.0 ათასი ლარი.

ბ) მუნიციპალური სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების ფარგლებში 10191 ბენეფიციარის დახმარებასა და სერვისებზე გეგმა-პროგნოზით გათვალისწინებული იყო 4162.4 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო შესრულებამ კი შეადგინა 3149.5 ათასი ლარი. აქედან:

ცალკე აღებული სოციალური დაცვის მუნიციპალური პროგრამით ათვისებულია 1692.6 ათასი ლარი, გეგმა-პროგნოზით კი განსაზღვრული იყო 2646.8 ათასი ლარი (გარღვევამ შეადგინა 954.2 ათასი ლარი). გეგმა-პროგნოზით გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნების მთლიანობაში ათვისებლობა ძირითადად განაპირობა იმ გარემოებამ, რომ სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის (პირები) გათვალისწინებული „სოციალური სახლების მშენებლობა“-ს ქვეპროგრამით გათვალისწინებული თანხების ათვისებაში ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან ჩამორჩენას (გეგმა-პროგნოზი 1072.5 ათასი ლარი, ფაქტიური-საკასო შესრულება 178.5 ათასი ლარი). ეს გამოწვეულია სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური მიზეზებით, კერძოდ მშენებლობის ტექნიკური დოკუმენტაციების მომზადებასთან და ტენდერების გამოცხადებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების კუთხით შექმნილი შეფერხებებით, სამუშაოების დაწესებული ვადების დარღვევით და სხვა სახის სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობით.

სოციალური მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში ათვისებული თანხა (1692.6 ათასი ლარი) მიიმართა კონკრეტული ქვეპროგრამების მიხედვით (მონაცემები თან ერთვის განმარტებით ბარათს-დანართი N2).

სამედიცინო დახმარების მუნიციპალური პროგრამის ასიგნება გეგმა-პროგნოზით განსაზღვრული იყო 1515.7 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 1456.9 ათასი ლარი. სამედიცინო მომსახურების სერვისებით და დახმარებით ისარგებლა 5132 ბენეფიციარმა; ამ კუთხით შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შუამდგომლობა გაეწია მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ 543 მოქალაქეს.

სამედიცინო დახმარების მიმართულებით ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები მიიმართა შესაბამის ქვეპროგრამებზე (მონაცემები თან ერთვის განმარტებით ბარათს-დანართი N3).

ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 63 ბავშვის დახმარებებსა და სერვისებზე გამოიყო და გაიხარჯა 32.3 ათასი ლარი (საპროგნოზო მონაცემი 49.0 ათასი ლარი). აქედან:

- 13.5 ათასი ლარი - სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვის მატერიალური დახმარების ქვეპროგრამაზე;
- 2.4 ათასი ლარი - ბავშვთა სადღესასწაულო და სოლიდარობის დღეების აღნიშვნის ქვეპროგრამაზე;
- 16.4 ათასი ლარი - სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის სპორტულ-გამაჯანსაღებელი წრეების ქვეპროგრამაზე;

კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მხარდაჭერის ქვეპროგრამის დაფინანსების კუთხით თანხა არ გაცემულა საბიუჯეტო წლის განმავლობაში მოთხოვნის არ არსებობს გამო.

მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის წლიურ ანგარიშში ასახული მაჩვენებლებიდან გამომდინარე, გასული წლის გადასახდელების შესრულების ძირითადი ფინანსური პარამეტრები სინთეზურ ჭრილში წარმოდგენილია შემდეგი სახით:

- შრომის ანაზღაურება - 7325.5 ათასი ლარი;
- საქონელი და მომსახურება - 6081.5 ათასი ლარი;
- ფინანსური ვალდებულებების (სესხი) პროცენტი - 1925.8 ათასი ლარი;
- სუბსიდია - 27343.8 ათასი ლარი;
- გრანტი - 53.6 ათასი ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფა - 2830.5 ათასი ლარი;
- სხვა ხარჯები - 1646.6 ათასი ლარი;
- არაფინანსური აქტივების ზრდა - 11612.6 ათასი ლარი;
- ვალდებულებების კლება - 978.6 ათასი ლარი.

უნდა აღინიშნოს, რომ 2022 საფინანსო წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ასიგნებები გამოყოფილია დამტკიცებული (დაზუსტებული) ბიუჯეტის ფინანსური პარამეტრების ფარგლებში, რომელიც მიიმართა გეგმაზომიერად და იხარჯებოდა მიზნობრივი დანიშნულებით.

2023 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულება

საქართველოს საბიუჯეტო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ზუგდიდის 2023 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2022 წლის 28 დეკემბრის N44 დადგენილებით. ბიუჯეტის მოცულობა თავდაპირველად განისაზღვრა 57882.0 ათასი ლარით. მიმდინარე საფინანსო წლის განვლილ პერიოდში, საკრებულოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით მასში შეტანილი იქნა ცვლილებები, რომელიც ეხებოდა ახალი საბიუჯეტო წლის დასაწყისისათვის ნაშთის სახით არსებული ვალდებულებათა ქვეშ მყოფი და ვალდებულებით დაუტვირთავი თავისუფალი თანხების, სახელმწიფო ბიუჯეტიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მუნიციპალიტეტისათვის გრანტების სახით გამოყოფილი ფულადი სახსრების და შიდა საბიუჯეტო ცვლილებების ადგილობრივ ბიუჯეტში ასახვას. ამ გარემოებების გავლენის შედეგად მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის მოცულობამ 1 ოქტომბრის მდგომარეობით შეადგინა 79815.5 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის მიმდინარე წლის ბიუჯეტის 9 თვის ძირითადი ფინანსური პარამეტრების შესრულება, მიმოხილვიდან გამომდინარე იძლევა შემდეგ სურათს:

ბიუჯეტის შემოსულობები

მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის 9 თვის შემოსულობების გეგმა-პროგნოზი სამი კვარტლის ნაზარდი ჯამით განისაზღვრა 59017.5 ათასი ლარის ოდენობით, საკასო შესრულებამ კი შეადგინა 54794.0 ათასი ლარი ანუ პროგნოზით გათვალისწინებული მაჩვენებლის 92.8%.

მთლიანი შემოსავლები 9 თვეში განსაზღვრული იყო 56582.7 ათასი ლარით, ფაქტიური შესრულება შეადგენს 53896.3 ათას ლარს ანუ პროგნოზირებული მაჩვენებლის 95.2%-ს. საკუთარი შემოსავლების გეგმა-პროგნოზი შეადგენდა 42627.6 ათას ლარს, ფაქტიურად შემოსულია 39422.4 ათასი ლარი, რაც პროგნოზირებული მონაცემის მიმართ არის 92.5%.

ბიუჯეტის შემოსავლების შესრულება ძირითადი სახეების მიხედვით ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

ა) საგადასახადო შემოსავლების (დღგ, ქონების გადასახადი) ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 34684.2 ათასი ლარი (გეგმა-პროგნოზი 36835.6 ათასი ლარი) ანუ პროგნოზირებული მაჩვენებლის 94.1%.

გადასახადებიდან შემოსავლები ბიუჯეტში ცალკეული სახეების მიხედვით შემოსულია:

- ქონების გადასახადი - 6390.1 ათასი ლარი (გეგმა-პროგნოზი 7544.4 ათასი ლარი);
- დამატებული ღირებულების გადასახადი - 28294.1 ათასი ლარი (გეგმა-პროგნოზი 29291.2 ათასი ლარი).

ბ) სხვა შემოსავლები (შემოსავლები საკუთრებიდან, ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები, საქონლის და მომსახურების რეალიზაცია, სანქციები, ჯარიმები და საურავები, ტრანსფერები რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული) ბიუჯეტში შემოსულია 4510.2 ათასი ლარი (გეგმა-პროგნოზი

5721.3 ათასი ლარი), რაც პროგნოზირებული მდომარეობის 78.8%-ს შეადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ სხვა შემოსავლების შესრულებას მე-3 კვარტალში 500.0 ათასი ლარი დააკლდა სათამაშო ბიზნესის - ტოტალიზატორის მუნციპალიტეტის ტერიტორიიდან გასვლის გამო.

სხვა შემოსავლები გასულ 9 თვეში, ბიუჯეტს ძირითადი სახეების მიხედვით მიღებული აქვს:

- 505.3 ათასი ლარი - შემოსავალი საკუთრებიდან (მათ შორის პროცენტის სარგებელი - 141.4 ათასი ლარი, რენტა - 363.9 ათასი ლარი);
- 1995.8 ათასი ლარი - საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია;
- 1907.5 ათასი ლარი - ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები (მათ შორის: სანებართვო მოსაკრებელი 117.9 ათასი ლარი, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 1287.7 ათასი ლარი, ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 501.3 ათასი ლარი; აღსანიშნავია, რომ დასუფთავების ფაქტიურად მიღებული მოსაკრებლის ოდენობა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაზრდილია 86.6 ათასი ლარით; შემოსავლები მომსახურების გაწევიდან (შენობებისა და ნაგებობების, მანქანა-დანადგარებისა და მოწყობილობების იჯარით ან მართვით გადაცემა) 88.3 ათასი ლარი;
- 1685.2 ათასი ლარი - ჯარიმები, სანქციები და საურავები (მათ შორის: საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის - 1420.0 ათასი ლარი, შემოსავლები სხვა დანარჩენი ჯარიმებიდან - 217.1 ათასი ლარი). უნდა ითქვას, რომ მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმებიდან შემოსავალი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მიღებულია 371.2 ათასი ლარით მეტი.
- 323.9 ათასი ლარი - ტრანსფერი, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსულობები, რომელიც პროგნოზირებული იყო 9 თვეში, ვერ შესრულდა სხვადასხვა მიზეზების გამო. აღნიშნულ პერიოდში ფაქტიურად მიღებული იქნა 897.7 ათასი ლარი, რაც გეგმა-პროგნოზის (2434.8 ათასი ლარი) 36.8%-ს შეადგენს. პროგნოზირებული მაჩვენებლის შეუსრულებლობის ძირითადი მიზეზია მერიის მიერ გამოცხადებული, მაგრამ მთელ რიგ შემთხვევებში არშემდგარი საპრივატიზებო აუქციონები (ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ სექტემბრის თვეში პრივატიზებული იქნა ყოფილი რაიონის კულტურის სახლი და მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი, რომლის საფასურმა თანხობრივად შეადგინა 1600.0 ათასი ლარი, მაგრამ კანონით დადგენილი ვადის მიხედვით, ამ თანხის უდიდესი ნაწილი, კერძოდ 1450.0 ათასი ლარი ბიუჯეტში ჩაირიცხა 6 ოქტომბერს და მან ასახვა ვერ ჰპოვა მე-3 კვარტლის მონაცემებში).

გრანტები, რომელიც მოიცავდა ერთობლივად სახელმწიფო ბიუჯეტიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მისაღებ თანხებს, 9 თვეში პროგნოზირებული იყო 14025.8 ათასი ლარის ოდენობით, ფაქტიურად შესრულებამ კი შეადგინა 14701.9 ათასი ლარი ანუ პროგნოზირებული მაჩვენებლის 104.8%. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები გრანტების უდიდესი ხვედრითი წილი მოდის კაპიტალურ ტრანსფერებზე, მათი გამოყოფისა და ადგილობრივ ბიუჯეტში ჩარიცხვის საკმაოდ რთული პროცესის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, გრანტების ნაწილში თანხების ათვისების ფაქტიური მონაცემები მთლიანობაში დადებითად უნდა იქნეს შეფასებული.

საკრებულოს მიერ დამტკიცებული 2023 წლის საწყისი ბიუჯეტის მოცულობა პროგნოზირებული იყო 57882.0 ათასი ლარის ოდენობით. შემდგომ ბიუჯეტში შესული ცვლილებების შედეგად, რომელიც მოიცავს მიმდინარე საფინანსო წლის დასაწყისში არსებული ფულადი ნაშთების და სახელმწიფო ბიუჯეტიდან ძირითადად ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად გამოყოფილი თანხების ბიუჯეტში ასახვას, ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიანმა მოცულობამ, რომელიც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, შეადგინა 79815.5 ათასი ლარი, მათ შორის საკუთრივი ბიუჯეტის ოდენობა უტოლდება 61453.6 ათას ლარს, ხოლო მისი მოცულობა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით 18530.9 ათას ლარს.

ამდენად, საწყისი ბიუჯეტის მოცულობა (57882.0 ათასი ლარი) მთლიანობაში გაიზარდა 21933.5 ათასი ლარით. აქედან 8278.3 ათასი ლარი არის წლის დასაწყისში არსებული მთლიანი ნაშთის თანხა, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ნაშთი იყო 5337.6 ათასი ლარი. აღნიშნული ნაშთის შესამცირებლად გარკვეული პრაქტიკული სამუშაოებია ჩატარებული, რასაც ცხადყოფს, ის რომ 1 ოქტომბრისთვის მისმა მოცულობამ შეადგინა 2150.1 ათასი ლარი, ანუ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფულადი სახსრების ნაშთი შემცირდა 3187.5 ათასი ლარით. ამასთან, მ/წ 23 ოქტომბრის მდგომარეობით აღნიშნული მაჩვენებელი კიდევ უფრო შემცირდა და შეადგინა 1869.7 ათასი ლარი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არის მიზეზები, რომლებიც აფერხებენ ნაშთების მინიმუმამდე დაყვანას. მაგალითად, მიმდინარე წელთან მიმართებაში, ნაშთების დაგროვებას წინ უძღოდა ის გარემოებები, რომ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 დეკემბრის N2435 და N131 განკარგულებებით მოხდა ჭითაწყარისა და ჯიხაშკარის გზების სარეაბილიტაციო, ასევე სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის თანხების - ჯამში 2730.0 ათასი ლარის ფაქტიური საკასო გამოყოფა წინასწარ და არა ისე, როგორც სხვა შემთხვევაში, ანუ შესრულებული სამუშაოების მიხედვით.

არის სხვა მიზეზებიც, რომლებიც განაპირობებენ ნაშთების დაგროვებას, როგორცაა: ხელშეკრულებათა შეწყვეტის შედეგად, სასამართლო განხილვას დაქვემდებარებული გასული წლების თანხები, დროულად დაუმთავრებელი სამუშაოების შედეგად დარჩენილი და შესრულებული სამუშაოების ეკონომიებიდან მიღებული თანხები და სხვა გაუთვალისწინებელი ფაქტორები.

გარდა მიმდინარე საფინანსო წელში წინა წლის ნაშთის სახით გადასული თანხებისა, 2023 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში აისახა:

1. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2475 განკარგულებით (მასში შესული ცვლილებით) გამოყოფილი 6742.0 ათასი ლარი, მათ შორის 6368.5 ათასი ლარი გზების რეაბილიტაციისათვის, 83.5 ათასი ლარი წყალმომარაგების რეაბილიტაციისათვის და 290.0 ათასი ლარი ქალაქ ზუგდიდის „კოლხეთის“ და ნაწულუკუს ადმინისტრაციულ ერთეულებში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობისათვის.
2. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2476 განკარგულებით გამოყოფილი 948.0 ათასი ლარი „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელებისათვის“.
3. საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის N115 და N116 განკარგულებებით სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციოდ გამოყოფილი 1937.0 ათასი ლარი.
4. საქართველოს მთავრობის 2023 წლის N147 განკარგულებით გამოყოფილი საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირებისათვის გამოყოფილი 2031 ათასი ლარი.
5. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2472 განკარგულების და 2023 წლის იანვრის შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, პირველ ეტაპზე დაგეგმილი ევროკულტურის გრანტის ნაწილი 70.7 ათასი ლარი.
6. საქართველოს მთავრობის 2023 წლის 17 მარტის N545 განკარგულებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტზე საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში გრანტის სახით გამოყოფილი 560.0 ათასი ლარი.
7. საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 აპრილის N761 განკარგულებით გამოყოფილი ზუგდიდის მუნიციპალიტეტისათვის წინა წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადაცემული სახსრებით სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას წარმოქმნილი ეკონომიის თავისუფალი თანხა, ჯამში 560.0 ათასი ლარი.

8. საქართველოს მთავრობის 2023 წლის 9 ივნისის N1085 განკარგულებით, მგზავრთა გადაყვანის უზრუნველყოფის მიზნით ავტობუსების შესაძენად გამოყოფილი 274.8 ათასი ლარი.

მიმდინარე წლის 9 თვეში ბიუჯეტის გადასახდელების გეგმა-პროგნოზი განისაზღვრა 67414.0 ათასი ლარის ოდენობით, საკასო შესრულებამ შეადგინა 60124.9 ათასი ლარი (89.2%).

ზემოთმითითებული სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით, ასევე საკუთარი ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხებით და გასული წლის ფულადი ნაშთებით გადასახდელების უდიდესი ნაწილი მოდის ინფრასტრუქტურის სფეროზე.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის დარგით (კაპიტალური პროექტები) 9 თვეში მიიმართა სულ 15427.1 ათასი ლარი, (რაც შეეხება კანონით ამ სფეროს მიკუთვნებულ მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, მათ შესახებ მიმოხილვითი მონაცემები წინამდებარე განმარტებით ბარათში ცალკე არის გაშუქებული), აქედან სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით 12399.4 ათასი ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით 3027.7 ათასი ლარი.

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებას მთლიანობაში მოხმარდა 7712.4 ათასი ლარი, აქედან 6917.0 ათას ლარს შეადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები.

საგზაო ნიშნების მოწყობისა და მოძრაობის უსაფრთხოების პროგრამის /კოდი 02 01 03/ მიერ 9 თვის განმავლობაში გაიხარჯა 205.2 ათასი ლარი, რომელიც მოხმარდა შემდეგი პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელებას, კერძოდ:

9 თვის პერიოდში განხორციელებულია 43.9 ათასი ლარის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მაფრთხილებელი და ამკრძალავი საგზაო ნიშნების მოწყობისათვის.

მოსახლეობის განცხადებების საფუძველზე შესყიდულია 20.5 ათასი ლარის სამუშაოების შესყიდვა 1500 ერთეული სიჩქარის შემზღუდავი ბარიერი (ე.წ. „ბორცვი“).

9 თვის მანძილზე, შესრულებულია ჰორიზონტალური მონიშვნის სამუშაოები, რომლის ხარჯმაც შეადგინა 112.5 ათასი ლარი.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის მოწესრიგებისა და ავტოსაგზაო შემთხვევების პრევენციის მიზნით, განთავსდა 169 ერთეული ვიდეო-სამეთვალყურეო კამერები, რომლის მომსახურების ხარჯმა 9 თვეში შეადგინა 2.7 ათასი ლარი.

ასევე ქუჩებზე მოეწყო ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელები ე.წ. „ზებრა“ ხაზები და გატარდა ღონისძიებები, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა მუნიციპალიტეტში.

წყლისა და სანიაღვრე სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციაზე გახარჯულია 954.4 ათასი ლარი, აქედან 339.7 ათას ლარს შეადგენს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები, ხოლო 614.7 ათას ლარს ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრები.

გარე განათების მოწყობაზე მიიმართა 75.4 ათასი ლარი (ქ. ზუგდიდში, თაბუკაშვილის ქუჩაზე გარე განათების მოწყობის სამუშაოები); 9 თვეში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების დანიშნულებით გახარჯული ელექტროენერჯის ღირებულების ასანაზღაურებლად მიიმართა 989.3 ათასი ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განხორციელებულ სამუშაოებზე მიიმართა 1177.9 ათასი ლარი, აქედან 903.5 ათას ლარს შეადგენს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები, ხოლო 274.4 ათას ლარს ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრები.

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობაზე გახარჯულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები - 648.4 ათასი ლარი.

რგფ-დან და მგფ-დან განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსებაზე მიიმართა 957.4 ათასი ლარი;

სამშენებლო ზედამხედველობისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე გახარჯულია 134.0 ათასი ლარი;

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებზე სულ მიიმართა 3365.5 ათასი ლარი, აქედან 3315.9 ათას ლარს შეადგენს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები.

სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამით განხორციელებულ პროექტებზე ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით გახარჯულია 332.6 ათასი ლარი.

9 თვის განმავლობაში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში /კოდი 02 05/ დაფინანსდა მერიაში რეგისტრირებული სხვადასხვა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მიერ წარმოდგენილი 10 პროექტი. დაფინანსების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა - 260.9 ათასი ლარი.

ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის “კეთილმოწყობის მართვის ცენტრისათვის”, 9 თვეში ბიუჯეტიდან გამოყოფილი და ათვისებულია 3591.7 ათასი ლარი, მათ შორის: შრომის ანაზღაურებაზე 2201.9 ათასი ლარი, გაცემულია ფულადი ჯილდო 178.7 ათასი ლარი, შტატგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურება 182.6 ათასი ლარი, გაწეულია ოფისის ხარჯი სულ 400.3 ათასი ლარი, (მათ შორის: ელექტროენერჯის ხარჯი 14.6 ათასი ლარი, გახარჯული წყლის ხარჯი (შადრევნების) 26.7 ათასი ლარი). ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის მოვლა-შენახვის ხარჯი 427.6 ათასი ლარი (მათ შორის საწვავის ხარჯი 169.4 ათასი ლარი).

2023 წლის 9 თვეში ა(ა)ი.პ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“-ს მიერ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სისტემატურად ხდებოდა გარე-განათების ქსელის მოვლა, ექსპლუატაცია-რეაბილიტაციასთან და ქსელის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული სამუშაოებისა და საჭირო ღონისძიებების განხორციელება და ამ მიზნით გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 167.3 ათასი ლარი.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პერიოდულად ხორციელდებოდა წყალმომარაგების სისტემების აღდგენა-რეაბილიტაცია, წყალსაქაჩი ტუმბოებისა და ტუმბოს ძრავების შესყიდვა-შეკეთება,შადრევნების მოვლა-პატრონობა და მოწესრიგებასთან დაკავშირებული სამუშაოები და ამ კუთხით „ცენტრი“-ს მიერ გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 14.3 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სისტემატურად მიმდინარეობდა სანიაღვრე არხების ამოწმენდა-რეაბილიტაციასთან, გზების მოსწორება-მოხრეშვასთან, ზღვის სანაპირო ზოლის მოწესრიგებასთან და მდინარეების კალაპოტის ამოწმენდასთან დაკავშირებული სამუშაოები.

2023 წელს პერიოდულად მიმდინარეობდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გამწვანების ობიექტების, მწვანე ნარგავების, დეკორატიული ხე-მცენარეების, მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული სამუშაოები.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა პატრონობის დამტკიცებული წესის შესაბამისად ხორციელდება სასაფლაოების მოვლა,მოწყობა-პატრონობა. მოქალაქეთა მოთხოვნის საფუძველზე 2023 წლის 9 თვეში გაცემულია 3340 კვ.მ სასაფლაო მიწის ნაკვეთი თანხით 40.8 ათასი ლარი. (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უფასოდ გაცემულია 108 კვ.მ სასაფლაო მიწის ნაკვეთი).

ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის “კეთილმოწყობის მართვის ცენტრისათვის”, 9 თვეში ბიუჯეტიდან გამოყოფილი და ათვისებულია 3591.7 ათასი ლარი, მათ შორის: შრომის ანაზღაურებაზე 2201.9 ათასი ლარი, გაცემულია ფულადი ჯილდო 178.7 ათასი ლარი, შტატგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურება 182.6 ათასი ლარი, გაწეულია

ოფისის ხარჯი სულ 400.3 ათასი ლარი, (მათ შორის: ელექტროენერჯის ხარჯი 14.6 ათასი ლარი, გახარჯული წყლის ხარჯი (შადრევნების) 26.7 ათასი ლარი). ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის მოვლა-შენახვის ხარჯი 427.6 ათასი ლარი (მათ შორის საწვავის ხარჯი 169.4 ათასი ლარი).

2023 წლის 9 თვეში ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“-ს მიერ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სისტემატურად ხდებოდა გარე-განათების ქსელის მოვლა, ექსპლუატაცია-რეაბილიტაციასთან და ქსელის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული სამუშაოებისა და საჭირო ღონისძიებების განხორციელება და ამ მიზნით გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 167.3 ათასი ლარი.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პერიოდულად ხორციელდებოდა წყალმომარაგების სისტემების აღდგენა-რეაბილიტაცია, წყალსაქაჩი ტუმბოებისა და ტუმბოს ძრავების შესყიდვა-შეკეთება,შადრევნების მოვლა-პატრონობა და მოწესრიგებასთან დაკავშირებული სამუშაოები და ამ კუთხით „ცენტრი“-ს მიერ გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 14.3 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სისტემატურად მიმდინარეობდა სანიაღვრე არხების ამოწმენდა-რეაბილიტაციასთან, გზების მოსწორება-მოხრეშვასთან, ზღვის სანაპირო ზოლის მოწესრიგებასთან და მდინარეების კალაპოტის ამოწმენდასთან დაკავშირებული სამუშაოები.

2023 წელს პერიოდულად მიმდინარეობდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გამწვანების ობიექტების, მწვანე ნარგავების, დეკორატიული ხე-მცენარეების, მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული სამუშაოები.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა პატრონობის დამტკიცებული წესის შესაბამისად ხორციელდება სასაფლაოების მოვლა,მოწყობა-პატრონობა. მოქალაქეთა მოთხოვნის საფუძველზე 2023 წლის 9 თვეში გაცემულია 3340 კვ.მ სასაფლაო მიწის ნაკვეთი თანხით 40.8 ათასი ლარი. (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უფასოდ გაცემულია 108 კვ.მ სასაფლაო მიწის ნაკვეთი).

დასუფთავება და გარემოს დაცვა

2023 წლის პირველ სამ კვარტალში (9 თვე) დასუფთავებისა და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებაზე მიმართულ იქნა 6,026.2 ათასი ლარი (გეგმა-პროგნოზი 6,431.8 ათასი ლარი), აქედან 4,686.7 ათასი ლარი მოდის დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის მუნიციპალური პროგრამის დაფინანსებაზე, რომლის განმახორციელებელია ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავები“-ს ცენტრი. ბიუჯეტის ასიგნებიდან ცენტრის მიერ ათვისებული თანხის უდიდესი ნაწილი 3,381.1 ათასი ლარი მიმართულ იქნა შრომის ანაზღაურებაზე.

2023 წლის პირველ სამ კვარტალში ააიპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრის“ მიერ დაგეგმილი სამუშაოები სრულდებოდა დამტკიცებული გეგმების შესაბამისად:

მყარი ნარჩენების გატანის სერვისი შეუფერხებლად მიეწოდებოდა ქალაქისა და 48 ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობას და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებულ კომერციულ, ინსტიტუციურ და ინდუსტრიულ ობიექტებს. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ნაგავსაყრელში გაზიდულია 20.7 ათასი ტონა მყარი მუნიციპალური ნარჩენი, მათ შორის ქალაქის ტერიტორიიდან 14.1 ათასი ტონა, ადმინისტრაციული ერთეულებიდან კი 6.6 ათასი ტონა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ქალაქ ზუგდიდსა და სასოფლო ადმინისტრაციულ ერთეულებში ყოველდღიურად საშუალოდ დაგვა-აკრეფის მეთოდით სუფთავდებოდა 45.7 ჰექტარი ფართობი, მათ შორის ქალაქის ტერიტორიაზე 31.1 ჰექტარი, სასოფლო ადმინისტრაციულ ერთეულებში კი 14.6 ჰექტარი. გარდა ამისა, ხელის აკრეფის წესით სუფთავდებოდა ქალაქისა და სასოფლო 48 ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრები, მთავარი გზების გზისპირები და ტროტუარები, მასობრივი თავშეყრის ადგილები, ბალები და სკვერები.

საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის ხელშეწყობით, ნარჩენების მართვის ახალი 5 წლიანი გეგმის შესაბამისად მუნიციპალიტეტში 2023 წლის თებერვლის თვის ბოლოდან დაიწყო ქაღალდისა და მუყაოს სეპარირება-რეციკლირების საპილოტე პროგრამის განხორციელება, რომელსაც ოპერირებას ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით უწევს ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრი“. 2023 წლის 7 თვეში სეპარირებული იქნა 4 000 მ³-ზე მეტი ქაღალდი და მუყაო და მიღებული იქნა 138.1 ტონა დაწნეხილი მასალა. ეს პირველი შემთხვევაა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მყარი ნარჩენების მართვის ისტორიაში, როდესაც შეგროვებული მყარი ნარჩენი მთლიანად არ იქნა გაზიდული ნაგავსაყრელში და 4 000 მ³ ქაღალდისა და მუყაოს დაწნეხილი ნედლეული დაბრუნდა ცირკულარულ ეკონომიკაში. დაწნეხილი 138.1 ტონა ქაღალდისა და მუყაოს მასიდან რეალიზებულ იქნა 88 ტონა, შედეგად ადგილობრივმა ბიუჯეტმა მიიღო 16.4 ათასი ლარის დამატებითი ფულადი შემოსავალი, ხოლო მისი სეპარირებული შეგროვებით ნაკლები ზარალი მიადგა გარემოს.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში 20%-ით განახლდა ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: მიღებული იქნა 16 ერთეული სხვადასხვა სახის სპეცტექნიკა და 2550 ნაგავშემკრები კონტეინერი, რამაც მკვეთრად გააუმჯობესა მუნიციპალიტეტში მოსახლეობისა და ეკონომიკის სექტორის მომსახურებისა და ეკოლოგიური დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლის ხარისხი.

გარემოს დაცვის სფეროში შემავალი მხარჯავი სუბიექტის შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS“-ის ფინანსურ ხელშეწყობაზე (პროგრამული კოდი 03 02) ასიგნება პირველ სამ კვარტალში გეგმა-პროგნოზით განსაზღვრული იყო 548.2 ათასი ლარი, ათვისებულია 472.2 ათასი ლარი. სუბსიდირებული თანხების ძირითადი ნაწილი მიიმართა: 258.2 ათასი ლარი - შრომის ანაზღაურებაზე; 35.7 ათასი ლარი - მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულების ანაზღაურებაზე. ამასთან თანხები გაიხარჯა შემდეგი ძირითადი კაპიტალური და სამეურნეო დანიშნულების ღონისძიებებზე.

ბოტანიკური ბაღის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში 9 თვის მონაცემების მიხედვით განხორციელებულია მნიშვნელოვანი სამუშაოები და ჩატარებულია რიგი მიზნობრივ-თემატური აქტივობა.

ზემოაღნიშნულ პერიოდში ა(ა)იპ „ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღი“-ს, როგორც ხსენებული პროგრამის განმახორციელებელ სუბიექტს, განვილილ 9 თვეში ბიუჯეტიდან გამოეყო ასიგნება 797.0 ათასი ლარი, რომელიც მიიმართა შემდეგი ძირითადი ხარჯების ასანაზღაურებლად: 733.4 ათასი ლარი მოხმარდა მუშაკთა შრომის ანაზღაურებას; 44.5 ათასი ლარი მიიმართა საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე, აქედან 34.9 ათასი ლარი ოფისის ხარჯებზე; 5.1 ათასი ლარი ტრანსპორტის, ტექნიკის, იარაღის ექსპლოატაციასა და მოვლა-შენახვაზე; 4.5 ათასი ლარი შტატგარეშე თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებაზე; არაფინანსური აქტივების ზრდას მოხმარდა 11.0 ათასი ლარი (საბავშვო ატრაქციონის შექმნა).

ბოტანიკურ ბაღში ვიზიტორთა და დამთვალიერებელთა მომსახურების ფასიანი ტარიფების ამოქმედების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა ბაღის საკუთარი ფულადი შემოსავლები. ერთჯერადი ბილეთების და აბონემენტების რეალიზაციიდან მიღებულმა ფულადმა შემოსავლებმა 9 თვეში შეადგინა 165.4 ათასი ლარი.

განათლება

მუნიციპალიტეტში 2023 წელს განათლების დარგის დაფინანსებისთვის 9 თვეში სუბსიდიის მოცულობა განისაზღვრა 10981.3 ათასი ლარით (მათ შორის ბიუჯეტის საკუთარი სახსრებით 8675,1 ათასი ლარი), საკასო შესრულებამ შეადგინა 9917.0 ათასი ლარი. აღნიშნული საბიუჯეტო ასიგნებიდან 7168.0 ათასი ლარი ანუ 65%-ი მიიმართა განათლების კუთხით მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტის სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის პროგრამის დაფინანსებაზე. ამ დარგში 2023 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობა მიზნად ისახავდა ბავშვთა სკოლამდელი განათლების და აღზრდის ხარისხის ამაღლებას, სკოლამდელ დაწესებულებათა მატერიალური ბაზის და შიდა ინფრასტრუქტურის განვითარებას, აღსაზრდელთა დადგენილი სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფას, აღმზრდელ პედაგოგთა და მომსახურეთა შრომისა და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას.

ა(ა)იპ სკოლამდელ საღმრთლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის საქმიანობა წლის განვლილ პერიოდში მიმართული იყო ბავშვთა სკოლამდელი აღზრდის ხარისხის ამაღლების, სკოლამდელ დაწესებულებათა მატერიალური ბაზის გაუმჯობესების, აღსაზრდელთა დადგენილი სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფისათვის, რომელიც უკავშირდება ამჟამად მუნიციპალიტეტში მოქმედი 63 საბავშვო დაწესებულების (ბავი) ფუნქციონირებას.

ზემოაღნიშნული ცენტრის მიერ, 2023 წლის 9 თვეში ათვისებული თანხა (7168.0 ათასი ლარი) ძირითადად მოხმარდა: 5448.4 ათასი ლარი - შრომის ანაზღაურებას; 1520,3 ათასი ლარი საქონელსა და მომსახურებას, მათ შორის 143,3 ათასი ლარი - შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებას, 640,0 ათასი ლარი - კვების ხარჯებს, 567,4 ათასი ლარი - ოფისის ხარჯებს, 161,0 ათასი ლარი - „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება-ს; 177,2 ათასი ლარი მოხმარდა არაფინანსური აქტივების (ქონებრივი მატერიალური საშუალებები) ზრდას.

სუბსიდიის გარკვეული ნაწილი მიიმართა სარემონტო, სარეაბილიტაციო და კეთილმოწყობის სამუშაოებზე.

მოსწავლე - ახალგაზრდობის სკოლისგარეშე სწავლისა და განვითარების პროგრამის დაფინანსებისათვის, რომლის განმახორციელებელია ა(ა)იპ „მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე“, 9 თვეში გამოიყო 771.6 ათასი ლარი. აღნიშნულ პერიოდში მიღებული აქვს საკუთარი სახსრები 35.9 ათასი ლარი.

გამოყოფილი თანხები მიიმართა საბიუჯეტო ხარჯების შემდეგი ძირითადი მუხლების მიხედვით: 580.1 ათასი ლარი - შრომის ანაზღაურებაზე; 164.0 ათასი ლარი - საქონელსა და მომსახურებაზე; 22.8 ათასი ლარი - შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურებაზე; 29.5 ათასი ლარი - ოფისის ხარჯებზე; 111.7 ათასი ლარი - სხვა დანარჩენი საქონელსა და მომსახურებაზე; 5.9 ათასი ლარი - არაფინანსური აქტივების ზრდაზე.

საგანმანათლებლო-შემეცნებითი ღონისძიებების დაფინანსება/თანადაფინანსების პროგრამა 9 თვეში გათვალისწინებული 68.9 ათასი ლარიდან გახარჯულია 62 ათასი ლარი. რომელიც მიიმართა მერის სტიპენდიანტების დაფინანსებაზე, 14 აპრილს დედაენის დღის აღსანიშნავი ღონისძიებისთვის და წლის ბოლომდე ჩასატარებელ ღონისძიებებისთვის გათვალისწინებული სასაჩუქრე წიგნების და 53 ცალი სიგელის ბეჭდვის მომსახურების შესყიდვაზე.

სსიპ შ.მესხიას სახელობის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფინანსური ხელშეწყობის მიმართულებით, გათვალისწინებული 30.0 ათასი ლარი გახარჯულია.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

კულტურის, რელიგიის, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების დასაფინანსებლად 2023 წლის პირველ ცხრა თვეში ასიგნებანი გეგმა-პროგნოზით განსაზღვრული იყო 4855.0 ათასი ლარის ოდენობით, საკასო (ფაქტიური) შესრულებამ შეადგინა 4585.4 ათასი ლარი, რომელიც გადანაწილდა კონკრეტულ პროგრამებს შორის. აქედან: მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამაზე, რომლის განმახორციელებელია ა(ა)იპ სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრი, მიიმართა 877.2 ათასი ლარი (გეგმა-პროგნოზი 909.0 ათასი ლარი), რომელიც ძირითადი მუხლების მიხედვით გაიხარჯა: შრომის ანაზღაურებაზე 616.8 ათასი ლარი; შტატგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე - 53.8 ათასი ლარი; მივლინების ხარჯებისთვის - 34.5 ათასი ლარი; ოფისის ხარჯებისთვის - 23.1 ათასი ლარი; კვებაზე - 37.7 ათასი ლარი.

2023 წლის ოქტომბრამდე ზუგდიდელმა სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს 60-მდე საერთაშორისო, რესპუბლიკურ და ადგილობრივ სპორტის 20-მდე სახეობის ტურნირში, მათ შორის: ძალოსნობა, კრივი, კიკბოქსინგი, ტაეკვანდო, ჭადრაკი, მხატვრული ტანვარჯიში, ხელბურთი, კალათბურთი, ძიუდო, სამბო, თავისუფალი ჭიდაობა, კარატე-დო; აგრეთვე მასობრივი სპორტული ღონისძიებებში: ქვიშის ფრენბურთი, მინი-ფეხბურთი, მარულა და სხვა.

ზუგდიდში ჩატარდა 20-მდე სპორტული ღონისძიება, მათ შორის სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, რომელიც მოიცავს სპორტის შვიდ სახეობას: კალათბურთი (3X3), ხელბურთი, მინი-ფეხბურთი, გეზრბენი, მაგიდის ჩოგბურთი, ბადმინტონი, ფრენბურთი. აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 48 საჯარო და კერძო სკოლის 2000-ზე მეტმა სკოლის მოსწავლემ.

მერიის სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსებისთვის, რომლის განმახორციელებელია სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება, 9 თვეში გათვალისწინებული იყო 118.0 ათასი ლარი. 1 ოქტომბრის მდგომარეობით, გახარჯულია 67.6 ათასი ლარი, რომელიც მიიმართა სხვადასხვა სახის ღონისძიებების ორგანიზებასა და ჩატარებაზე.

მუნიციპალიტეტის კულტურის სფეროში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია „კულტურისა და ხელოვნები-ს ხელშეწყობის პროგრამა“-ს. ის ხორციელდება ა(ა)იპ ხელოვნებისა და კულტურის ცენტრის მიერ.

მიმდინარე წლის 9 თვეში ბიუჯეტიდან აღნიშნული პროგრამის დასაფინანსებლად გამოიყო სუბსიდია 1095.3 ათასი ლარი, რომელიც მიმართული იქნა: 858,5 ათასი ლარი ცენტრის შემოქმედებითი და ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურებაზე; 12.4 ათასი ლარი ქვეყნის გარეთ მივლინებაზე; 14.6 ათასი ლარი ოფისის ხარჯებზე; 19.3 ათასი ლარი ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯებზე; 18,1 ათასი ათასი ლარი სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების ხარჯებზე, მათ შორის 150.0 ათასი ლარი კულტურულ ღონისძიებებზე.

ცენტრს, გაწეული მომსახურებიდან საკუთარი შემოსავალი 9 თვეში მიღებული აქვს 11.5 ათასი ლარი, რომელიც მიმართულია მიმდინარე საოპერაციო ხარჯების ასანაზღაურებლად.

ცნობილია რომ „ხელოვნებისა და კულტურის ცენტრი-ს“ პროფილი, მისი ფუნქციებიდან გამომდინარე მრავალფეროვანია და მოიცავს კულტურული შემოქმედებითი მუშაობის სხვადასხვა მნიშვნელოვან სფეროსა და ჟანრს. აღნიშნული მიმართულებით ცენტრის მიერ 9 თვეში ჩატარებულია მუნიციპალიტეტის და საქართველოს მასშტაბით 30-ზე მეტი კულტურულ-სახელოვნებო ღონისძიება.

ა(ა)იპ ბიბლიოთეკების მართვის ცენტრის დასაფინანსებლად 2023 წლის პირველ 9 თვეში გაიხარჯა 630.6 ათასი ლარი.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში წიგნადი ფონდი შეივსო 1024 ცალი წიგნით, აქედან 423 ცალი შესყიდულ იქნა ა(ა)იპ ბიბლიოთეკების მართვის ცენტრის მიერ, 601 ცალი კი საჩუქრად იქნა მიღებული.

საბიბლიოთეკო ცენტრის მიერ 2023 წლის სამ კვარტალში მკითხველთა წიგნით და საინფორმაციო მომსახურების კუთხით გაწეული მუშაობის რაოდენობრივი მაჩვენებლები გამოიხატა შემდეგ ციფრობრივ მონაცემებში:

- მკითხველთა/მომხმარებელთა რაოდენობა - 10436;
- წიგნადი ფონდისა და ინფორმაციის გაცემა - 98673;
- დამსწრეთა რაოდენობა - 92918.

საანგარიშო პერიოდში ბიბლიოთეკების მართვის ცენტრმა ცენტრალურ ბიბლიოთეკასთან, სასოფლო და საქალაქო ბიბლიოთეკა-ფილიალებთან და მის დაქვემდებარებაში არსებულ „ამერიკულ კუთხე“-სთან ერთად 80-მდე პროექტი და ღონისძიება განახორციელა.

მერიის კულტურული ღონისძიებების დაფინანსებისთვის, რომლის განმახორციელებელია კულტურის განყოფილება, 6 თვეში პროგნოზირებული იყო 418,2 ათასი ლარი, 1 ოქტომბრის მდგომარეობით გახარჯულია 397.7 ათასი ლარი, რომელიც მიიმართა სხვადასხვა სახის ღონისძიებების ორგანიზებასა და ჩატარებაზე. მათ შორისაა, „ზუგდიდობა 2023“.

სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობის პროგრამას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კულტურის სფეროს სხვა მუნიციპალურ პროგრამებს შორის, რომლის განმახორციელებელია ა(ა)იპ სახელოვნებო სკოლების გაერთიანება, რომელიც საკუთრივ ფუნქციონირებს N1 და N2 სამუსიკო სკოლების, სამუსიკო-საგუნდო სკოლის და სამხატვრო სკოლის სტრუქტურული ერთეულების ბაზაზე. აღნიშნულ მხარჯავ სუბიექტს 9 თვეში ათვისებული აქვს (საკასო შესრულება) 685,4 ათასი ლარი. ათვისებული თანხები ძირითადად მოხმარდა: 543,7 ათასი ლარი - ძირითად მომსახურეთა და შემოქმედებითი პედაგოგიური საქმიანობით დაკავებული მუშაკების შრომის ანაზღაურებას, ხოლო 89,9 ათასი ლარი - შტატგარეშე მუშაკთა ხელფასებს; 4.0 - სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება-ს; გაერთიანების საკუთარმა შემოსავალმა შეადგინა 47,7 ათასი ლარი, რომელიც მიიმართა მიმდინარე საოპერაციო ხარჯების ანაზღაურებაზე.

საცხენოსნო კლუბ „ხარებას“ დაფინანსებისთვის 9 თვეში პროგნოზირებული იყო 60.0 ათასი ლარი რომელიც სრულად არის ათვისებული და მიმართულია შემდეგი მიზნების მისაღწევად: საცხენოსნო სპორტის განვითარების ხელშეწყობა, სპორტული და ტრადიციული ცხენოსნობის პოპულარიზება და ქვეყნის მასშტაბით ორგანიზებული ცხენოსნობის ეროვნული და კლასიკური სახეობის შეჯიბრებებში მონაწილეობა.

„ქართული ფეხბურთის განვითარების“ ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში სამ კვარტალში გამოიყო 446.2 ათასი ლარი, რომელიც მთლიანად მიიმართა აღნიშნული მხარჯავი სუბიექტის სპორტული გეგმიური ღონისძიებების დასაფინანსებლად.

სსიპ შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის დანიშნულებით 9 თვეში პროგნოზირებული იყო ასიგნების გამოყოფა 26.0 ათასი ლარის ოდენობით, რაც აღნიშნული სუბიექტის მიერ სრულად იქნა ათვისებული.

ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯამრთელობის და სოციალური დაცვის პროგრამებისთვის გამოყოფილი ასიგნების საკასო შესრულებამ 9 თვეში შეადგინა 4089,6 ათასი ლარი (გეგმა-პროგნოზი 4796,5 ათასი ლარი.)

ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებანი ჯანდაცვის და სოციალური სფეროს მიკუთვნებული პროგრამების მიხედვით მიიმართა:

ა) მუნიციპალიტეტზე დელეგირებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის კუთხით, რომელსაც პროგრამულად ახორციელებს ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“, 9 თვეში ათვისებულია 367,4 ათასი ლარი, რაც პრაქტიკულად უტოლდება პროგნოზირებულ მაჩვენებელს. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ცენტრის ძალებით შესრულებულია ათეულობით დიდი მოცულობის სამუშაოები, რომელიც მოიცავს სასწრაფო და რუტინული შეტყობინების საფუძველზე ელექტრონულ ინტეგრირებულ სისტემაში ინფექციურ დაავადებათა დარეგისტრირების, ინფექციურ დაავადებებზე („ც“ „ბ“ ჰეპატიტი „აივ-ინფექცია“), ასევე „დედათა და ბავშვთა ჯამრთელობის“-ს სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ორსულთა გამოკვლევის, გეგმიური პროფილაქტიკური აცრების, პირველადი ჯანდაცვის დონეზე ინტეგრირებული პროგრამის ფარგლებში სკრინინგის და პარაზიტოლოგიურ დაავადებებზე ლაბორატორიული კვლევის, საქართველოს მთავრობის N975 განკარგულების მოთხოვნიდან გამომდინარე, კორონავირუსით გამოწვეული ინფექციაზე სავალდებულო შემოწმებას დაქვემდებარებულ პრიორიტეტულ პირებზე ტესტირების ჩატარების,

კანონმდებლობის შესაბამისად საზოგადოებრივი დანიშნულების სხვადასხვა სფეროს ობიექტებზე ზედამხედველობისა და მონიტორინგის განხორციელების ღონისძიებებს და სხვა განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხებს. ყოველივე აღნიშნული გამოიხატა მუშაობის შემდეგ ძირითად მაჩვენებლებში, კერძოდ: დარეგისტრირებულ იქნა ინფექციური დაავადების 12465 შემთხვევა; ინფექციურ დაავადებებზე გამოკვლეულია 512 ორსული; ჩატარებულია 38 მონიტორინგი საექიმო ამბულატორიებსა და სამედიცინო დაწესებულებებში; ასევე მონიტორინგი ჩატარდა 95 მუნიციპალურ და კერძო სექტორის 95 საბავშვო ბაღს; პირველადი ჯანდაცვის კუთხით სხვადასხვა ინფექციებზე სკრინინგი ჩატარდა 8264 ბენეფიციარს; პარაზიტულ დაავადებებზე ლაბორატორიული კვლევა ჩატარდა ბაღების 2049 აღსაზრდელს; კორონავირუსით გამოწვეულ ინფექციაზე ტესტირება ჩატარებულ იქნა 9040 პირზე და გამოვლენილია 73 კოვიდინფიცირებული პირი.

ბ) მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების და ქვეპროგრამების ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს მერია მისი შესაბამისი სამსახურის მეშვეობით, ერთობლივად 9 თვეში გახარჯულია 3678,6 ათასი ლარი (გეგმა-პროგნოზი 4364,8 ათასი ლარი). საპროგნოზო მაჩვენებლის სრული მოცულობით აუთვისებლობა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ აღნიშნული სფეროების დასაფინანსებლად გათვალისწინებული ასიგნებანი, გარკვეულ გარემოებათა გამო, ზოგიერთი პროგრამის მიხედვით მთლიანად ვერ იქნა გახარჯული.

ცალკე აღებული სოციალური პროგრამის ფარგლებში, 9 თვის მონაცემებით გახარჯულ იქნა 2692,1 ათასი ლარი, (მათ შორის ბიუჯეტის საკუთარი სახსრებით 2255,1 ათასი ლარი, რომელსაც ემატება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერის თანხა 437,0 ათასი ლარი, რაც მიიმართა სტიქიის შედეგად მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეებისთვის მიყენებული მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად).

სოციალური დაცვის სფეროსთვის გამოყოფილი ასიგნება (2692,1 ათასი) ლარი გადანაწილდა შემდეგ პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე:

- 187,2 ათასი ლარი - სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის პროგრამაზე, რომლითაც ისარგებლა 300-მა ბენეფიციარმა;
- 34,8 ათასი ლარი - ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის პროგრამაზე; ისარგებლა 25-მა ბენეფიციარმა;
- 54,6 ათასი ლარი - ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამაზე; ისარგებლა 182-მა - ბენეფიციარმა;
- 191,6 ათასი ლარი - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის პროგრამაზე; ისარგებლა 682-მა - ბენეფიციარმა;
- 78,8 ათასი ლარი - მარტოხელა მშობლის სოციალური დაცვის პროგრამაზე; ისარგებლა 330-მა ბენეფიციარმა;
- 19,0 ათასი ლარი - ხანდაზმულთა, მარტოხელა მოხუცების შინმოვლისა და სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი ბენეფიციარების ოჯახების მხარდაჭერის პროგრამაზე, ისარგებლა 124 -მა ბენეფიციარმა;
- 44,4 ათასი ლარი - სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამაზე (თანხა გახარჯულია აღდგომის და ახალი წლის დღესასწაულებთან დაკავშირებით მრავალშვილიანი ოჯახების, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ვეტერანების, დედ-მამით ობოლი ბავშვების, მარტოხელა დედების, 100 წელს გადაცილებული ხანდაზმულების და უკიდურესად შეჭირვებული სოციალურად დაუცველი, სულ 540 ბენეფიციარის სასაჩუქრე პაკეტების დასაფინანსებლად).
- 88,1 ათასი ლარი - ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის თანადაფინანსების პროგრამაზე, ისარგებლა 124 -მა ბენეფიციარმა;
- 712,8 ათასი ლარი - სხვადასხვა მიზეზით უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა ხელშეწყობის პროგრამაზე;
- 33,8 ათასი ლარი - დევნილთა მხარდაჭერის პროგრამაზე, ისარგებლა 330 -მა ბენეფიციარმა;
- 275,8 ათასი ლარი - სოციალურად დაუცველი ოჯახების გათბობის საშუალებებით უზრუნველყოფის და სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ოჯახების ფინანსური დახმარების პროგრამაზე, რომელიც ისარგებლა 1036-მა ბენეფიციარმა;
- 19,1 ათასი ლარი - პროგრამაზე „სოციალური საცხოვრისი კეთილმოწყობილ გარემოში“, ისარგებლა 29-მა - ბენეფიციარმა;

- 1021,4 ათასი ლარი - უსახლკარო და მიმღე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამაზე, პროგრამაში სულ ჩართულია 39 ოჯახი. მიმდინარე ეტაპზე გაფორმებულია 4 ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს 2023 წელს 19 სოციალური სახლის მშენებლობის დასრულებას.

ჯანდაცვის კუთხით, სამედიცინო დახმარების პროგრამის ფარგლებში გამოიყო და საკასო შესრულების მაჩვენებელმა შეადგინა 986,5 ათასი ლარი, რომელიც მიიმართა აღნიშნული პროგრამის შესაბამის ქვეპროგრამაზე, კერძოდ:

- 109,4 ათასი - ძვირადღირებული გამოკვლევების (კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია, კორონაროგრაფია) თანადაფინანსებაზე, ისარგებლა 450-მა მოქალაქემ;
- 19,0 ათასი ლარი - PET/ კტ კვლევის თანადაფინანსებაზე, ისარგებლა 20 -მა მოქალაქემ;
- 128,0 ათასი ლარი - სამედიცინო მომსახურების (ქირურგიული ოპერაცია) თანადაფინანსებაზე, ისარგებლა 201-მა მოქალაქემ;
- 172,4 ათასი ლარი - ძვირადღირებული მედიკამენტების თანადაფინანსებაზე, ისარგებლა 912-მა მოქალაქემ;
- 301,2 ათასი ლარი - აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე 0-18 წლამდე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამაზე (პროგრამაში ჩართულია 130 ბავშვი);
- 72,1 ათასი ლარი - სხვადასხვა სახის გონებრივი ჩამორჩენილობისა და ქცევითი აშლილობის მქონე 0-18 წლამდე ბავშვებისათვის სარეაბილიტაციო მკურნალობის დაფინანსება - თანადაფინანსებაზე, ისარგებლა 166-მა ბავშვმა;
- 4,2 ათასი ლარი - 18 წლის და მეტი ასაკის შშმ (მკვეთრად გამოხატული) პირების სარეაბილიტაციო მკურნალობის თანადაფინანსებაზე, ისარგებლა 9 პირმა;
- 31,9 ათასი ლარი - იშვიათი დაავადებების (ცელიაკია,/ ფენილკეტონურია,/ შუკოვისციდოზი) მქონე პირების სპეციალიზირებული საკვების შესაძენი თანხით უზრუნველყოფაზე; პროგრამაში ჩართულია 11 ბენეფიციარი;
- 40,3 ათასი ლარი - ფარისებრი ჯირკვლის კიბოს ადრეული გამოვლენის ქვეპროგრამაზე, ისარგებლა 300-მა მოქალაქემ;
- 2,0 ათასი ლარი - განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა სპეციფიკური მოვლის საშალებებით უზრუნველყოფის თანადაფინანსებაზე, ისარგებლა 10-მა მოქალაქემ;
- 9,5 ათასი ლარი - ბინაზე მყოფი პალიატური ზრუნვის საჭიროების მქონე პირების სამედიცინო ერთჯერადი სახარჯი მასალის, მოვლის საშუალებების და სხვა სახის დახმარებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამაზე; პროგრამაში ჩართულია 9 მოქალაქე;
- 30,0 ათასი ლარი - კოხლერული იმპლანტის მქონე ან მაღალი ხარისხის (111-IV) სმენადაქვეითებული, ნაოპერაციო 0-18 წლამდე ასაკის ბავშვების სასმენი აპარატის პროცესორის საშუალებით უზრუნველყოფის თანადაფინანსებაზე. (ისარგებლა 2- მა მოქალაქემ);
- 66,2 ათასი ლარი - ძვირადღირებული თერაპიის (ქიმიო, სხივური, რადიოლოგიური, ტარგენტული) საჭიროების მქონე ონკოლოგიური ავადმყოფების ფინანსური მხარდაჭერის ქვეპროგრამაზე, ისარგებლა 331- მა მოქალაქემ);

უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წლის განვლილ 9 თვეში, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობისა და დევნილების ჯამრთელობის დაცვის პრობლემებთან დაკავშირებით დახმარების გაწევის კუთხით ჩატარებულია მერიის შესაბამისი მიმართულების შემსწავლელი კომისიის 28 სხდომა. აგრეთვე იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯამრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროში მოქალაქეებისათვის სხვადასხვა საკითხებზე შუამდგომლობა გაეწია 160 პირს.

მიმდინარე წლის განვლილ 9 თვეში, ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ჩატარებულია გარკვეული მუშაობა. აღნიშნულ პერიოდში გამოიყო და ათვისებულია საბიუჯეტო თანხა 35.3 ათასი ლარი, რომელიც მოხმარდა 197 ბენეფიციარის საჭიროებებს. გამოყოფილი თანხა გადანაწილდა:

- 18,9 ათასი ლარი - სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვის მატერიალური დახმარების ქვეპროგრამაზე, ისარგებლა 48-მა - ბენეფიციარმა; (21 ოჯახი);

- 2,1 ათასი ლარი - ბავშვთა სადღესასწაულო და სოლიდარობის დღეების აღნიშვნის ქვეპროგრამაზე;
- 6,5 ათასი ლარი - ინგლისური შემსწავლელი წრის დაფინანსებაზე, ისარგებლა 22-მა - ბენეფიციარმა;
- 7,9 ათასი ლარი - სპორტულ გამაჯანსაღებელი წრის (აქვა-თერაპია) დაფინანსებაზე, სარგებლობს 7 ბენეფიციარი;

მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში მერია, მისი შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები აქტიურად იყვნენ ჩართული ბავშვთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების პროცესში. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებად 30 საჯარო სკოლაში ჩატარდა ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებულ აქტუალურ თემებზე საჯარო შეხვედრები. 2023 წლის იანვრის თვიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება საინფორმაციო კომპანია - „ფოკუსირდი შესაძლებლობებზე“.

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების საკასო შესრულება შეადგენს 12414.9 ათას ლარს.

- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფისთვის მიიმართა 8154.2 ათასი ლარი, მათ შორის:
 - ✓ საკრებულოს საქმიანობის ფინანსურ უზრუნველყოფაზე 980.8 ათასი ლარი;
 - ✓ მერიის სამსახურებისა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების დაფინანსებისათვის 6731.9 ათასი ლარი;
 - ✓ სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 24.4 ათასი ლარი. (ამ ფონდიდან თანხის გამოყოფის, მიზნობრიობისა და ათვისების შესახებ ინფორმაცია წინამდებარე განმარტებით ბარათს თან ერთვის - დანართი N1).
- თავდაცვითუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობის სფეროს დაფინანსებამ, რომელიც ხორციელდება მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სამსახურის მიერ, საკასო მაჩვენებლის მიხედვით შეადგინა 258.8 ათასი ლარი. დაფინანსება მიმართული იქნა წვევამდელთა აღრიცხვაზე აყვანის და გაწვევასთან დაკავშირებული ორგანიზაციულ-ტექნიკური და ტრანსპორტირების ხარჯების ასანაზღაურებლად;
 - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეო-სამეთვალყურეო კამერების მოწყობა-მონტაჟის სამუშაოებზე ათვისებულია 705.8 ათასი ლარი;
 - მგფ-დან და საქართველოს მთავრობისგან მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად წინა წლებში აღებული სასესხო ვალდებულებების 9 თვეში გადასახდელი თანხა, რომელიც შეადგენდა 3246.1 ათას ლარს, გრაფიკის მიხედვით დაფარულია სრულად;
 - მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება ცალკეული მუხლების მიხედვით ხასიათდება შემდეგი ფინანსური პარამეტრებით, კერძოდ გადასახდელების საკასო შესრულების საერთო თანხიდან (60124.9 ათასი ლარი) ხარჯები შეადგენს 42879.1 ათას ლარს, აქედან:

- ✓ შრომის ანაზღაურება - 6610.1 ათასი ლარი;
- ✓ საქონელი და მომსახურება - 5475.8 ათასი ლარი;
- ✓ პროცენტი - 1364.9 ათასი ლარი;
- ✓ სუბსიდიები - 23564.7 ათასი ლარი;
- ✓ გრანტები - 69.3 ათასი ლარი;
- ✓ სოციალური უზრუნველყოფა - 2113.3 ათასი ლარი;
- ✓ სხვა ხარჯები - 3681.0 ათასი ლარი;

გარდა ამისა არაფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 16173.8 ათასი ლარი; ვალდებულებების კლება შეადგენს 1881.2 ათას ლარს.

მიმდინარე საფინანსო წლის განვლილ 9 თვეში ხარჯების ცალკეული მუხლების მიმართ საბიუჯეტო სახსრების გადამეტებას (გადახარჯვა) ადგილი არ აქვს.

წარმოდგენილი მიმოხილვითი ინფორმაცია ცხადყოფს, რომ მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს, საბიუჯეტო სახსრების განკარგვაზე პასუხისმგებელ იურიდიულ პირებს სათანადო მუშაობა აქვთ ჩატარებული მიმდინარე საფინანსო წლის განვლილ პერიოდში.

ამასთან, წლის ბოლომდე დარჩენილ პერიოდში მუნიციპალიტეტის მერიას, მის სტრუქტურულ ერთეულებს განსაკუთრებული ღონისძიებების დასახვა და განხორციელება მოუწევთ ბიუჯეტის დამატებითი შემოსავლების მობილიზაციისათვის, რამდენადაც იკვეთება ახალი საჭიროებები, რომელიც უკავშირდება რიგი პროგრამების ფინანსური რესურსებით დამატებით შევსებას, რაც განაპირობა როგორც ახალწარმოშობილმა გარემოებებმა, ისე დაგეგმილი საბიუჯეტო თანხების გარკვეულწილად უკმარისობამ. აღნიშნული მიმართულებით გაწეული მუშაობისა და შედეგების შესახებ მოხსენდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს, რაც საბიუჯეტო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ასახული იქნება წარმომადგენლობითი ორგანოსთვის წარდგენილ მიმდინარე საფინანსო წლის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში.

თავი III.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები

2023 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში მიმდინარეობდა სხვადასხვა აქტივობები, მათ შორის განხორციელდა მოსახლეობის გამოკითხვა, ჩატარდა სხვადასხვა კვლევები, სამოქალაქო საბჭოსთან და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან გაიმართა შეხვედრები. შემუშავდა 2024 – 2027 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, ჩამოყალიბდა მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი მიმართულებები და გამოიკვეთა ბიუჯეტში გასათვალისწინებელი პრიორიტეტები და პროგრამები. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მიმართულებებია:

- ❖ ინფრასტრუქტურა;
- ❖ დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- ❖ განათლება;
- ❖ კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;

- ❖ ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- ❖ წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	დასახელება	2024 წლის პროექტი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	14,713.0	16,854.0	17,800.0	18,800.0
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	1000.0	1,510.0	1,650.0	1,750.0
02 01 01	გზების მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა	600.0	1,000.0	1,100.0	1,200.0
02 01 02	ხიდების მშენებლობა რეაბილიტაცია	150.0	270.0	300.0	400.0
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	250.0	240.0	250.0	150.0
02 02	წყლის სისტემის განვითარება	700.0	754.0	1,200.0	1,500.0
02 02 01	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	250.0	254.0	550.0	750.0
02 02 02	სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	450.0	500.0	650.0	750.0
02 03	გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაცია	1,500.0	1,800.0	1,800.0	1,800.0
02 04	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	3,300.0	4,100.0	4,300.0	4,400.0
02 04 01	მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის პროგრამა	3,300.0	4,100.0	4,300.0	4,400.0

02 05	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	250.0	260.0	280.0	350.0
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	300.0	300.0	300.0	300.0
02 07	კეთილმოწყობა	5,548.0	6,000.0	6,200.0	6,500.0
02 07 01	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებათა უზრუნველყოფის პროგრამა	4,900.0	5,200.0	5,400.0	5,600.0
02 07 03	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების კეთილმოწყობა და შექმნა	648.0	800.0	800.0	900.0
02 08	სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის პოპულარიზებისკენ მიმართული აქტივობების კოორდინირება	30.0	30.0	30.0	30.0
02 09	რგფ-დან მგფ-დან განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება	620.0	600.0	600.0	600.0
02 10	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების პროგრამა	100.0	100.0	100.0	100.0
02 11	სამშენებლო ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები	20.0	40.0	50.0	60.0
02 12	საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯი	300.0	300.0	200.0	300.0
02 13	მიწების საკადასტრო ნახაზების შედგენის და ქონების შეფასების ხარჯები	15.0	30.0	50.0	60.0
02 15	საინვესტიციო პროექტების, დონორებთან ურთიერთობის და ტურიზმის ხელშეწყობის პროგრამა	30.0	30.0	40.0	50.0
02 16	სამოქალაქო ბიუჯეტი	1,000.0	1,000.0	1,000.0	1,000.0

პროგრამის დასახელება	კოდი		საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში	
	02 01			1,000.0	5,910.0	
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური და ზედამხედველობის სამსახური					
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია გზების და ხიდების მშენებლობა, რეაბილიტაცია, მოვლა-შენახვა და განვითარება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ადგილობრივი საავტომობილო გზებისა და საგზაო კომუნიკაციების, ხიდების სხვა ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა.					
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	<p>მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის</p> <p>მიზანი 9 - მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა</p> <p>მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება</p>					
მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესებულია საგზაო ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება, ადაპტირებულია ქალაქის ქუჩების ნაწილი და შექმნილია თანაბარხელმისაწვდომი ფიზიკური გარემო შშმ პირთა და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთათვის.					
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი		ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილები ს ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
	№					
	1	რეაბილიტირებული (ორმული შეკეთება; მოხრეშვა) გზების რაოდენობა	20-მდე	საბაზისო მაჩვენებელი ს შენარჩუნებ ა	10%	არ შემდგარი ტენდერი

	2	რეაბილიტირებული (ორმული შეკეთება) გზის საფარის რაოდენობა	10 000 მ ² -მდე	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	5%	არ შემდგარი ტენდერები
	3	რეაბილიტირებული ხრეშოვანი გზის საფარის რაოდენობა	80 000 მ ² -მდე	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	10%	არშემდგარი ტენდერები
	4	ახალი და რეაბილიტირებული ხიდების, მილხიდების, ხიდბოგირების და ბოგირების რაოდენობა	1	1	50%	არშემდგარი ტენდერები

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა- შენახვა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 01 01		600,0	3,900.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური და ზედამხედველობის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის მიზანია საგზაო ინფრასტრუქტურის დაზიანებული და ავარიული მონაკვეთების და მოსაცდელების მშენებლობა-რეაბილიტაცია. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის შიდა გზების არსებული საფარის მიმდინარე და კაპიტალური შეკეთების (ორმული შეკეთების) სამუშაოები და მოსაცდელების მშენებლობა-რეაბილიტაცია. ასევე არაასფალტირებული გზების ხრემოვანი საფარის რეაბილიტაცია. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს, ზუგდიდის, სენაკის, ხობის, წალენჯიხის და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტს შორის შეთანხმების საფუძველზე №22 ზონის მიმდებარედ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში შემავალი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთებასთან დაკავშირებული სამუშაოები.</p> <p>გარდა ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხებისა 2024 წელს გაგრძელდება რეგიონული განვითარების ფონდით დასაფინანსებელი პროექტების განხორციელება.</p>			
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	<p>მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის</p> <p>მიზანი 9 - მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა</p> <p>მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება</p>			
მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესებულია საგზაო ინფრასტრუქტურა, უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტში არსებული გზების მოვლა-პატრონობა და გახანგრძლივებულია გზების ექსპლუატაციის ვადა, კეთილმოწყობილია მოსაცდელები; უზრუნველყოფილია მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება;			

	№	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
		შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	1	რეაბილიტირებული (ორმული შეკეთება; მოხრეშვა) გზების რეაოდენობა	20-მდე	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება
	2	რეაბილიტირებული (ორმული შეკეთება) გზის საფარის ფართობი	10 000 მ ² -მდე	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	5%	არშემდგარი ტენდერები
	3	რეაბილიტირებული ხრემოვანი გზის საფარის ფართობი	80 000 მ ² -მდე	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	10%	არშემდგარი ტენდერები

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ხიდების მშენებლობა, რეაბილიტაცია	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 01 02		150.0	1,120.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური და ზედამხედველობის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული ხიდების რეაბილიტაცია, ახალი ხიდებისა და ხიდ-ბოგირების მშენებლობა. დაგეგმილია ჩხოროვის ადმინისტრაციულ ერთეულში, საფიფიოს უბანში ხიდის მშენებლობა.			
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 9 - მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა			
მოსალოდნელი შედეგი	ადმინისტრაციულ ერთეულებში მოწესრიგებული და ახლად მოწყობილია საკომუნიკაციო ობიექტები, რაც ხელს უწყობს მოსახლეობის შეუფერხებელ, კომფორტულ და უსაფრთხო გადაადგილებას.			

შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	№	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
		1	ახალი და რეაბილიტირებული ხიდების, მილხიდების, ხიდბოგირების და ბოგირების რაოდენობა	1	1	50%

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 01 03		250.0	890.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>საგზაო მოძრაობის ორგანიზება ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო გადაადგილებისათვის. მოსწავლეთა და სკოლამდელი ასაკის ბავშვების, მშობლებისა და მასწავლებლების ფეხით უსაფრთხო გადაადგილება სკოლების და საბავშვო ბაღების მისასვლელ მონაკვეთებში, სატრანსპორტო საშუალებების დროული, შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილება. მოწყობილია დასახლების აღმნიშვნელი აბრები კომფორტული გადაადგილება.</p> <ol style="list-style-type: none"> 1. საგზაო ნიშნებისა და შუქნიშნების შექმნა-მონტაჟი, 2. გზების ჰორიზონტალური და ვერტიკალური მონიშვნის სამუშაოები, 3. სიჩქარის შემზღვევითი ბარიერების შექმნა, 4. ვიდეო-სამეთვალყურეო კამერების შექმნა-მონტაჟი, ახალი საგზაო ნიშნების განთავსება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში. 5. ზუგდიდის ადმ. საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო და საგარეუბნო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (m2 და m3) კატეგორიების ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის, გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების ნებართვის გაცემის ფასის გადახდის და ნებართვის რეგულირების წესის დამტკიცების დადგენილების ნიმუშის შემუშავება და წარდგენა საკრებულოში დასამტკიცებლად 6. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე საგზაო ნიშნებისა და ჰორიზონტალური მონიშვნების განახლება. 7. საპარკინგე სისტემის მოწესრიგება და მონიტორინგი. 8. ავტობუსების გაჩერებებზე მოსაცდელელების მოწყობის და ტაბლოების შესყიდვაზე ტენდერის გამოსაცხადებლად დოკუმენტაციის მომზადება და წარდგენა. 			
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	<p>მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის</p> <p>მიზანი 9 - მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა</p> <p>მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება</p>			
მოსალოდნელი შედეგი	<p>ავტოტრანსპორტის შეუფერხებელი მოძრაობა;</p> <p>ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში დასახელების აღმნიშვნელი აბრები;</p> <p>მგზავრთა გაუმჯობესებული და უსაფრთხო გადაადგილება;</p> <p>შემცირებული საცობები;</p> <p>გაუმჯობესებული მუნიციპალური სერვისები.</p>			

საბოლოო შედეგი (OUTCOME)	2023 საბაზისო	2024	2025	2026	2027	სტრატეგიული მიზანი	შეფასებ ის მაჩვენებელი
მოწესრიგებული გზაჯვარედინები	8-მდე	10-მდე	112-მდე	15-მდე	20 -მდე	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება. მოწესრიგებული და სატრანსპორტო ნაკადის კომფორტული გადაადგილება	სატრანსპორტო ნაკადის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება
ხმოვანი და ადაპტირებული შუქნიშნები	0	1	1	3	5	შშმ პირებისათვის უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა	
გზებზე განთავსებული საგზაო ნიშნები	70-მდე	100-მდე	130-მდე	150-მდე	2000-მდე	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	
შუალედური შედეგი (OUTPUT)	2023 საბაზისო	2024	2025	2026	2027	სტრატეგიული მიზანი	შეფასებ ის მაჩვენებელი
ჰორიზონტალური მონიშვნის ფართობი	7222 კვ.მ	10000 კვ.მ	15000 კვ.მ	20000 კვ.მ	23000 კვ.მ	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება. მოწესრიგებული და სატრანსპორტო ნაკადის კომფორტული გადაადგილება	სატრანსპორტო ნაკადის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება
გზებზე განთავსებული სიჩქარის შემზღვევითი ბარიერი	55	60	70	80	90	სიჩქარის შემზღვევითი დასახლებულ პუნქტებში ასევე ბაღებსა და სკოლების მიმდებარე ტერიტორიებზე	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება
ხმოვანი და ადაპტირებული შუქნიშნები	1	1	1	3	5	შშმ პირებისათვის უსაფრთხოდ	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

						გადაადგილების ხელშეწყობა	
--	--	--	--	--	--	-----------------------------	--

პროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემის განვითარება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში		
	02 02		700.0	4154.0		
პროგრამის განმახორციელებე ლი	მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური და ზედამხედველობის სამსახური					
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია მოსახლეობის ტექნიკური წყლით უზრუნველყოფა. პროგრამა ითვალისწინებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. ასევე სანიაღვრე არხების მოწყობასა და რეაბილიტაციას.					
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის მიზანი 9 - მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა					
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში გამართულად ფუნქციონირებს წყალმომარაგების არსებული სისტემა და მოსახლეობა ნაწილი უზრუნველყოფილია სასმელი წყლით. გამართულად ფუნქციონირებს სანიაღვრე სისტემები.					
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	№	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
	1	რეაბილიტირებული და ახალი წყლის მაგისტრალის გრძივი მეტრი	1000 გრძ/მ	1500 გრძ/მ	10%	არ შემდგარი ტენდერი
	2	მოწესრიგებული სანიაღვრე არხების საერთო სიგრძე	800 გრძ/მ	1340 გრძ/მ	30%	არ შემდგარი ტენდერები

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 02 01		250.0	1804.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური და ზედამხედველობის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების სრულ რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. მათ შორის, პრიორიტეტულია მოსახლეობის ტექნიკური წყლით უზრუნველყოფა წლის ნებისმიერ პერიოდში. პროგრამა ხორციელდება მუნიციპალიტეტში შემავალ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში. პროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> - მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობედეს წყლის სტაბილური მიწოდება; - მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნდეს შეუფერხებელი წვდომა და იღებდეს წყალს; - წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად. <p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება: აბასთუმნის ადმინისტრაციულ ერთეულში საკაკულიოს და საკუტალიოს უბანში წყალმომარაგების მოწყობა; ოდიშის და უჩაშონას ადმინისტრაციულ ერთეულებში, სინწას უბანში წყალმომარაგების მოწყობა</p>			
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	<p>მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის მიზანი 9 - მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა</p>			
მოსალოდნელი შედეგი	მოწესრიგებული, განახლებული და ახლადმოწყობილია წყალგაყვანილობის ქსელი და ტექნიკურად გამართული წყალმომარაგების სისტემის საშუალებით მოსახლეობა უზრუნველყოფილია სანიტარული ნორმების შესაბამისი უსაფრთხო წყლით			

	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
	№				

შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	1	რეაბილიტირებული და ახალი წყლის მაგისტრალის გრძივი მეტრი	1000-გრძ/მეტრამდე	1500-გრძ/მეტრამდე	10%	არშემდგარი ტენდერები

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 02 02		450.0	2,350.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური და ზედამხედველობის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის სანიაღვრე ქსელის გაფართოება და გამტარუნარიანობის გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული სანიაღვრე და წყალსაწრეტი არხების რეაბილიტაცია, ასევე ახალი წყალსაწრეტი არხების და ნაპირსამაგრი ჯებირების მოწყობა. დაგეგმილია ქალაქ ზუგდიდის მაცხოვრისკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, ბარამიას ქუჩაზე მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოებში სანიაღვრე სისტემის მშენებლობა.			
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის მიზანი 9 - მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა			
მოსალოდნელი შედეგი	მოწყობილია გამტარუნარიანი სანიაღვრე ქსელი და მოსახლეობისთვის შექმნილია უსაფრთხო საცხოვრებელი პირობები			

შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	№	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
	1	ახლადმოწყობილი სანიაღვრე არხების რაოდენობა	3	1	30%	არშემდგარი ტენდერები
	2	ახლადმოწყობილი სანიაღვრე არხების გრძივი მეტრი	800 გრძ/მ	1340 გრძ/მ	30%	არშემდგარი ტენდერები

პროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაცია	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 03		1500.0	6,750.0
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური და ზედამხედველობის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ქუჩების განათება. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის გადახდა, მუნიციპალიტეტის გზებზე და შიდა ეზოებში გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის რიყეს ადმინისტრაციულ ერთეულში, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე გარე განათების მოწყობა			
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის მიზანი 9 - მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება			
მოსალოდნელი შედეგი	მოწყობილია გარე განათების ქსელი და შექმნილია პირობები ღამის საათებში მოსახლეობის (ქალების, ბავშვების, ხანდაზმული და შშმ პირთა) უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილებისთვის.			

	№	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	1	ახალი გარე განათების ქსელის რაოდენობა	1 ობიექტი	1 ობიექტი	20%	არშემდგარი ტენდერები

პროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის პროგრამა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 04 01		3,300.0	16,100.0
პროგრამის განმახორციელებელი	შპს „ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტი“			
პროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალური ტრანსპორტის ფინანსური ხელშეწყობა ემსახურება ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფას; მგზავრების გადაყვანის შეღავათიან და კომფორტული პირობების შექმნას.			
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება			
მოსალოდნელი შედეგი	ავტობუსების გაჩერების ადგილებზე სპეციალური ნიშნების დამონტაჟება. მძღოლებისა და კონტროლიორების სპეციალური ფორმების შექმნა განახლება წელიწადში ერთხელ, კონტროლიორების და მძღოლებისთვის ტრენინგის ჩატარება,გადამზადება.			

საბოლოო შედეგი (OUTCOME)	2023 საბაზისო	2024	2025	2026	2027	სტრატეგიული მიზანი	შეფასებ ის მაჩვენებელი
ავტოსატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო და მოწესრიგებული მოძრაობა.	სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. დამატებითი გაჩერებების მოწყობა. უბილეთო მგზავრების დასაჯარიმება და აჯარიმო პროექტების აპარატების შემოღება. ის უზუსტეს მარკის ავტობუსების სათვალთვალო კამერით აღჭურვა.	მგზავრთა კომფორტულად და უსაფრთხოდ გადაყვანის მიზნით ავტოსადგურების და გაჩერებების განახლება. დამატება კვალიფიციური კადრების შერჩევა.	სოფლად თუ ქალაქად ელექტრო ტაბლოების დამონტაჟება.	საზოგადოებრივი ტრანსპორტის ჩანაცვლება ახალი მიკრო ავტობუსებით.	ეკოლოგიური საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განახლება.		
შუალედური შედეგი (OUTPUT)	2023 საბაზისო	2024	2025	2026	2027	სტრატეგიული მიზანი	შეფასებ ის მაჩვენებელი

პროგრამის დასახელება	კოდი	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 05		250.0	1,140.0
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამით, ამხანაგობების საერთო ქონებების ექსპულატაციისა და განვითარების მიზნით, ბმა-ს მიერ წარმოდგენილი პროექტებით-რეაბილიტაციის, აღდგენის და მოწყობის სამუშაოების დაფინანსება-განხორციელება.			

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა

მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება

მოსალოდნელი შედეგი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე მრავალბინიანი სახლების საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი მათ შორის, კომერციული მიზნებისთვის გამოყენებული ფართობების მესაკუთრეთა გაერთიანების (ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების) განვითარების ხელშეწყობა.

შეფასების ინდიკატორები

საბოლოო შედეგი (OUTCOME)	2023 საბაზისო	2024	2025	2026	2027	სტრატეგიული მიზანი	შეფასებ ის მაჩვენებ ელი
ბმა. საერთო ქონების რეაბილიტაციით მიღებული გამართული საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურა	210 000	350 000	250 000	255 000	260 000	ბინათმესაკუთრეთა საერთო სარგებლობაში არსებული ქონების რეაბილიტაცია/მოწყობით- საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ხელშეწყობა	კმაყოფილი ბინათმესაკუთრეები
შუალედური შედეგი (OUTPUT)	2023 საბაზისო	2024	2025	2026	2027	სტრატეგიული მიზანი	შეფასების მაჩვენებ ელი
ლიფტების სარეაბილიტაციო სამუშაოები	4 პროექტ.	3 პროექტ.	4 პროექტ.	3 პროექტ.	5 პროექტ.	შიდა სატრანსპორტო სისტემის უსაფრთხო ფუნქციონირება	კმაყოფილი ბინათმესაკუთრეები
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის განკუთვნილი მიმდებარე ტერიტორიების დაფიქსირებისათვის(ე.წ. წითელი ზაზების დადგენა)							
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახელების გადახურვის სამუშაოები	1პროექტ.	1 პროექტ.	2 პროექტ.	2 პროექტ.	2 პროექტ.	ბინათმესაკუთრეთა საერთო სარგებლობაში არსებული ქონების	კმაყოფილი ბინათმესაკუთრეები

						რეაბილიტაცია/მოწყობით- საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ხელშეწყობა	
პარაკეტებისა და წყალსაწრეტი მილების რეაბილიტაცია	---	1 პროექტ.	3 პროექტ.	2 პროექტ.	3 პროექტ.	ბინათმესაკუთრეთა საერთო სარგებლობაში არსებული ქონების რეაბილიტაცია/მოწყობით- საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ხელშეწყობა	კმაყოფილი ბინათმესაკუთრეები
საცხოვრებელი სახლების დაზიანებული წყალარნების კომუნიკაციების აღდგენა	1 პროექტ.	4 პროექტ.	2 პროექტ.	2 პროექტ.	3 პროექტ.	ბინათმესაკუთრეთა საერთო სარგებლობაში არსებული ქონების რეაბილიტაცია/მოწყობით- საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ხელშეწყობა	კმაყოფილი ბინათმესაკუთრეები
შიდა წყალგაყვანილობის (საერთო სარგებლობის) რეაბილიტაცია	---	1 პროექტ.	1 პროექტ.	1 პროექტ.	2 პროექტ.	ბინათმესაკუთრეთა საერთო სარგებლობაში არსებული ქონების რეაბილიტაცია/მოწყობით- საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ხელშეწყობა	კმაყოფილი ბინათმესაკუთრეები
ეზოების კეთილმოწყობა მათ შორის კორპ. ეზოს შესასვლელში რეგულირებადი შლაგბაუმების მოწყობა	--	---	2 პროექტ.	2 პროექტ.	21 პროექტ.	ბინათმესაკუთრეთა საერთო სარგებლობაში	კმაყოფილი ბინათმესაკუთრეები

						არსებული ქონების რეაბილიტაცია/მოწყობით-საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ხელშეწყობა	
სადარბაზოები კეთილმოწყობა	4 პროექტ.	6 პროექტ.	2 პროექტ.	2 პროექტ.	2 პროექტ.	ბინათმესაკუთრეთა საერთო სარგებლობაში არსებული ქონების რეაბილიტაცია/მოწყობით-საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ხელშეწყობა	კმაყოფილი ბინათმესაკუთრეები
ატრაქციონებისა და ძელსკამების შექმნა	-	-	1 პროექტ.	1 პროექტ.	1 პროექტ.	ბინათმესაკუთრეთა საერთო სარგებლობაში არსებული ქონების რეაბილიტაცია/მოწყობით-საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ხელშეწყობა	კმაყოფილი ბინათმესაკუთრეები
ფასადების კეთილმოწყობა-შელესვა, გამაგრება	---	2 პროექტ.	1 პროექტ.	1 პროექტ.	2 პროექტ.	ბინათმესაკუთრეთა საერთო სარგებლობაში არსებული ქონების რეაბილიტაცია/მოწყობით-საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ხელშეწყობა	კმაყოფილი ბინათმესაკუთრეები

პროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 07 01		4900.0	21,100.0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „კეთილმოწყობის ცენტრი“			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიისა და თვითმმართველი ერთეულის სარგებლობაში/საკუთრებაში არსებული ობიექტების კეთილმოწყობა და მოვლა. კერძოდ, გარე განათების ქსელის მოწყობა, არსებულის მოვლა, ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია; სანიაღვრე ქსელების სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა; შადრევან-აუზების მოვლა, ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია; ტროტუარებისა და ბორდიურების კეთილმოწყობა და რეაბილიტაცია; გამწვანების ზოლების მოწყობა; ხეებისა და მცენარეების დარგვა, ჩანაცვლება და მოვლა-პატრონობა; შიდა სარგებლობის გზების, ხიდების, მიწისქვეშა გადასასვლელის, მდინარეთა ჯებირების და სხვა ნაგებობების მოწყობა, შეკეთება და მოვლა-პატრონობა; გზაჯვარედინების მარეგულირებელი შუქნიშნების მოვლა-პატრონობა და რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული წყალმომარაგების და კანალიზაციის ქსელის ექსპლოატაცია-რეაბილიტაცია; სადღესასწაულო დღეებში გაფორმების ღონისძიებების უზრუნველყოფა; მუნიციპალიტეტში მცხოვრები უმწეო და სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის მიზნობრივი მომართვის საფუძველზე საცხოვრებელი შენობის მცირე შეკეთებითი სამუშაოების ჩატარება; მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული „სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის“ წესის შესაბამისად სამუშაოების ჩატარება.</p> <p>პროგრამის ფარგლებში, ასევე შეიქმნება არარეგისტრირებული კავშირები (ე.წ. ადგილობრივი განვითარების ჯგუფები), რომლებიც მუნიციპალიტეტს მიმართავენ გამწვანების პროექტებითა და სავარაუდო ხარჯთაღრიცხვებით, ხოლო მუნიციპალიტეტი, თავის მხრივ უზრუნველყოფს აღნიშნული პროექტების თანადაფინანსებას პროექტის საერთო ღირებულების 95 პროცენტით.</p>			
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	<p>მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება მიზანი 16 - მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე</p>			
მოსალოდნელი შედეგი	<p>მუნიციპალური ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების და მოვლა-პატრონობის ეფექტიანობის ამაღლება; ქალაქისა და მუნიციპალიტეტის სასოფლო ადმინისტრაციული ერთეულების გაუმჯობესებული იერსახე; ბუნების სტიქიისა და შესაძლო რთული მეტეოროლოგიური პირობების შედეგად მოსახლეობისათვის შესაძლო ზიანისა და მატერიალური ზარალის მიყენების შემცირებული რისკები; კეთილმოწყობილი და დასუფთავებული სასაფლაო მეურნეობა; მწვანე ბიუჯეტი ხელს შეუწყობს მოქალაქეების აქტიურ ჩართულობას ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში, რაც უზრუნველყოფს განხორციელებული პროექტების მდგრადობას (მოქალაქეებს შესძენს მათი ინიციატივით განხორციელებული</p>			

პროექტებისადმი მესაკუთრეობის განცდას), ხოლო მეორე მხრივ, ქალაქის ტიპის დასახლებისთვის დამახასიათებელ ურბანულ გარემოში მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ეკოლოგიურ მდგომარეობას.

შეფასების ინდიკატორები

საბოლოო შედეგი (OUTCOME)	2023 საბაზისო	2024	2025	2026	2027	სტრატეგიული მიზანი	შეფასების მაჩვენებელი
ახალი, რეაბილიტირებული და მოვლა-პატრონობის ქვეშ მყოფი გარე განათების ქსელი	14000-მდე განათების ბოძი და სანათი					15000-მდე განათების ბოძი და სანათი	
ახალი, რეაბილიტირებული და მოვლა-პატრონობის ქვეშ მყოფი სკვერები, პარკები, მოედნები და ბულვარი	90-მდე ობიექტი					95-მდე ობიექტი	
მუნიციპალიტეტის მასშტაბით მოვლილი ხე-მცენარეების ოდენობა	21650-ზე მეტი					23000-ზე მეტი	
მოვლილი სანიაღვრე არხები, ტროტუარები და ბორდიურები	210 კმ-მდე					230 კმ-მდე	

რეაბილიტირებული და მოვლილი მადრევნები	5 ობიექტი					5 ობიექტი	
რეაბილიტირებული, მოვლილი და გამართულად ფუნქციონირებადი საბავშვო-გასართობი ატრაქციონები -	5 ერთეული					5 ერთეული.	
მოვლილი და კეთილმოწყობილი სასაფლაო ინფრასტრუქტურა	188 სასაფლაო (ქალაქში 6; სოფლებში 182);					188 სასაფლაო (ქალაქში 6; სოფლებში 182);	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების კეთილმოწყობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 07 03		648.0	3,048.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური და ზედამხედველობისა და ინსპექტირების სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების კეთილმოწყობა და შექმნა			
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება			
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	<ul style="list-style-type: none"> ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის (რუსთაველის 90) მარჯვენა ფლიგელის კიბის უჯრედი ავარიულ მდგომარეობაშია, სახიფათოა მისი ექსპლუატაცია და საჭიროებს რეაბილიტაციას. არსებული პრობლემის მოგვარებით მერიის თანამშრომლებისთვის და შემოსული მოქალაქეებისთვის შეიქმნება სათანადო უსაფრთხო პირობები. ავარიულ მდგომარეობაში არსებული შენობების რეაბილიტაცია სადაც განთავსებულია მერის წარმომადგენლების ოფისები ადმინისტრაციულ ერთეულებში. აღნიშნული პროგრამა ხელს შეუწყობს მერის წარმომადგენლებისათვის ხელსაყრელი სამუშაო პირობების შექმნას, მოქალაქეთა მიღების, შეხვედრების, სამუშაო ფუნქციებისა და სხვა ღონისძიებების სათანადოდ უზრუნველსაყოფად. ვინაიდან ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მთელ რიგ ადმინისტრაციულ ერთეულებში (16 ადმინისტრაციული ერთეული) მერის წარმომადგენლებს არ გააჩნიათ სამუშაო ოფისები, ვერ ხერხდება მოქალაქეთა ოპერატიულად მიღება და მომსახურების გაწევა. აღნიშნული საკითხის მოგვარება ხელს შეუწყობს მერის წარმომადგენლების სამუშაო პირობების სრულყოფას, ფუნქციების ჯეროვნად შესრულებას და მოქალაქეთა კმაყოფილებას. 			

	№	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი						

პროგრამის დასახელება	კოდი	სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის პოპულარიზებისკენ მიმართული აქტივობების კოორდინირება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 08		30.0	120.0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „სამეგრელო-ზემო სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია“			
პროგრამის აღწერა და მიზანი	ტურიზმის პოპულარიზაციისათვის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში არსებული მუნიციპალიტეტების მიერ ერთობლივი საქმიანობის განხორციელება: საინფორმაციო-სარეკლამო საშუალებების გამოყენება; ბუკლეტების დამზადება-გავრცელება; ტურისტული მომსახურების (გიდების, ექსკურსიამბლოლების გადაადგილებისათვის სატრანსპორტო მომსახურების და სხვა) უზრუნველყოფა; რეგიონში ღირსშესანიშნავი ადგილების დათვალიერების ტურების შეთავაზება-მომსახურება; დონორებთან მუშაობა ფინანსური მხარდაჭრის (გრანტები) საკითხებზე.			
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 8 - სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის მიზანი 16 - მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე			
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში არსებული ღირსშესანიშნაობებისა და ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ცნობადობის ამაღლება; ადგილობრივი და უცხოელი ტურისტების, ვიზიტორებისა და დამსვენებლების გაზრდილი ოდენობა; დონორების დაინტერესება მხარის ღირსშესანიშნაობებით.			

	№	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	1	ტურისტებისა და დამსვენებლების რაოდენობის ზრდა	მიმდინარე წელს ტურისტების რაოდენობა ნაკლები იყო სხვა წლებთან შედარებით	დაგეგმილია ტურისტთა რაოდენობის ზრდა	30%	

პროგრამის დასახელება	კოდი	რგგ-დან მგფ-დან განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 09		620.0	2,190.0
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური და ზედამხედველობის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის სახსრებით განხორციელდება ძირითადი მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები, როგორცაა გზების მშენებლობა, სანიაღვრე არხების მოწყობა, საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია, წყალმომარაგების სისტემების მშენებლობა, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა და სხვა. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროექტების თანადაფინანსება:			
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 9 - მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება			
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება			

	№	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	1	დაფინანსებული პროექტების რაოდენობა	25	15	10%	არ შემდგარი ტენდერები, კონტრაქტორის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა

პროგრამის დასახელება	კოდი	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების პროგრამა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 10		100.0	400.0
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური და ზედამხედველობისა და ინსპექტირების სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში სტიქიური მოვლენების დროს მოსახლეობისთვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად საჭირო ფინანსურ-მატერიალური საფუძვლების შექმნა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები.			
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა მიზანი 9 - მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა			
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ლიკვიდირებულია სტიქიით გამოწვეული შედეგები და უზრუნველყოფილია დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენა-ფუნქციონირება			

	№	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	1	სტიქიით გამოწვეული დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენის მაჩვენებელი	2023 წელს აღდგა 25-მდე ობიექტი	2023 წელს აღდგება სტიქიის შედეგად დაზიანებული ყველა ობიექტი	20%	არასაკმარისი დაფინანსება

პროგრამის დასახელება	კოდი	სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024- 2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 11		20.0	180.0
პროგრამის განმახორციელებელი	ზედამხედველობის და ინსპექტირების სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზა და სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სხვადასხვა სამშენებლო სამუშაოს საპროექტო დოკუმენტაციისა და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის ექსპერტიზა, მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის გაწევის მიზნით საექსპერტო მომსახურების შესყიდვა, შენობა-ნაგებობების და საინჟინრო კომუნიკაციების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ ექსპერტიზების მომზადება;			
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 9 - მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა			
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	უზრუნველყოფილია ინფრასტრუქტურული სამუშაოების ხარისხის და მოცულობის შესაბამისობის კონტროლი			

	№	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	1	სამშენებლო სამუშაოებზე ზედამხედველობის განხორციელება სრულყოფილი პროექტების საფუძველზე, სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების დაცვით; ლაბორატორიული კვლევების დროულად მომზადება და შესრულების ხარისხობრივი მაჩვენებელი	100%	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	5%	შეცდომები ექსპერტიზის კვლევების დროს
	2	მომზადებული საექსპერტო დასკვნების რაოდენობა	10	10	20%	საექსპერტო მომსახურების გაჭიანურება

პროგრამის დასახელება	კოდი	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 12		300.0	1,100.0
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის მიზანია ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი სხვადასხვა სახის პროექტებისათვის საპროექტო დოკუმენტაციისა და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის შედგენა. კერძოდ: კახათის ადმინისტრაციულ ერთეულში, გუგუჩიას ქუჩის საავტომობილო გზის საფარის რეაბილიტაცია; ქ. ზუგდიდში, ტაბიძის ქუჩაზე სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია; ჭითაწყარის ადმინისტრაციულ ერთეულში, მეფრინველეობის დასახლებაში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია; ქ. ზუგდიდში, ბუკიას ქ. N5, N30 და N34, ლევან II დადიანის ქ. N2 და N4, თამარ მეფის ქ. N35-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავის რეაბილიტაცია; ჩხორიას ადმინისტრაციულ ერთეულში, საფიფიოს უბანში ხიდის მშენებლობა; ინგირის ადმინისტრაციულ ერთეულში, ვეკუას ქუჩის საავტომობილო გზის საფარის რეაბილიტაცია; აბასთუმნის ადმინისტრაციულ ერთეულში საკუტალიოს და საკაკულიოს უბანში წყალმომარაგების მოწყობა; ოდიშის და უჩაშონას ადმინისტრაციულ ერთეულებში, სინწას უბანში წყალმომარაგების მოწყობა; ქ. ზუგდიდში, ლაზის ქუჩაზე მდებარე სპორტული მოედნის რეაბილიტაცია; ქ. ზუგდიდში, კ. გამსახურდიას და ბარამიას ქუჩების კვეთაზე სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია; ქ. ზუგდიდში, წერეთლის და სოხუმის ქუჩების სანიაღვრე არხების რეაბილიტაციის სამუშაოები.</p>			
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის	მიზანი 9 - მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა			

მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	უზრუნველყოფილია კაპიტალური სამშენებლო პროექტების შეუფერხებლად და ხარისხიანად განხორციელება;

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	№	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
	შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის რაოდენობა	25-მდე პროექტი	20-მდე პროექტი	10%	არ შემდგარი ეტენდერები	შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის რაოდენობა

პროგრამის დასახელება	კოდი	მიწების საკადასტრო ნახაზების შედგენის და ქონების შეფასების ხარჯები	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 13		15.0	155.0
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის ქონების მართვის განყოფილება			
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია მუნიციპალური ქონების ეფექტურად მართვა და განკარგვა. ქვეპროგრამით განხორციელდება მუნიციპალიტეტის დაგეგმარების შესაბამისად, არასასოფლო-სამეურნეო და სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების შემდგომ გამოყენებისთვის საკადასტრო ნახაზებისა და მათი ელექტრონული ვერსიების მომზადება, შენობა-ნაგებობების აზომვითი ნახაზების შედგენა, აღრიცხვაზე ასაყვანი ქონების შეფასება, მათ შორის სტრატეგიული ძირითადი აქტივების.			

<p>გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა</p>	<p>მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება მიზანი 16 - მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>უძრავი ქონების მართვისა და პრივატიზების ეფექტური პროცესის უზრუნველყოფა; მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული დამატებითი ქონების ზრდა, რომელიც ასახულია ბალანსზე.</p>

საბოლოო შედეგი (OUTCOME)	2023 საბაზისო	2024	2025	2026	2027	სტრატეგიული მიზანი	შეფასებ ის მაჩვენებელი
წლის განმავლობაში აღრიცხვაზე აყვანილი, საკუთრებაში გადმოცემული და დარეგისტრირებული ქონების რაოდენობა	13-მდე ობიექტი	25	30	35	35	რაც შეიძლება მეტი ობიექტის დარეგისტრირება მინიციპალიტეტის საკუთრებაში	
წლის განმავლობაში სარეალიზაციო/იჯარით გასაცემი ქონების შეფასების რაოდენობა	31- მდე ობიექტი	35	40	45	50		

პროგრამის დასახელება	კოდი	საინვესტიციო პროექტების, დონორებთან ურთიერთობის და ტურიზმის ხელშეწყობის პროგრამა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 15		30.0	150.0
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<ol style="list-style-type: none"> მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმის (SECAP) მომზადებაში მონაწილეობის მიღება. აღნიშნული სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს, ევროკავშირის ინიციატივა „მერების შეთანხმება კლიმატისა და ენერგეტიკისთვის“ ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებას. გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) ადგილობრივ დონეზე დანერგვა, მისი მონიტორინგი და ანგარიშგება. საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. 			
მოსალოდნელი შედეგი	<ul style="list-style-type: none"> აღნიშნული პროგრამის მიზანია, 2023-2025 წლებისთვის, მუნიციპალიტეტის დონეზე მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის (SECAP) მომზადება და მისი განხორციელება. SDG-ს მუნიციპალური დოკუმენტის დამტკიცება. აღნიშნული პროგრამის მიზანია, გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) ადგილობრივ დონეზე დანერგვა, კერძოდ, SDG – ის გაეროს მდგრადი განვითარების 11 მიზანი და 32 ამოცანა განისაზღვრა მუნიციპალურ პრიორიტეტად. ამ მიზნების ადგილობრივ პროექტებთან/პროგრამებთან შესაბამისობაში მოყვანა, მათი იმპლემენტაცია, მონიტორინგი და ყოველწლიური ანგარიშგება. აღნიშნული პროგრამის მიზანია, სხვადასხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ საგრანტო კუნძურსებში მონაწილეობის მიღება, ბიუჯეტგარეშე დაფინანსების მოპოვების მიზნით. საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან კოორდინაცია და ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა. GIZ-ს პროექტი „მდგრადი ქალაქები საქართველოში“, კლიმატზე ორიენტირებული, თანამონაწილეობითი, ფინანსირებისთვის მზა, ინტეგრირებული ურბანული განვითარების პროექტების შემუშავებასა და განხორციელებაზე ურბანული ლაბორატორიების მეთოდოლოგიის დანერგვით. 			

საბოლოო შედეგი (OUTCOME)	2023 საბაზისო	2024	2025	2026	2027	სტრატეგიული მიზანი	შეფასებ ის მაჩვენებელი
	<p>1. 2023 წლისთვის, შემუშავებულია კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია.</p> <p>2. 2023 წლისთვის, მუნიციპალიტეტში შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც კოორდინაციას გაუწევს მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივ დონეზე დანერგვას.</p> <p>3. მომზადებული და წარდგენილია სხვადასხვა საგრანტო</p>	<p>1. 2024 წლისთვის, საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიის ფარგლებში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტს ექნება მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმა.</p> <p>2. მუნიციპალიტეტის ცალკეული პროგრამებისა და პროექტებში</p>	<p>1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტმა დაიწყო კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმის განხორციელება.</p> <p>2. მუნიციპალიტეტის პროგრამები, პროექტებთან ერთად თანხვედრაშია გაერთოს მდგრადი განვითარების მიზნებთან.</p> <p>ბორცილედება მისი მონიტორინგი და ანგარიშგება.</p> <p>3. მომზადებული და წარდგენილია</p>	<p>1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი ახორციელებს კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმას.</p> <p>2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტს აქვს დამტკიცებული მდგრადი განვითარების სამოქმედო გეგმა.</p> <p>და წარდგენილია სხვადასხვა საგრანტო განაცხადები კოტენციური</p>	<p>1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი ახორციელებს კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმას.</p> <p>2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტს აქვს დამტკიცებული მდგრადი განვითარების სამოქმედო გეგმა.</p> <p>3. მომზადებული და წარდგენილია სხვადასხვა</p>	<p>1. სამოქმედო გეგმის არსებობა ხელს შეუწყობს ისეთი პროექტების განხორციელებას, რომელიც საბოლოოდ მიმართული იქნება განახლებადი ენერჯების გამოყენების, ენერგო-რესურსების დაზოგვისა და შესაბამისად, გაუმჯობესების შედეგად.</p> <p>2. გაერთოს მდგრადი განვითარების</p>	<p>1. მუნიციპალიტეტის SECAP-ის დამტკიცებული გეგმა.</p> <p>2. გაერთოს მდგრადი განვითარების ადგილობრივი დონეზე დანერგილი მიზნები.</p> <p>3. დონორების მიერ დაფინანსებული პროექტები.</p> <p>4. ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად განხორციელებულ ერთობლივი ღონისძიებები.</p>

<p>განაცხადები პოტენციური დონორი ორგანიზაციებისთვის</p> <p>4. მუდმივი კოორდინაცია ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ერ თობლივი პროექტებისა და ლონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით.</p> <p>5. მუნიციპალიტეტში შექმნილია GIZ- პროექტის სამუშაო ჯგუფი</p>	<p>სასხულია მდგრადი განვითარების მიზნები.</p> <p>ხორციელდება მისი მონიტორინგი და ყოველწლიური ანგარიშგება.</p> <p>3. მომზადებული და წარდგენილია სხვადასხვა საგრანტო განაცხადები პოტენციური დონორი ორგანიზაციებისთვის ის.</p> <p>4. მუდმივი კოორდინაცია ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ერ თობლივი პროექტებისა და ლონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით.</p> <p>5. ხორციელდება GIZ-ს პროექტი და იქმნება ურბანული ლაბორატორია</p>	<p>სხვადასხვა საგრანტო განაცხადები პოტენციური დონორი ორგანიზაციებისთვის ის</p> <p>4. მუდმივი კოორდინაცია ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ერთობლივი პროექტებისა და ლონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით.</p> <p>5. GIZ-ს პროექტის ფარგლებში შექმნილია ურბანული ლაბორატორია და ხორციელდება სხვადასხვა პროექტები. (50 000 ევრო გრანტი, 10% მუნიციპალური დაფინანსება)</p>	<p>დონორი ორგანიზაციების თვის.</p> <p>4. მუდმივი კოორდინაცია ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ერთობლივი პროექტებისა და ლონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით.</p>	<p>საგრანტო განაცხადები პოტენციური დონორი ორგანიზაციების თვის.</p> <p>4. მუდმივი კოორდინაცია ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ერთობლივი პროექტებისა და ლონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით.</p>	<p>მიზნების შესაბამისობა მუნიციპალიტეტის პროგრამებთან და პროექტებთან.</p> <p>3. მუნიციპალიტეტის პროგრამებისა და პროექტების განხორციელების ვის, ბიუჯეტგარეშე თანხების მოძიება.</p> <p>4. ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით, ერთობლივი პროექტების განხორციელება.</p>	
--	--	--	--	--	---	--

შუალედური შედეგი (OUTPUT)	2023 საბაზისო	2024	2025	2026	2027	სტრატეგიული მიზანი	შეფასებ ის მაჩვენებელი
	<p>1. კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიის მომზადებაში მონაწილეობის მიღება და მისი გაცნობა/წარდგენა მუნიციპალიტეტის სხვა სტრუქტურული ერთეულებისა და მის დაქვემდებარებაში არსებული ააიპ დაწესებულებებისთვის, განხილვისა და შემდგომში დამტკიცების მიზნით. 2023 წლისთვის, მუნიციპალიტეტში შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც კოორდინაციას გაუწევს მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივ დონეზე დანერგვას.</p> <p>3. მომზადებული და წარდგენილია სხვადასხვა საგრანტო განაცხადები პოტენციური დონორი ორგანიზაციებისთვის.</p> <p>4. მუდმივი</p>	<p>1. კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიის მომზადებაში მიღება და მისი გაცნობა/წარდგენა მუნიციპალიტეტის სხვა სტრუქტურული ერთეულებისა და მის დაქვემდებარებაში არსებული ააიპ დაწესებულებებისთვის, განხილვისა და შემდგომში დამტკიცების მიზნით. 2024 წლისთვის, მუნიციპალიტეტში შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც კოორდინაციას გაუწევს მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივ დონეზე დანერგვას.</p> <p>3. მომზადებული და წარდგენილია სხვადასხვა საგრანტო განაცხადები</p>	<p>1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტმა დაიწყო კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმის განხორციელება. 2. მუნიციპალიტეტი ს პროგრამები, შესაბამის პროექტებთან ერთად თანხვედრაშია გაერთოს მდგრადი განვითარების მიზნებთან. ხორციელდება მისი მონიტორინგი და ანგარიშგება. 3. მომზადებული და წარდგენილია სხვადასხვა საგრანტო განაცხადები პოტენციური დონორი ორგანიზაციებისთვის. 4. მუდმივი კოორდინაცია ადგილობრივ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ერთობლივი პროექტებისა და</p>	<p>1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი ახორციელებს კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმას. 2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი აქვს დამტკიცებული მდგრადი განვითარების სამოქმედო გეგმა. 3. მომზადებული და წარდგენილია სხვადასხვა საგრანტო განაცხადები პოტენციური დონორი ორგანიზაციებისთვის. 4. მუდმივი კოორდინაცია ადგილობრივ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთობლივი პროექტებისა და</p>	<p>1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი ახორციელებს კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმას. 2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი აქვს დამტკიცებული მდგრადი განვითარების სამოქმედო გეგმა. 3. მომზადებული და წარდგენილია სხვადასხვა საგრანტო განაცხადები პოტენციური დონორი ორგანიზაციებისთვის. 4. მუდმივი კოორდინაცია ადგილობრივ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთობლივი პროექტებისა და</p>	<p>1. კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმის არსებობა ხელს შეუწყობს ისეთი პროექტების განხორციელებას, რომელიც საბოლოოდ მიმართული იქნება განახლებადი ენერჯის გამოყენების, ენერგო-რესურსების დაზოგვისა და შესაბამისად, გარემოზე მავნე ზეგავლენების შემცირებისკენ. 2. გაერთოს მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისობა მუნიციპალიტეტის პროგრამებთან და პროექტებთან. 3. მუნიციპალიტეტის პროგრამებისა და პროექტების განხორციელებისთვის, ბიუჯეტგარეშე თანხების მოძიება. 4. ადგილობრივი</p>	<p>1. მუნიციპალიტეტის SECAP-ის დამტკიცებული გეგმა. 2. გაერთოს მდგრადი განვითარების ადგილობრივი დონეზე დანერგილი მიზნები. 3. დონორების მიერ დაფინანსებული პროექტები. 4. ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად განხორციელებული ერთობლივი დონისძიებები.</p>

	<p>კოორდინაცია ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ერთობლივი პროექტებისა და ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების.</p> <p>5. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიასა და GIZ-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება ურბანული ლაბორატორიის პროექტის განხორციელების მიზნით, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი.</p>	<p>პოტენციური დონორი ორგანიზაციებისთვის.</p> <p>4. მუდმივი კოორდინაცია ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ერთობლივი პროექტებისა და ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების.</p> <p>5. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიასა და GIZ-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში ხორციელდება ურბანული ლაბორატორიის პროექტი</p>	<p>ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით.</p>		<p>და ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით.</p>	<p>და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით, ერთობლივი პროექტების განხორციელება.</p>	
--	--	---	---	--	--	--	--

პროგრამის დასახელება	კოდი	სამოქალაქო ბიუჯეტი	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 16		1000.0	4000.0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სამოქალაქო ბიუჯეტი არის პირდაპირი დემოკრატიის მექანიზმი, რომელიც ქმნის შესაძლებლობას მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირებისას გათვალისწინებულ იქნას საზოგადოებრივი ინტერესები.</p> <p>პროგრამის მიზანს წარმოადგენს საბიუჯეტო პროცესში ხელისუფლებისა და საზოგადოების ურთიერთქმედების ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეებს სთავაზობს თავად შეიმუშაონ კონკრეტულ დასახლებაში არსებული პრობლემის გადაჭრის გზები და რიგი პროცედურების გავლის შედეგად განსაზღვრონ პრიორიტეტული პროექტები.</p> <p>პროგრამაში ასევე გათვალისწინებულია ყოველწლიური საინფორმაციო კამპანიის მასალების შესასყიდად საჭირო თანხა 5000 ლარის ოდენობით.</p>			
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 16 - მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე			
მოსალოდნელი შედეგი	ხელშეწყობილია ადგილობრივი ხელისუფლებისა და მოსახლეობის ურთიერთთანამშრომლობა პრიორიტეტების განსაზღვრის საქმეში, უზრუნველყოფილია მოსახლეობის ჩართულობა საბიუჯეტო პროცესში და ქ. ზუგდიდში გაუმჯობესებულია საცხოვრებელი გარემო;			

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	№	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	1	სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესის ფარგლებში მოქალაქეებიდან შემოსული პროექტების რაოდენობა;	20 პროექტი	რაოდენობა დამოკიდებულა მოსახლეობის აქტიურობაზე	5%
2		ახალშექმნილი სხვადასხვა ტიპის ინფრასტრუქტურული პროექტი	20-მდე პროექტი	დამოკიდებულა მოსახლეობის მიერ პროექტების	5%	არშემდგარი ხელშეკრულების დარღვევა ტენდერები, პირობების

				შერჩევის პროცესზე		
	3	განხორციელებული პროექტებით მოსარგებლეთა რაოდენობა.	15000-მდე ბენეფიციარი	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება ან გაზრდა	5%	არშემდგარი ტენდერები

დასუფთავება და გარემოს დაცვა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დაცვითი ღონისძიებები და მყარი ნარჩენების გატანა, მწვანე ნარჩენების მოვლა-პატრონობა, ქარსაფარი ზოლების დაცვა და მეჩხერი ფართობების აღდგენა, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები. შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქისა და 48 ადმინისტრაციული ერთეულის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა; ქალაქის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი სამუშაოები. ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარჩენების დარგვა, სკვერებში ბალახის გათიბვა; ანაკლია - განმუხურის სანაპირო ბულვარის ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა-მოწესრიგება, მოვლა-პატრონობა, ზედამხედველობა და დასვენებისთვის გაუმჯობესებული გარემოს შექმნა.

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	დასახელება	2024 წლის პროექტი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	8,410.0	8,885.0	9,350.0	9,660.0
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	6,300.0	6,500.0	6,800.0	7,000.0
03 02	შპს "ANAKLIA-GANMUKHURIS RESORTS" ფინანსური ხელშეწყობა	800.0	900.0	950.0	980.0
03 03	ბოტანიკური ბაღის ხელშეწყობის პროგრამა	1,050.0	1,200.0	1,300.0	1,400.0
03 04	სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	120.0	120.0	120.0	120.0
03 05	პარკების, სკვერების და ბულვარის რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის პროგრამა	100.0	120.0	120.0	100.0
03 08	მუნიციპალური ტერიტორიის და მოსახლეობის დაცვის ღონისძიებები მდგრადი განვითარებისა და სხვა ცხოველებისაგან	40.0	45.0	60.0	60.0

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	03 01		6,300.0	26,600.0
პროგრამის განმახორციელებელი	ააიპ „ზუგდიდდასუფთავება“			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ააიპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრის“ ძირითადი მიზანია: მუნიციპალური მყარი ნარჩენების მართვა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე, როგორც ქალაქში, ასევე სოფლის ადმინისტრაციული ერთეულების მასშტაბით. საქმიანობის სფერო მოიცავს: ზუგდიდის მუნიციპალიტეტში შემავალ ქალაქში და 48 სასოფლო ადმინისტრაციულ ერთეულში საჯარო და საზოგადოებრივი სარგებლობის ადგილების, შიდა გზების, ტროტუარების, სკვერების, გაზონების, მოსახლეობის ყოველდღიური კონცენტრაციის ადგილების დაგვა - დასუფთავებას, ნარჩენების აკრეფა-შეგროვებას და ტრანსპორტირებას ნაგავსაყრელში; მყარი ნარჩენების გატანას მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებადი 1200-ზე მეტი კომერციული, ინსტიტუციური და ინდუსტრიული ობიექტიდან.</p> <p>მყარი ნარჩენების მართვის პროგრესული ტექნოლოგიების, კერძოდ: ქაღალდის, მუყაოს და პლასტიკატის სეპარირება - რეციკლირების პროცესების დანერგვას და ამ მხრივ არსებული რესურსების ცირკულარულ ეკონომიკაში ჩართვას.</p> <p>პროგრამის მიზანია ასევე ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მყარი მუნიციპალური ნარჩენების სრულყოფილი, ეფექტიანი მართვა საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილს დამტკიცებული „ნარჩენების მართვის 2016 – 2030 წლების ეროვნული სტრატეგიის“ , „ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმის“ და საკრებულოს მიერ 2022 წლის 23 დეკემბერს დამტკიცებული „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის 2023-2027 წწ სამოქმედო გეგმით“ განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისად.</p>			
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება			
მოსალოდნელი შედეგი	<p>2024-2027 წლებში დაგეგმილი პრიორიტეტების განხორციელების შედეგად:</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ მუნიციპალიტეტში მკვეთრად შემცირდება ნარჩენების გარემოზე ზემოქმედების უარყოფითი შედეგები და გაუმჯობესდება ეკოლოგიური გარემო; ➢ შეიქმნება ნარჩენების მართვის ეფექტიანი მექანიზმები; ➢ როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ასევე ტურისტებისა და მუნიციპალიტეტის სტუმრებისათვის დასუფთავებული, სანიტარულად და ჰიგიენურად მიმზიდველი გახდება ქალაქი და სოფლები, ბაღები და სკვერები, ზღვის სანაპირო ზოლი და სხვა ტურისტული ობიექტები; ➢ შესაბამისი მომსახურება მიეწოდება ქალაქის მოსახლეობის 100, ხოლო სოფლის მოსახლეობის 90 პროცენტს; 			

- 2023 წელს დაიწყო და 2024- 2027 წლებში უფრო ფართოდ დაინერგება ქაღალდის, მუყაოსა და პლასტიკის ნარჩენების სეპარირებული შეგროვების და რეციკლირების პროცესები, მიღებული მეორადი ნედლეულის რეალიზაციით გაიზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლები;
- უზრუნველყოფილი იქნება საკრებულოს მიერ დამტკიცებული მუნიციპალური ნარჩენების მართვის 2023 – 2027 წწ გეგმით განსაზღვრული ამოცანების შესრულება;
- გაუმჯობესდება ცენტრის მატერიალურ - ტექნიკური ბაზა;
- 2024 - 2027 წლებში რეციკლირებული იქნება და ცირკულარულ ეკონომიკაში ანუ ნედლეულის სახით წარმოებას დაუბრუნდება 2380 ტონამდე ქაღალდი და 3130 ტონამდე პლასტიკატი და ადგილობრივი ბიუჯეტი ამ პერიოდში დამატებით მიიღებს 1220,0 ათას ლარამდე შემოსავალს.

	№	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	1	წლის განმავლობაში გატანილი ნარჩენების მოცულობა	28.4 ათას ტონამდე;	29.0 ათასი ტონა	0%	
	2	ყოველდღიურად დასუფთავებული ტერიტორიის ფართობი	91 ჰა;	100 ჰა	0%	
	3	მუნიციპალიტეტის მასშტაბით განთავსებული ნაგავშემკრები კონტეინერები	2332 ერთეული;	7340-მდე ერთეული	0%	
	4	დახურული ტიპის ნაგავმზიდების რაოდენობა (ცალი)	15 ერთეული	17 ერთეული	0%	

	5	რეციკლირების პროგრამის ფარგლებში ქაღალდისა და მუყაოს დაპრესილი მოცულობა (ტონა)	142	725-მდე	0%	
--	---	--	-----	---------	----	--

პროგრამის დასახელება	კოდი	შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS“-ის ფინანსური ხელშეწყობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	03 02		800.0	3,630.0
პროგრამის განმახორციელებელი	შპს "ANAKLIA-GANMUKHURIS RESORTS"			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის მიზანია ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიისა და მასზე განთავსებული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, მოვლა-პატრონობა, განახლება; კერძოდ: სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის, ანაკლია-განმუხურის ბულვარის დამაკავშირებელი საფეხმავლო ხიდის, კაფე-რესტორნის, ამფითეატრის, მინი-ფეხბურთის მოედნის, კალათბურთის მოედნის, ტენისის კორტის, ქვიშის ფრენბურთისა და ქვიშის ფეხბურთის მოედნების მოვლა-პატრონობა; ინვესტირებისა და ვიზიტორებისთვის შესაბამისი თანამედროვე გარემო პირობების შექმნა.</p> <p>პროგრამის მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე გამწვანების ზოლში არსებული ხე-მცენარეების მოვლა პატრონობა, ამ კუთხით წლის განმავლობაში ორჯერ ტარდება ფიტოსანიტარული მონიტორინგი მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის ცენტრის მიერ ვეგეტაციის დაწყების (აღრე გაზაფხულზე) და ვეგეტაციის დასრულების პერიოდისთვის (გვიან შემოდგომაზე). მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის ცენტრის მიერ გაცემული საექსპერტო დასკვნის საფუძველზე ხდება ხე-მცენარეების გამოკვება სხვადასხვა სასუქ-მინერალებით.</p> <p>ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორია, მოიცავს 160000 მ² ფართობს, რომელიც პერიოდულად ითიბება ზაფხულის სეზონის (მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი) განმავლობაში.</p> <p>ამასთან, კომპანიას დაწესებული აქვს მუშაობა 2024 – 2027 წლების გეგმის შესადგენად, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება ახალი პროექტების განხორციელება, როგორცაა:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. განმუხურის კაფე-რესტორნის ინტერიერისა და მიმდებარე ტერიტორიის მოწყობის პროექტირება; 2. განმუხურის ბულვარის პარკში ფეხით მოსიარულეთა გასასვლელი ბილიკების მოწესრიგება; 3. სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე პლაჟზე შ.შ.მ. პირებისთვის პანდუსის მოწყობა; 4. ამფითეატრთან მისასვლელი ტერიტორიისა და მინა-პაკეტების დაზიანებული ნაწილის შეცვლა და მოწესრიგება; 5. სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიის ღობის განახლება არსებული (მილ-კვადრატებით) და ტერიტორიის დახაზვა ავტოსადგომისთვის; 6. შლაგბაუმის მოწყობა ანაკლიის ბულვარის შესასვლელში; 7. ანაკლიის ბულვარში ქვიშის ფეხბურთის სტიქის შედეგად დაზიანებული კედლის აღდგენა; 8. განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე არსებული ამორტიზირებული საბავშვო მოედნის ახლით შეცვლა; 9. ამფითეატრში დიჯეის მოსასვენებელი ოთახების მოწყობა; 10. ამფითეატრში კაფე-ბარის მოწყობის პროექტირება; 11. სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის სტადიონის დამცავი ღობის რეაბილიტაცია; 12. ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე ვიდეო-სათვალთვალო კამერების მონტაჟი; 13. ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყოფილი 37 ლოკაციის მოწყობა. 			
გეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის	<p>მიზანი 8 – სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის</p> <p>მიზანი 9 - მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა</p> <p>მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება</p>			

მიწვევასაც ემსახურება პროგრამა	
მოსალოდნელი შედეგი	<p>2024-2027 წლებში დაგეგმილი პრიორიტეტების განხორციელების შედეგად:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. მკვეთრად გაუმჯობესდება და განახლდება ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურა; 2. როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ასევე ტურისტებისა და მუნიციპალიტეტის სტუმრებისათვის დასუფთავებული, განახლებული და მიმზიდველი გახდება ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარი; 3. კომპანიაში გაჩნდება დამატებითი საკუთარი შემოსულობები.

	№	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	1	ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე მდებარე, მოვლილი 16 ერთეული ინფრასტრუქტურული ობიექტი	მოვლილია 16 ობიექტი	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	0%	
	2	ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე გამწვანების ზოლში მოვლილი 2018 ძირი ხე-მცენარე	1040 კილოგრამი სასუქ- მინერალის შეტანა მოხდა წელს	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	5%	გაუთვალისწინებელი შემთხვევები
	3	სპორტულ- გამაჯანსაღებელი კომპლექსის - ფეხბურთის მოედნის მოვლილი მინდვრის საფარი	315 კილოგრამი სასუქი და 22 მ ³ კვარციტული ქვიშის შეტანა მოხდა წელს	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	5%	გაუთვალისწინებელი შემთხვევები

პროგრამის დასახელება	კოდი	ბოტანიკური ბაღის ხელშეწყობის პროგრამა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	03 03		1,050.0	4,950.0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრი“			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში ოთხმოცამდე გვარის მრავალი სახეობის ხე, ბუჩქი და მცენარე იზრდება, მათ შორის მაგნოლიის ექვსი სახეობა, სხვადასხვა სახეობის მუხა, ატლასისა და ჰიმალაის კედარი, კანარის ვერხვი, აზიის, მათ შორის ინდოეთის, იაპონიის, ხმელთაშუაზღვისპირეთის, ამერიკის და სხვა ადგილებიდან შემოტანილი რელიქტური და ენდემური მცენარეები. როგორც მდებარეობით, ასევე კლიმატური პირობებით ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი ერთ-ერთ საუკეთესო ბაზას წარმოადგენს ძვირფასი სუბტროპიკული მცენარეების ინტროდუქციის, კვლევისა და აკლიმატიზაციისათვის.</p> <p>პროგრამის მიზანია ზუგდიდის რეაბილიტირებული ბოტანიკური ბაღის მოვლა-პატრონობა; მისი განვითარების ხელშეწყობა; ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში ისტორიული მნიშვნელობის ხეივნების აღდგენა/შევსება; ისტორიულ წყაროებში მითითებული კამელიების, ჰორტენზიების და ბზის ხეივნების აღდგენა განვითარება, ოჯალემისა და ოქროწვიმის ხეივნების მოწყობა; დენდრარიუმის მოწყობა 5 ჰექტარზე.</p> <p>არსებული ფლორის ახალი კოლექციებით გამდიდრება; მრავალფეროვანი სერვისებისა და პროდუქტების დანერგვა; ადგილობრივი მაცხოვრებლებისა და ტურისტებისათვის დასასვენებლად კომფორტული გარემოს შექმნა; სათბურში არსებული და ახალი სახეობების მცენარეთა ჩითილების გამოყვანა და გამრავლება; მცენარეთა სხვა-ფორმირება და კონსერვაცია; მანებელ დაავადებებთან და მწერების საწინააღმდეგო ღონისძიებების ორგანიზება; ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე სპორტული, კულტურულ-შემეცნებითი, გასართობი, საგანმანათლებლო და სადღესასწაულო ინფრასტრუქტურის განვითარება; ბოტანიკური ბაღის მოვლა-პატრონობისთვის საჭირო ტექნიკისა და აღჭურვილობის შეძენა; სამეცნიერო ცენტრის შექმნის მიზნით საგანმანათლებლო და სამეცნიერო ბაზის ფორმირება; ჰერბარიუმის შექმნა; სამეცნიერო ექსპედიციების ორგანიზება.</p>			
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება			
მოსალოდნელი შედეგი	<ul style="list-style-type: none"> ✓ ზუგდიდის ბოტანიკური ბაღისათვის ისტორიული იერსახის დაბრუნება და მისი როგორც, ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის შენარჩუნება ✓ ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის როგორც რეკრეაციული და ტურისტული ობიექტის განვითარება, მცენარეთა კოლექციების გამრავალფეროვნება. ✓ ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის განვითარების გეგმის (7-10წელი) მომზადება, სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო ცენტრად ჩამოყალიბება. <p>ზუგდიდის ბოტანიკური ბაღისათვის დაბრუნებული ისტორიული იერსახე და ამავდროულად ბაღი შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს.</p>			

	№	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	1	ისტორიული ხეივნების აღდგენა - ჭადრები, ბზა, კედარი, ახალიები. ისტორიული სივრცეების აღდგენა - სექვოია, ვარდები, ჩვეულებრივი წაბლი, ქართული მუხა, უთხოვარი, წყავი, ნიგოზი (კაკალი), ტირიფი, ვაზი (მვ. მეგრული ჯიშები). ბაღის ტერიტორიაზე არსებული ისტორიული ძეგლების მოვლა-შენარჩუნება.	20%	100%	5%	გაუთვალისწინებელი შემთხვევა
	2	საგამოფენო დარბაზის განახლება/განვითარება, ელექტრო სკუტერების შექმნა ვიზიტორთათვის, სავარჯიშო სივრცის განახლება, შველირემებისათვის სივრცის მოწყობა, ციყვების შემოყვანა, გედების შემოყვანა, ხელისმოწერის ცერემონიალის ორგანიზება, ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე Wi-Fi ქსელის მოწყობა, ღია გადახურული ფანჩატური 200კვ.მ-მდე, ამფითეატრის მოწყობა, ბაღის დიდი საქანელების მოწყობა, ხელოვნურ ტბებზე შადრევნების	20%	100%	5%	გაუთვალისწინებელი შემთხვევა

		მოწყობა.				
	3	<p>ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის განვითარების გეგმის (7-10წელი) მომზადება 2024 წელი, ევროპული ბაღების კომფერენციის მოწყობა, საქართველოში არსებული ბოტანიკური ბაღების ფორუმი, მცენარეთა კოლექციის გაზრდის მიზნით ექსპედიციების მოწყობა, ბაღში არსებული ენდემური და ეგზოტიკური მცენარეების შესახებ კომფერენცია, მცენარეთა ინტროდუქცია-აკლიმატიზაციის შესახებ კონფერენცია, ეკოლოგია და გარემო, ისტორიული ძეგლების და არტეფაქტების შესახებ სემინარები და კონფერენცია, ღია გაკვეთილები თემაზე „ჩვენ და გარემო“, BGCI წევრობა. ბუკლეტების, ბროშურების, კატალოგები, სამაგიდო წიგნების მომზადება დაბეჭდვა.</p>	20%	100%	5%	გაუთვალისწინებელი შემთხვევა

პროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	03 04		120.0	480.0
პროგრამის განმახორციელებელი	ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>საქართველოს მთავრობის და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაგეგმილი სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების განხორციელების ხელშეწყობა; სოფლის მეურნეობის დარგში საინვესტიციო პროექტების განხორციელების ხელშეწყობასა და დაინტერესებულ პირთა საჭირო ინფორმაციით უზრუნველყოფას;</p> <p>მელიორაციის სფეროში საქართველოს მთავრობის და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაგეგმილი პროექტების ხელშეწყობას უფლებამოსილების ფარგლებში; მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის სათანადოდ მოდერნიზაციის ღონისძიებების განხორციელებას; მეცხოველეობის დარგის მდგომარეობის მონიტორინგს; სასურსათო პროდუქტების გადამამუშავებელი, შესანახი ინფრასტრუქტურის, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარების, მომსახურების ცენტრების და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების შესახებ ინფორმაციის კონსოლიდაციას და დაინტერესებული უწყებებისთვის /პირებისთვის/ მიწოდებას; სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში პროდუქტიულობის გაზრდის ღონისძიებების განხორციელებასა და ამ სფეროში დასაქმებული ან დასაქმების მსურველი ადამიანების კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობას; სოფლის-მეურნეობის დარგში დასაქმების მსურველთა ბაზის შექმნას, მათი დასაქმების ხელშეწყობის მიზნით; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეროვნული ტრადიციებისა და გამოცდილების, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით აგრარული პროექტების განხორციელების ხელშეწყობას; მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის მდგომარეობის სტატისტიკური მონაცემების შეგროვებას, მათი სისტემატიზაციასა და ანალიზს; მოსახლეობისთვის აგრარულ საკითხებზე საკონსულტაციო საგანმანათლებლო მომსახურების გაწევას; ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში არსებული მცენარეთა მოვლა, კოლექციების ახალი სახეობებით გამდიდრება, ისტორიული მნიშვნელობის ხეივნების აღგენა, მრავალფეროვანი სერვისების დანერგვა, სამეცნიერო, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება.</p> <p>პროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ ზუგდიდის ბოტანიკური ბაღისათვის ისტორიული იერსახის დაბრუნება და მისი როგორც, ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის შენარჩუნება ✓ ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის როგორც რეკრეაციული და ტურისტული ობიექტის განვითარება, მცენარეთა კოლექციების გამრავალფეროვნება. ✓ ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის განვითარების გეგმის (7-10წელი) მომზადება, სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო ცენტრად ჩამოყალიბება. 			
მოსალოდნელი შედეგი	<p>სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა, პოპულარიზაცია, სახელმწიფო პროგრამების ხელშეწყობა, აღრიცხვიანობის მოწესრიგება, დარგის მოდერნიზაციის ხელშეწყობა, თანამშრომლობა დარგის სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორთან, სხვა დაინტერესებულ პირებთან, რაც გამოიწვევს თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას, სასოფლო სამეურნეო საქმიანობიდან შემოსავლების ზრდას და დოვლათს ადგილობრივი მოსახლეობისთვის.</p> <p>დაინტერესებული პირებისთვის სოფლის მეურნეობის დარგში საქმიანობის სწორად დაგეგმვასა და გასატარებელ ღონისძიებებზე ინფორმირებულობის უზრუნველყოფა, რაც არის საფუძველი მოკლევადიანი ან გრძელვადიანი სტაბილური შემოსავლების მიღების უზრუნველსაყოფად;</p> <p>პროგრამის მიზანია ხელოვნური განაყოფიერების პოპულარიზაცია ფერმერებში, კერძოდ პროგრამის მიერ მოხდება ხელოვნური განაყოფიერების მომსახურების საფასურის ფაქტიურად სრულად სუბსიდირება, ასევე დაინტერესებულ ფერმერებს საშუალება ექნებათ უფასო კონსულტაციისა და ტრენინგების პროგრამაში მიიღონ მონაწილეობა. რძის მცირე და საშუალო მწარმოებელი ფერმერების მდგრადობის ამაღლება, მეწველი საქონლის ჯიშობრივი გაუმჯობესება და</p>			

პროდუქტიულობის ამაღლება; ფურის ჯამრთელობის და კეთილდღეობის გაუმჯობესება; პროგრამა „დაფნის ბაღის მოწყობა“ არის შესაძლებლობა ოჯახების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების, ცოდნის მიღება/ამაღლების და გრძელვადიან პერსპექტივაში სტაბილური შემოსავლების მიღების, მათი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების; სასოფლო სამეურნეო საქმიანობის წარმართვა თანამედროვე მეთოდების დანერგვით, კულტურებზე გავრცელებული მავნებელთან და დაავადებებთან ბრძოლა ახალი ტექნოლოგიებით, რაც ჯამში იძლევა სასოფლო სამეურნეო კულტურების გაჯანსაღებას, განახლებას, პროდუქტიულობის გაზრდას, რაც ქმნის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობებისა და კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

შეფასების ინდიკატორები							
საბოლოო შედეგი (OUTCOME)	2023 საბაზისო	2024	2025	2026	2027	სტრატეგიული მიზანი	შეფასების მაჩვენებელი
დაფნის ბაღების მოწყობა 300 ბენეფიციარზე	60 ბენეფიციარზე დაფნი ბაღის მოწყობა (500-500 ნერგის შესყიდვა და დარიგება)	60 ბენეფიციარზე დაფნი ბაღის მოწყობა (500-500 ნერგის შესყიდვა და დარიგება)	60 ბენეფიციარზე დაფნი ბაღის მოწყობა (500-500 ნერგის შესყიდვა და დარიგება)	60 ბენეფიციარზე დაფნი ბაღის მოწყობა (500-500 ნერგის შესყიდვა და დარიგება)	60 ბენეფიციარზე დაფნი ბაღის მოწყობა (500-500 ნერგის შესყიდვა და დარიგება)	სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის სტაბილური შემოსავლების უზრუნველყოფა	ბაღის მოწყობა, ნერგების შესყიდვა დარიგება
მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციული ერთეულში რამოდენიმე ლოკაციაზე წიადაგის შემადგენლობის ლაბორატორიული კვლევების ჩატარება	87 ლოკაციაზე კვლევები	100 ლოკაციაზე კვლევები	15 ლოკაციაზე კვლევები			ყველა დაინტერესებული პირის ინფორმირებულობის უზრუნველყოფა, დასკვნა/რეკომენდაციებზე	კუთვნილი მიწის ნაკვეთებზე აგროტექნიკური ღონისძიებების უკეთესად დაგეგმვა
დარგობრივი მიმართულებით	100-მდე ფერმერის გადამზადება	100-მდე ფერმერის	100-მდე ფერმერის	100-მდე ფერმერის	100-მდე ფერმერის	გამოცდილების მიღება და თანამედროვე ტექნოლოგიების	გადამზადებული ბენეფიციარების

რამოდენიმე ათეული ფერმერის გადამზადება		გადამზადება	გადამზადება	გადამზადება	გადამზადება	გაზიარება	რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებელი
რძის მცირე და საშუალო მწარმოებელი ფერმერების მდგრადობის ამაღლება, ხელოვნური განაყოფიერების 1200 პროცედურის თანადაფინანსება		300 ერთელი პროცედურის თანადაფინანსება	300 ერთელი პროცედურის თანადაფინანსება	300 ერთელი პროცედურის თანადაფინანსება	300 ერთელი პროცედურის თანადაფინანსება	მეწველი საქონლის ჯიშობრივი გაუმჯობესება და პროდუქტიურობის ამაღლება	ფერმერების შემოსავლების ზრდა
აგრარულ რუკაზე ახალი საკადასტრო მონაცემების დატანა	მუნიციპალიტეტის ნიადაგების, მართვის გეოსაინფორმაციო სისტემის შექმნა	საკადასტრო ფენის განახლება	საკადასტრო ფენის განახლება	ახალი საინფორმაციო ველების დატანა	ახალი საინფორმაციო ველების დატანა	დაინტერესებული პირების ინფორმირებულობა	ადგილობრივი ფერმერებისთვის და პოტენციური ინვესტორების გზამკვლევი ბაზის შექმნა
მუნიციპალიტეტის ნიადაგების, გეოსაინფორმაციო მართვის სისტემის განთავსება ელექტრონულ პლატფორმაზე (საჯაროობის უზრუნველყოფა)	ელექტრონულ პლატფორმაზე განთავსება	ელექტრონულ პლატფორმაზე განთავსება (საჯაროობის უზრუნველყოფა)	ელექტრონულ პლატფორმაზე განთავსება (საჯაროობის უზრუნველყოფა)	ელექტრონულ პლატფორმაზე განთავსება (საჯაროობის უზრუნველყოფა)	ელექტრონულ პლატფორმაზე განთავსება (საჯაროობის უზრუნველყოფა)	დაინტერესებული პირების ინფორმირებულობა/ხელმისაწვდომობა და საჯაროობა	ადგილობრივი ფერმერებისთვის და პოტენციური ინვესტორების გზამკვლევი ბაზის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა

პროგრამის დასახელება	კოდი	პარკების, სკვერების და ბულვარის რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის პროგრამა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	03 05		100.0	1,520.0
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური და ზედამხედველობისა და ინსპექტირების სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური გარემოსა და ლანდშაფტური იერსახის გაუმჯობესება. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ახალი სკვერებისა და პარკების მშენებლობა-რეაბილიტაცია, სკვერებსა და პარკებში ქვაფენილების რეაბილიტაცია, დეკორატიული სანათების შექმნა-მონტაჟი. დაგეგმილია ქ. ზუგდიდის ოდიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, თეატრის ქუჩაზე, სკვერის მოწყობა			
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება			
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია სკვერებისა და პარკების ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შექმნილია ჯანსაღი ეკოლოგიური გარემო მოსახლეობის დასვენებისა და გართობისთვის.			

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	№	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
		1	ახალი კეთილმოწყობილი პარკების, სკვერების და მოედნების რაოდენობა	1 ობიექტი	2 ობიექტი	50%
2		მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	1500-მდე ადამიანი	3000-მდე ადამიანი	50%	არშემდგარი ტენდერი

პროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალური ტერიტორიის და მოსახლეობის დაცვის ღონისძიებები მღრღნელებისა და სხვა ცხოველებისგან	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	03 08		40.0	205.0
პროგრამის განმახორციელებელი	ზედამხედველობისა და ინსპექტირების სამსახურის რეაგირებისა და მონიტორინგის განყოფილება			
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით განხორციელდება ქ. ზუგდიდისა და მუნიციპალიტეტის სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა, მგლებისა და ტურების ბუნებრივი გარემოდან ამოღების, მღრღნელებისა და ინფექციის გადამტანი სხვა ცხოველებისგან ადამიანების დაცვის პრევენციული ღონისძიებები.			
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება			
მოსალოდნელი შედეგი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.			

		ინდიკატორის აღწერა	საბაზისო	მიზნობრივი	ცდომილების	შესაძლო რისკები
--	--	--------------------	----------	------------	------------	-----------------

	№		მაჩვენებელი	მაჩვენებელი	ალბათობა (%/აღწერა)	
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	1	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გაყვანილი მაწანწალა ძაღლების რაოდენობა	200-მდე ერთეული	წლიურად 350-400 -მდე ერთეული	5%	დაგეგმილზე ნაკლები მომართვიანობა
	2	გარემოდან ამოღებული მგლების რაოდენობა	10 -მდე ერთეული;	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	5%	დაგეგმილზე ნაკლები მომართვიანობა
	3	გარემოდან ამოღებული ტურების რაოდენობა	15 -მდე ერთეული	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	5%	დაგეგმილზე ნაკლები მომართვიანობა

განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებით და ზოგად განათლებასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო გაზრდილი ასიგნებების გამოყოფა, ამ სფეროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და პედაგოგ- აღმზრდელთა ხარისხობრივი შემადგენლობის სრულყოფა.

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	დასახელება	2024 წლის პროექტი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი
04 00	განათლება	12,605.0	15,210.0	16,280.0	17,430.0
04 01	სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის პროგრამა	11,100.0	13,440.0	14,380.0	15,410.0
04 03	სკოლისგარეშე სწავლისა და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	1,065.0	1,200.0	1,300.0	1,400.0
04 04	საგანმანათლებლო-შემეცნებითი ღონისძიებების დაფინანსება/თანადაფინანსების პროგრამა	100.0	220.0	240.0	250.0
04 05	ბავშვების და ახალგაზრდების შესაძლებლობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	300.0	310.0	320.0	330.0
04 06	შ. მესხია სახელობის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხელშეწყობის პროგრამა	40.0	40.0	40.0	40.0

კოდი	პროგრამის დასახელება	სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის პროგრამა		2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024-2027 წლის დაფინანსება ათას ლარში
04 01				11,100.0	54,330.0
პროგრამის განმახორციელებელი ბელი სამსახური		ა(ა)იპ სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<ul style="list-style-type: none"> ✓ სწავლების ხარისხის ამაღლება; ✓ კვების ხარისხის ამაღლება ✓ ზაღების აღჭურვა ✓ ზაღების ადმინისტრირება 	<p>ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 63 საბავშვო ბაღი; მათგან 18 - ქალაქში, ხოლო 45-სოფლის ტერიტორიულ ერთეულებში, რომლის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ა(ა)იპ სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი. სულ სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულია 996 თანამშრომელი, მათ შორის 165 აღმზრდელი, შემცველ მასწავლებელი 274. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამის (მეთოდოლოგიის) დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ზაღების ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება. ზაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება.</p> <p>პროგრამის მიზანია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ხარისხიანი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესისათვის ხელის შეწყობა; საბავშვო ბაღებში სწავლების ხარისხის და აღმზრდელების კვალიფიკაციის ამაღლება განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული და მთავრობის სხვადასხვა დადგენილებით დამტკიცებული სტანდარტების შესაბამისად. სტანდარტის მიზანია ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში მიმდინარე საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება. საბავშვო ბაღებში შესწავლილი იქნა არსებულ ბაღებში სწავლების ხარისხი და დადგინდა რომ სკოლამდელი დაწესებულებების აღსაზრდელები (განხილული ასაკობრივ წრილში) ვერ აკმაყოფილებს დადგენილ სტანდარტს, რაც ძირითადად აღმზრდელების დაბალი კვალიფიკაციით არის გამოწვეული. სწავლების ხარისხის გაზრდა და აღმზრდელების კვალიფიკაციის ამაღლება მოხდება სკოლამდელი აღზრდის განვითარების პროგრამით. პროგრამა მოიცავს: არსებული მდგომარეობის შესწავლას და გაანალიზებას; საბავშვო ბაღების აღმზრდელებისთვის მაღალი სტანდარტის ტრენინგ-კურსების მომსახურების შესყიდვას და სხვა ღონისძიებებს.</p> <p>ამასთანავე, პროგრამის მიზანია ბავშვების ოპტიმალური ზრდისა და განვითარების უზრუნველსაყოფად კვების ხარისხის ამაღლება. ქვეპროგრამა მოიცავს სტანდარტების შესაბამისი მენიუების შექმნას, ხარისხიანი კვების პროდუქტების შექმნას და მენიუს შესაბამისი მაღალხარისხიანი კერძების მომზადებას. ასევე საბავშვო ბაღებში გახორციელდება სამზარეულოს და საწყობების სტანდარტის შესაბამისად მოწყობა. მზარეულების გადამზადება.</p> <p>პროგრამის მიზანია ბავშვების ოპტიმალური ზრდისა და განვითარების უზრუნველსაყოფად შესაფერისი გარემოს შექმნა, რაც გულისხმობს სტანდარტის შესაბამისი უსაფრთხო გარემოსა და დაცულ სანიტარულ ჰიგიენური ნორმებს. ასევე ქვეპროგრამა მოიცავს ახალი მაღალი ხარისხის აღჭურვილობის შექმნა/მონტაჟს.</p> <p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები სკოლამდელი ასაკის ბავშვების შესაფერისი უნარჩვევებით უზრუნველყოფა; სტანდარტების შესაბამისი გარემოს შექმნა; სააღმზრდელო პროცესის გაუმჯობესება; აღმზრდელების კვალიფიკაციის ამაღლება; ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო გარემოს შექმნა; ზაღების აღჭურვა სტანდარტების შესაბამისად და კვების ნორმის გაუმჯობესება; სტანდარტების შესაბამისი უსაფრთხო გარემოსა და დაცული ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფა; დაწესებულებების გამართული ფუნქციონირება;</p>			

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა		მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის
მოსალოდნელი შედეგი	2024-2027 წლები	სწავლების ხარისხის ამაღლება; კვების ხარისხის ამაღლება; ბაღების აღჭურვა

შეფასების ინდიკატორები

საბოლოო შედეგი (OUTCOME)	2023 საბაზისო	2024	2025	2026	2027	სტრატეგიული მიზანი	შეფასების მაჩვენებელი
სკოლამდელი ასაკის ბავშვების სკოლისთვის მზაობა	სკოლისთვის მზადყოფილი ბავშვების რაოდენობა 70%	სკოლისთვის მზადყოფილი ბავშვების რაოდენობა 80%	სკოლისთვის მზადყოფილი ბავშვების რაოდენობა 90%	სკოლისთვის მზადყოფილი ბავშვების რაოდენობა 100%	სკოლისთვის მზადყოფილი ბავშვების რაოდენობა 100%	სკოლამდელი ასაკი ბავშვების სკოლისთვის მომზადება	მეთოდოლოგია სტანდარტი NI
სტანდარტების შესაბამისი გაუმჯობესებული სასაბაზო გარემო და ამალღებული კვების ხარისხი.	კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმა (კალორაჟი 1200) სტანდარტის შესაბამისი სასაბაზო გარემო	კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმა (კალორაჟი 1600) სტანდარტის შესაბამისი სასაბაზო გარემო	კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმა (კალორაჟი 1700) სტანდარტის შესაბამისი სასაბაზო გარემო	კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმა (კალორაჟი 1800) სტანდარტის შესაბამისი სასაბაზო გარემო	კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმა (კალორაჟი 1900) სტანდარტის შესაბამისი სასაბაზო გარემო	სტანდარტების შესაბამისი გაუმჯობესებული სასაბაზო გარემო და კვების ხარისხის ამაღლება	სურსათის უვნებლობის ინსპექციის დასკვნა
სტანდარტების შესაბამისი უსაფრთხო გარემო და დაცული ჰიგიენური ნორმები	შენიშვნები ჰიგიენური ნორმების შესახებ შენიშვნები სახანძრო უსაფრთხოების შესახებ	შენიშვნები ჰიგიენური ნორმების შესახებ შენიშვნები სახანძრო უსაფრთხოების შესახებ	შენიშვნები ჰიგიენური ნორმების შესახებ შენიშვნები სახანძრო უსაფრთხოების შესახებ	შენიშვნები ჰიგიენური ნორმების შესახებ; შენიშვნები სახანძრო უსაფრთხოების შესახებ	შენიშვნები ჰიგიენური ნორმების შესახებ; შენიშვნები სახანძრო უსაფრთხოების შესახებ	სტანდარტების შესაბამისი უსაფრთხო გარემო და დაცული ჰიგიენური ნორმების ქონა	ინსპექციის შენიშვნების რაოდენობა

შუალედური შედეგი (OUTPUT)	2023 საბაზისო	2024	2025	2026	2027	სტრატეგიული მიზანი	შეფასებ ის მაჩვენებ ელი
გადამზადებული აღმზრდელები	გადამზადდა 260 აღმზრდელი	გადამზადდება 174 შემცვლელ მასწავლებელი				აღმზრდელების გადამზადება	სრულად გადამზადებული აღმზრდელები
საჭირო ინვენტარით აღჭურვილი საბავშვო ბალები	შენიშვნები ჰიგიენური ნორმების შესახებ შენიშვნები სახანძრო უსაფრთხოების შესახებ	შენიშვნები ჰიგიენური ნორმების შესახებ შენიშვნები სახანძრო უსაფრთხოების შესახებ	შენიშვნები ჰიგიენური ნორმების შესახებ შენიშვნები სახანძრო უსაფრთხოების შესახებ	ჰიგიენური ნორმების შესახებ შენიშვნები სახანძრო უსაფრთხოების შესახებ	ჰიგიენური ნორმების შესახებ შენიშვნები სახანძრო უსაფრთხოების შესახებ	ბალების საჭირო ინვენტარით აღჭურვა	დაწესებულებების გამართული ფუნქციონირება

კოდი	პროგრამის დასახელება	სკოლისგარეშე სწავლისა და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
04 03			1065.0	4,965.0
პროგრამის განმახორციელებელის ამსახური	ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე“			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე წარმოადგენს სკოლისგარეშე, მრავალპროფილიან საადმინისტრაციო-საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც მოზარდებს ეხმარება თავისუფალი დროის სწორად ორგანიზებას და შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენაში. უზრუნველყოფს პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას, მეცნიერების ლიტერატურის და ხელოვნების მიღწევების ათვისებისათვის პრაქტიკული და თეორიული მუშაობის წარმართვას საყურადღებო ჟურნალისტიკის განვითარებას.</p> <p>უზრუნველყოფს ხელოვნების სხვადასხვა დარგის მაღალ პროფესიულ დონეზე სწავლებას და პოპულარიზაციას, (ქართული ფოლკლორი, ხალხურ საკრავთა ანსამბლი, კლასიკური და საესტრადო მუსიკა, ვოკალურ ინსტრუმენტული ანსამბლი, ქართულ ხალხური ქორეოგრაფია, საყურადღებო თეატრი, სამეჯლოსო-სპორტული და თანამედროვე ცეკვები, ბალეტი პანტომიმა, დრამატული სტუდია). სასახლეში ტარდება სასწავლო შემოქმედებითი კონფერენციები, ინტელექტუალურ-შემეცნებითი თამაშობები, ვიქტორინები, სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო პროექტები, თემატური გამოფენები, შეხვედრები, ლაშქრობები, მასობრივი სპორტული ღონისძიებები, სხვა საგნობრივი კონკურსები, გამოყენებითი ხელოვნების გამოფენა-კონკურსები, ექსპედიციები, საქველმოქმედო აქციები, მოსწავლე-ახალგაზრდობის დღეები. წრეებსა და სტუდიებში გაერთიანებულია 812-მდე მოზარდი, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს ემსახურება 78 თანამშრომელი, მათგან 34 პედაგოგია.</p> <p>ყოველწლიურად მოსწავლეთა სასახლის აღსაზრდელობის არაერთი საინტერესო პროექტი ხორციელდება, სასახლის მხატვრული კოლექტივები წარმატებით მონაწილეობენ როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ გამართულ საერთაშორისო კოკურს-ფესტივალებსა და სხვა ღონისძიებებში.</p>			
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის			
მოსალოდნელი შედეგი	<p>მოზარდებისა და ახალგაზრდების ხელშეწყობა. ახალგაზრდებისა და მოზარდების მეტად გააქტიურება და დაინტერესება, განვითარება გაუმჯობესებული უნარ-ჩვევებით და შესაძლებლობებით, მათი როლის გაზრდა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, უნარების გამომუშავება პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში, წლის მანძილზე განხორციელებულ პროგრამებში ჩართული რაოდენობის გაზრდა, მათი შესაძლებლობების ხელშეწყობა, წარმატებულ მოზარდთა რაოდენობის გაზრდა, საჯარო სკოლის მოსწავლეთა განათლებისა და სოციალური აქტივობების ხელშეწყობა, ახალგაზრდობის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. ზუგდიდის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში ინფრასტრუქტურის სრულყოფამ, სასწავლო გარემოს განახლებამ,</p>			

	ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფამ და სასწავლო პროცესში სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვამ განაპირობა ბენეფიციართა მნიშვნელოვანი ზრდა.
--	--

შეფასების ინდიკატორები

საბოლოო შედეგი (OUTCOME)	2023 საბაზისო	2024	2025	2026	2027	სტრატეგიული მიზანი	შეფასების მაჩვენებელი
წრების (ჯგუფები) რაოდენობა	31	32	32	33	33	საბაზისო მაჩვენებლის ზრდა	ბენეფიციარების გაზრდა და მათი თავისუფალი დროის გონივრული წარმართვა ახალგაზრდები არიან მეტად მოტივირებულები, აქტიურები და კონკურენტუნარიანები.
ინტელექტუალური კლუბის რაოდენობა	2	3	3	4	4	საბაზისო მაჩვენებლის ზრდა	
საყმაწვილო თეატრი, თოჯინების თეატრი, დრამატული თეატრი, პანტომიმა)	4	5	5	6	6	საბაზისო მაჩვენებლის ზრდა	
სტუდიის, ვოკალური ანსამბლები, ფოლკლორი ანსამბლი და გუნდი რაოდენობა	5	6	6	7	7	საბაზისო მაჩვენებლის ზრდა	
ლოგოპედი	1	1	1	1	1	საბაზისო მაჩვენებლის ზრდა	
ქორეოგრაფიული ანსამბლები	3	3	4	4	5	საბაზისო მაჩვენებლის ზრდა	
სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი	1	1	1	2	2	საბაზისო მაჩვენებლის ზრდა	
სამეჯლისო-სპორტული და თანამედროვე ცეკვების ანსამბლები	2	2	2	2	2	საბაზისო მაჩვენებლის ზრდა	

შუალედური შედეგი (OUTPUT)	2023 საბაზისო	2024	2025	2026	2027	სტრატეგიული მიზანი	შეფასების მაჩვენებელი
წრეების (ჯგუფები) რაოდენობა	13	14	14	15	15	საბაზისო მაჩვენებლის ზრდა	ბენეფიციარების გაზრდა და მათი თავისუფალი დროის გონივრული წარმართვა.
ინტელექტუალური კლუბის რაოდენობა	2	3	3	4	4	საბაზისო მაჩვენებლის ზრდა	
საყმაწვილო თეატრი, თოჯინების თეატრი, დრამატული თეატრი, პანტომიმა)	4	5	5	6	6	საბაზისო მაჩვენებლის ზრდა	
სტუდიის, ვოკალური ანსამბლები, ფოლკლორი ანსამბლი და გუნდი	4	6	6	7	7	საბაზისო მაჩვენებლის ზრდა	
ქორეოგრაფიული ანსამბლები	3	3	4	4	5	საბაზისო მაჩვენებლის ზრდა	
სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი	1	1	1	2	2	სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი	
სამეჯლისო-სპორტული და თანამედროვე ცეკვების ანსამბლები	2	2	2	3	3	სამეჯლისო-სპორტული და თანამედროვე ცეკვების ანსამბლები	
ლოგოპედი	1	1	1	1	1	საბაზისო მაჩვენებლის ზრდა	

პროგრამის დასახელება	კოდი	საგანმანათლებლო-შემეცნებითი ღონისძიებების დაფინანსება/თანადაფინანსების პროგრამა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	04 04		100.0	810.0
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის განათლების, ძველთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილება			
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს საზოგადოებრივი და არაფორმალური განათლების მიმართულებით საგანმანათლებლო - შემეცნებითი პროექტების/ღონისძიებების განხორციელებას. ეროვნულ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მოვლენების და თარიღების აღნიშვნას, მუნიციპალიტეტის ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებების პედაგოგიური პერსონალის პროფესიული განვითარებისკენ მიმართული ღონისძიებების დაგეგმვას, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. განათლების დაწესებულებების წარმომადგენელთა (მოსწავლეები, სტუდენტები) უნარების განვითარების მიზნით ბანაკების, კონფერენციების, სასწავლო-შემეცნებითი ტურების ორგანიზებას და ჩატარებას, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. სკოლამდელი აღზრდის სფეროს მხრდაჭერას.			
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის			
მოსალოდნელი შედეგი	სწავლა/სწავლების გაზრდილი მოტივაცია; განათლების სფეროს წარმომადგენელთა კვალიფიკაციის და საზოგადოების შემეცნებითი უნარების განვითარება.			

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	№	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
		1	ღონისძიებების რაოდენობა	10-ზე მეტი	საშუალოდ წლიურად 40-მდე	20 %

პროგრამის დასახელება	კოდი	ბავშვების და ახალგაზრდების შესაძლებლობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	04 05		300.0	1,260.0
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის განათლების, ძველთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილება			
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული იქნება შემოქმედებითი, აკადემიური უნარების მქონე განსაკუთრებული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვების დაფინანსება - სხვადასხვა კონკურსებში, კონფერენციებში, სიმპოზიუმებში მონაწილეობის მისაღებად; მაღალი აკადემიური მაჩვენებლების მქონე სტუდენტებისთვის მერიის სტიპენდიის დანიშვნა; ფინანსური დახმარება ასევე გათვალისწინებული იქნება ზუგდიდის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უცხოეთის აკრედიტებულ სასწავლებელში ჩარიცხული სტუდენტებისთვის. პროგრამით გათვალისწინებულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საჯარო და კერძო სკოლების მედალოსანი კურსდამთავრებულების დაჯილდოება.			

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის
მოსალოდნელი შედეგი	ახალგაზრდების მოტივაციის ამაღლება; განსაკუთრებული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების შემოქმედებითი საქმიანობის გაზრდა და განვითარება; წარმატებული ახალგაზრდების გამოვლენა და ამ კონტიგენტის სისტემატური ზრდა; ახალგაზრდების მეტი აქტიურობა საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ საქმიანობაში;

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	№	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
	1	მერის სტიპენდიანტი სტუდენტების რაოდენობა	წლიურად 20-ზე მეტი;	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება ან ზრდა	15%	სტუდენტების მომართვიანობა
	2	ერთჯერადი ფინანსური დახმარების მიმღები ბენეფიციარების რაოდენობა	წლიურად-20-ზე მეტი	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება ან ზრდა	15%	სტუდენტების მომართვიანობა
	3	უცხოეთის ქვეყნების უმაღლეს ან სხვა ტიპის სასწავლებელში სწავლა დაფინანსებული ახალგაზრდების ოდენობა	წლიურად - 10-მდე .	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება ან ზრდა	15%	სტუდენტების მომართვიანობა
პროგრამის დასახელება	კოდი	შ. მესხია სახელობის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხელშეწყობის პროგრამა			2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	04 06				40.0	160.0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია					
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში არსებული აკრედიტებული ერთადერთი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფინანსური ხელშეწყობა, რომელიც ახორციელებს როგორც პროფესიულ, ასევე საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებს. გამოყოფილი ფინანსური რესურსი მიმართულია აღნიშნული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტური აქტივობების, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების, დაწესებულების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების და სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად შექმნილი პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსებისათვის.					
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის					
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია შ.მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მდგრადი განვითარება, ხოლო მოსალოდნელი შედეგია საუნივერსიტეტო ცხოვრების გააქტიურება.					

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	№	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
	1	უნივერსიტეტის მდგრადი განვითარება, სტუდენტური ცხოვრების გაუმჯობესება, ხარისხიანი განათლების	უნივერსიტეტის მონაწილეობით განხორციელებულ აქტივობები.	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება ან ზრდა	5%	სტუდენტთა კონტიგენტის ნაკლებობა.

		უზრუნველყოფა უნივერსიტეტის, ინფრასტრუქტურის გამჯობესება.				
--	--	---	--	--	--	--

კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პრობლემების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით ხდება საჭირო ღონისძიებების ორგანიზაციულ-ფინანსური მხარდაჭერა.

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	დასახელება	2024 წლის პროექტი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	6,495.0	6,995.0	7,565.0	8,145.0
05 01	სპორტისა და ახალგაზრდული პროგრამების განვითარების ხელშეწყობა	1,570.0	1,750.0	1,900.0	2,080.0
05 01 01	მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრი	1,300.0	1,400.0	1,500.0	1,600.0
05 01 02	სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება	220.0	250.0	300.0	380.0
05 01 03	მინი სპორტული მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაცია	50.0	100.0	100.0	100.0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	4,245.0	4,535.0	4,905.0	5,265.0
05 02 01	ხელოვნებისა და კულტურის ხელშეწყობის პროგრამა	1550.0	1,650.0	1,750.0	1,850.0
05 02 02	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის პროგრამა	100.0	120.0	150.0	180.0
05 02 03	საბიბლიოთეკო დარგის განვითარების პროგრამა	950.0	1,000.0	1,100.0	1,200.0
05 02 04	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	550.0	560.0	580.0	600.0
05 02 05	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	65.0	65.0	75.0	85.0
05 02 06	რელიგიის ხელშეწყობის პროგრამა	130.0	140.0	150.0	150.0
05 02 07	სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა	900.0	1,000.0	1,100.0	1,200.0

05 03	საცხენოსნო კლუბ "ხარებას" ფინანსური ხელშეწყობა	80.0	80.0	90.0	100.0
05 04	ქართული ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის პროგრამ	570.0	600.0	620.0	650.0
05 05	შ.დადიანის სახ.სახელმწიფო დრამატული თეატრი	30.0	30.0	50.0	50.0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრი	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01		1,300.0	5,800.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრი			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სპორტის, ახალგაზრდობისა და კულტურის მიმართულების მხარდაჭერა უზრუნველყოფს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა დარგს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ განვითარებაში, ხელს უწყობს ტურიზმს, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, დანაშაულის პრევენციას, ქმედითი ნაბიჯები გადაიდგმება სპორტი უფრო მეტად ინტეგრირდეს მოსახლეობაში.</p> <p>მუნიციპალიტეტის მიზანია გაიზარდოს ახალგაზრდების ჩართულობა საზოგადოებრივ, კულტურულ და სპორტულ ცხოვრებაში, განავითაროს ახალგაზრდების მხრიდან თვითრეალიზების შესაძლებლობები, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ განვითარებასა და კონკურენტუნარიანობის ზრდას, საკუთარი პოტენციალის სრულფასოვნად რეალიზებას.</p> <p>ქვეპროგრამა გულისხმობს სპორტის სხვადასხვა სახეობაში პირველობების, ჩემპიონატების, თასების გათამაშებების, მასობრივი სპორტული ღონისძიებების, სახელობითი და საერთაშორისო ტურნირების, სასწავლო-საწვრთნო შეკრებების ჩატარებას და სპორტსმენთა მივლინებას საერთაშორისო ტურნირებზე; მასობრივი სპორტის პოპულარიზაციაზე და ქალთა სპორტის განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების ხელშეწყობას. მსოფლიო, ევროპის და საქართველოს ჩემპიონატებში მიღწეული წარმატებებისათვის ზუგდიდელი სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების მატერიალურ წახალისებას, სპორტული სკოლების საჭირო ინვენტარით უზრუნველყოფას.</p> <p>ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში პროგრამები ხორციელდება სპორტის სფეროში შექმნილი ააიპ „სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრის“ მიერ.</p>			
მოსალოდნელი შედეგი	<ul style="list-style-type: none"> ზუგდიდელი სპორტსმენების წარმატებული ასპარეზობა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო დონის ჩემპიონატებსა და ტურნირებში; 			

- მუნიციპალიტეტის ნაკრები გუნდების მაღალხარისხიანად მომზადება ეროვნულ და საერთაშორისო ასპარეზზე ღირსეულად გამოსვლისათვის;
- ხელსაყრელი პირობები შეიქმნება სპორტში მოზარდთა და ახალგაზრდების რეგულარული ჩართულობისათვის;
- მუნიციპალიტეტში არსებული სპორტული ობიექტების გამართული ფუნქციონირება;
- სპორტულ სექციებში მონაწილე ახალგაზრდა სპორტსმენების რაოდენობის გაზრდა;
- მწვრთნელების, მსაჯებისა და სპორტსმენების მატერიალურად წახალისების პირობების უზრუნველყოფა.

	№	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	1	სხვადასხვა დონის სპორტულ შეჯიბრებებზე გამარჯვებული პრიზიორი სპორტსმენების რაოდენობა	90	წლიურად საშუალოდ 150	10%	სპორტსმენთა მომზადების დონე
	2	სპორტულ სექციებში მოვარჯიშე სპორტსმენთა რაოდენობა	1532	2000	5%	მოქალაქეთა მომართვიანობა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02		220.0	1,150.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის განათლების, ძველთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სპორტული და ახალგაზრდულ -შემეცნებითი ღონისძიებების დაფინანსების კუთხით მთავარ მიმართულებას წარმოადგენს სპორტის მუნიციპალური პროგრამების შემუშავება და განხორციელების კოორდინაცია, ახალგაზრდებში არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, ახალგაზრდული პროექტების განხორციელება და დაფინანსება.</p> <p>პროგრამა მოიცავს: სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარებას, დაფინანსებასა და ხელშეწყობას, მასობრივი სპორტის განვითარებას, სპორტის ეროვნული სახეობების დანერგვა-პოპულარიზაციას, სპორტულ-გამაჯანსაღებელი პროექტების განხორციელებას, შშმ პირების ხელშეწყობასა და მათ სრულფასოვან ინტეგრაციას საზოგადოებაში, ახალგაზრდული საქმიანობის მხარდაჭერას, ახალგაზრდულ პროექტებზე მომუშავე ორგანიზაციების პროექტების ფინანსურ მხარდაჭერას, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში არაფორმალური განათლების მხარდაჭერას, ახალგაზრდული თვითმმართველობების გაძლიერებასა და ახალგაზრდული სივრცეების მოწყობას, ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდას გასართობ-შემეცნებით-სპორტულ აქტივობებში. ახალგაზრდული პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსებას, ქალების ჩართვას სხვადასხვა აქტივობებში, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობას, მოხალისეობრივი საქმიანობის მხარდაჭერას, ახალგაზრდების ნიჭისა და უნარების განვითარებას, მათი მოტივაციის ამაღლებას, მოხალისეობრივ საქმიანობაში ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდას, ახალგაზრდების გართობა-დასვენების და კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის შესაძლებლობების გაზრდას.</p>			
მოსალოდნელი შედეგი	<p>ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, ნიჭიერი ინტელექტუალი ახალგაზრდების გამოვლენა და წახალისება;</p> <p>ნიჭიერი სპორტსმენი ახალგაზრდების გამოვლენა;</p> <p>არაფორმალური განათლების ხელშეწყობა;</p> <p>სპეციალური საჭიროების მქონე შშმ ახალგაზრდების და უმცირესობათა ჯგუფების წარმომადგენელი ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდა;</p> <p>ახალგაზრდების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში;</p> <p>ახალგაზრდებზე მომუშავე ორგანიზაციების მხარდაჭერა;</p> <p>ახალგაზრდებისთვის საგანმანათლებლო, სპორტულ-გამაჯანსაღებელი, გარემოს დაცვითი ღონისძიებების და პროექტების მხარდაჭერა.</p>			

№	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
---	--------------------	----------------------	------------------------	--------------------------------	-----------------

შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	1	ჩატარებული სპორტული ღონისძიებების რაოდენობა:	საშუალო წლიური მონაცემი: სპორტული - 12; საგანმანათლებლო - 10;	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	10%	მოსწავლეთა მომართვიანობა
	2	სპორტულ შეჯიბრებებში ჩაბმულ ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობა - 1000-მდე;	წლიურად საშუალოდ 1000-მდე ბავშვი და მოზარდი	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	10%	მოსწავლეთა მომართვიანობა
	3	ახალგაზრდულ კონკურსებში და ღონისძიებებში ჩაბმულ ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობა	წლიურად საშუალოდ 6000-მდე ბავშვი და მოზარდი	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	10%	მოსწავლეთა მომართვიანობა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მინი სპორტული მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაცია	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 01 03		50.0	350.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის განათლების, ძველთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია ბავშვთა და მოზარდთა სპორტის განვითარებისათვის სპორტული მატერიალური-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, ფიზიკურად ძლიერი და ჯანმრთელი ახალგაზრდა თაობის აღზრდის ხელშეწყობა. ახალი მინი სპორტული მოედნების მოწყობა და არსებულის რეაბილიტაცია. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქ. ზუგდიდის მაცხოვრისკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, ლაზის ქუჩაზე არსებული მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია			
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	რეაბილიტირებულია სპორტული ინფრასტრუქტურა და შექმნილია თანაბარხელმისაწვდომი ფიზიკური გარემო ახალგაზრდებისა და მოზარდი თაობის წვრთნისა და სპორტული მომზადებისათვის			

	№	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	1	რეაბილიტირებული და ახალი შექმნილი მინი სპორტული მოედნების რაოდენობა	2 ობიექტი	1 ობიექტი	5%	არშემდგარი ტენდერი
	2	ობიექტებით მოსარგებლეთა რაოდენობა	საშუალოდ 5000 ადამიანი.	საშუალოდ 3000 ადამიანი	5%	არშემდგარი ტენდერი

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ხელოვნებისა და კულტურის ხელშეწყობის პროგრამა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01		1,550.0	6,800.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<ul style="list-style-type: none"> ა.ა.ი.პ. „ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი“ სტრუქტურა შედგება: მიხეილ (მაცი) ხორავას სახ. სამხატვრო გალერეას, ადგ. მუზეუმებს და ჩხორის სამოყვარულო თეატრის და კულტურის განვითარების განყოფილებისგან. წლის განმავლობაში ხორციელდება სხვადასხვა პროექტები, რაც ხელს უწყობს ქართული ფოლკლორის აღორძინებას, ენთოგრაფიული მემკვიდრეობის შენარჩუნებას, განვითარებას და პოპულარიზაციას. ფოლკლორული ჯგუფების ხელშეწყობას, ქართული ხალხური სიმღერების აღდგენას და შენარჩუნებას. ხალხური ცეკვის სასცენო დამუშავების (დადგმის) მხატვრული კანონების დაცვას და მისი წარმომავლობისა კუთხური თავისებურებების (მოდრაობა, ილეტები, შესრულების მანერა) გათვალისწინებით. ასევე სახელოვნებო ნიჭით დაჯილდოებული პირების გამოვლენას, დეაქტივიზაციის ხელოვანი ადამიანების წარმოჩენას. ლიტერატურულ-თეატრალური წარმოდგენების გამართვას, მუდმივად სხვადასხვა მხატვრების ექსპოზიციების და თემატური გამოფენების გახსნას, რაც ხელ უწყობს სახვითი ხელოვნების განვითარებას. ადგილობრივი მუზეუმების შენარჩუნება და განვითარება, რაც ხელს უწყობს ახალგაზრდებში ინტერესების გაღვივებას ეროვნული ფასეულობებისადმი და ჩვენი კულტურული მემკვიდრეობისადმი 			
მოსალოდნელი შედეგი	<p>საზოგადოების სხვადასხვა ფენებისათვის კულტურული ფასეულობებისა და ღირებულებების ფართო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;</p> <p>მოსახლეობის ინტელექტუალურ-შემეცნებითი დონის ამაღლება ხელოვნების სხვადასხვა დარგის მიმართულებით;</p> <p>ქართული ხალხური ფოლკლორის ტრადიციების წარმოჩენა, ამ ჟანრის პოტენციური შესაძლებლობების განვითარება და პოპულარიზაცია;</p> <p>თეატრალური ხელოვნებით საზოგადოების დაინტერესება;</p> <p>მუნიციპალიტეტში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების შენარჩუნება, განახლება და შევსება, სამუზეუმო საქმიანობის პოპულარიზაცია; სამხატვრო გალერეის ბაზაზე მხატვართა ნამუშევრების, ხელოვნების სხვადასხვა ნიმუშების გამოფენების, მწერლებთან და სხვა დარგის ხელოვან ადამიანებთან შემოქმედებითი საღამოების მოწყობა.</p>			

შუალედური შედეგი (OUTPUT)	2023 საბაზისო	2024	2025	2026	2027	სტრატეგიული მიზანი	შეფასების მაჩვენებელი
კულტურული ღონისძიებების რაოდენობა	46	44	50	50	50		
ადგ. მუზეუმებში ვიზიტორთა რაოდენობა	7000	11000	12000	12000	12000		
სამოყვარულო თეატრის მიერ დადგმული სპექტაკლების რაოდენობა	3	3	3	3	3		
კულტურულ ღონისძიებებში ბენეფიციართა რაოდენობა	5000	5500	6000	6000	6000		

ღონისძიების შუალედური შედეგის ინდიკატორები ფორმა N3-3

მოსალოდნელი შუალედური შედეგი (OUTPUT)	შედეგის ინდიკატორები			ზომისერთეული	გეგმიური გადახრა	მონაცემთა წყარო	მეთოდოლოგია	რისკი
	დასახელება	2023 წელი (საბაზისო)	2024 წელი					
კულტურული თვითმყოფადობის გაღრმავება; კულტურის სფეროს დარგების განვითარება და მათი პოპულარიზაცია; შემოქმედებითი პროცესების ხელშეწყობა.	კულტურული ღონისძიებების რაოდენობა	46	44	ცალი		ა.ა.ი.პ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი“	სტატისტიკური აღრიცხვა	
	ადგ. მუზეუმებში ვიზიტორთა რაოდენობა		1500	პირი			სტატისტიკური აღრიცხვა	
	სამოყვარულო თეატრის მიერ დადგმული სპექტაკლების რაოდენობა	3	3	ცალი			სტატისტიკური აღრიცხვა	
	კულტურულ ღონისძიებებში ბენეფიციართა რაოდენობა	5000	5500	პირი			სტატისტიკური აღრიცხვა	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის პროგრამა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 02 02		100.0	550.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ძეგლთა დაცვის განყოფილება			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის პროგრამა ითვალისწინებს მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიშნის მქონე ობიექტების გამოვლენას, მოვლა - შენახვას და სახელმწიფო დაცვის ქვეშ მოქცევას. კულტურული მემკვიდრეობის სფეროში სამეცნიერო-პოპულარული პუბლიკაციების გამოცემას, არქეოლოგიური გათხრების და ექსპედიციების მოწყობის ღონისძიებების ორგანიზებას, კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების სამიეზო ექსპედიციების ჩატარებას, კულტურული მემკვიდრეობის ნიშნის მქონე ცალკეული ნიმუშების რესტავრაცია-რეაბილიტაციას, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების საადაპტაციო სამუშაოების შესრულებას, ექსპოზიცია - გამოფენების ორგანიზებას, შემეცნებითი ხასიათის ექსკურსია-ლაშქრობების მოწყობას, მოსწავლე -ახალგაზრდებში სამეცნიერო კვლევითი კონფერენციების ორგანიზებას და პოპულარიზაციას; სავლე-არქეოლოგიური სამუშაოების დაგეგმვა-განხორციელების გზით არქეოლოგიური კვლევა-ძიების თანამედროვე მეთოდოლოგიისა და აქტუალური პროცესების გაცნობას, ახალგაზრდებში პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რომ ისტორიისა და არქეოლოგიის მიმართულების სტუდენტებმა შეძლონ გამოცდილ არქეოლოგებთან ერთად აწარმოონ გათხრები, მოიპოვონ არქეოლოგიური მასალები და დაამუშაონ ისინი შესაბამისი წესით, რაც ხელს შეუწყობს არქეოლოგთა მომავალი თაობების ჩამოყალიბებას და ა.შ.</p> <p>კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გადარჩენის მიზნით სხვადასხვა დონორ ორგანიზაციებში საპროექტო წინადადებების წარდგენა და თანადაფინანსების მოპოვება.</p> <p>კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში მოღვაწე საერთაშორისო ორგანიზაციებთან პარტნიორული თანამშრომლობა.</p>			
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება			
მოსალოდნელი შედეგი	მოსალოდნელია მრავალი ახალი კულტურული მემკვიდრეობის ნიშნის მქონე ობიექტის თუ არტეფაქტების გამოვლენა, მათი პოპულარიზება და სამეცნიერო მიმოქცევაში შეტანა. ტურისტულად საინტერესო ობიექტების და ნიმუშების გამოვლენა და მიმზიდველი გარემოს შექმნა. გაიზრდება კულტურული მემკვიდრეობის ნიშნის მქონე ობიექტების დაცვის მექანიზმი. განადგურების პირას მყოფ ძეგლებს ჩაუტარდება რეაბილიტაცია. გამოვლინდება ახალი ობიექტები. გაიზრდება მათი ცნობადობა. ძეგლები ჩაერთვებიან სხვადასხვა ტურისტულ მარშრუტებში და ა.შ. მოხდება ძეგლების რევიტალიზება და კომერციალიზაცია			

შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	№	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
	1	ახალი ობიექტების, აღდგენილი და რესტავრირებული ძეგლების, მემორიალების რაოდენობა	წლიურად საშუალოდ ობიექტი	4	ახალი ობიექტების, აღდგენილი და რესტავრირებული ძეგლების, მემორიალების რაოდენობის ზრდა	5%

	2	რეაბილიტირებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ოდენობა	1 ობიექტი საშუალოდ წლიურად	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება ან ზრდა	10%	რეაბილიტაციის პროცესში საპროექტო მაჩვენებლების ცდომილებით გამოწვეული სახელშეკ
	3	ჩატარებული არქეოლოგიური ექსპედიციების ოდენობა	წლიურად საშუალოდ ექსპედიცია	1 საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება ან ზრდა	5%	გაუთვალისწინებელი გარემოება
	4	უშუალოდ ძეგლის მდებარეობის ზონაში რეგისტრირებული მოსახლეობის, მოწვეული სპეციალისტების, არქეოლოგიურ-გათხრით სამუშაოებში ჩართული მუშახელის და დაინტერესებული ვიზიტორების რაოდენობა;	საშუალოდ 10 000- მდე ადამიანი წელიწადში	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	10%	გაუთვალისწინებელი გარემოება, მოქალაქეთა ნაკლები ინტერესი

პროგრამის დასახელება	კოდი	საბიბლიოთეკო დარგის განვითარების პროგრამა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 02 03		950.0	4,250.0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი			
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი შედგება ერთი ცენტრალური ბიბლიოთეკისაგან, სამი საქალაქო და 27 სასოფლო ბიბლიოთეკა-ფილიალისგან. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი 2024-2027 წლებში იზრუნებს მკითხველთა სწრაფი და სრული დაკმაყოფილებისთვის მათთვის საჭირო ინფორმაციისა და საბიბლიოთეკო დოკუმენტების მიწოდების კუთხით (ბეჭდური, ხელნაწერი და ინფორმაციის შემცველი სხვა მასალები); სხვადასხვა პროექტების განხორციელებით აამაღლებს ბიბლიოთეკების როლს საზოგადოების ინფორმირებულობის, მეცნიერების, კულტურის, განათლებისა და ინტელექტუალური დონის ზრდის საქმეში. ამ მიზნით სხვადასხვა შემეცნებით ღონისძიებებს განახორციელებს: შემოქმედებით საღამოებს, შეხვედრებს თანამედროვე ავტორებთან, ჩამოაყალიბებს კლუბებს საზოგადოების, განსაკუთრებით მოსწავლე-ახალგაზრდობის მონაწილეობით, მოეწყობა კინო ჩვენებები, გასვლითი კულტურული ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს მკითხველების/მომხმარებლების დასვენებას წიგნის გარემოში; ჩატარდება ფოტო გამოფენები, ფესტივალები, როგორც ბიბლიოთეკებში, ასევე ღია სივრცეებში, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების წიგნიერების, შემოქმედებითი პოტენციალის ზრდას. ამით ბიბლიოთეკები მოიზიდავენ მკითხველებს და შესაბამისად გაიზრდება მათი რიცხვი. საბიბლიოთეკო სისტემის წიგნადი ფონდის შემადგენლობის გაუმჯობესების მიზნით მოხდება წიგნების შესყიდვა, ცენტრალური ბიბლიოთეკა იმუშავებს მხარეთმცოდნეობითი ციფრული ბიბლიოთეკის ბაზის შექმნაზე, გაგრძელდება ადგილობრივი პერიოდული პრესის ანალიტიკური აღწერა და გამოსაცემად მომზადება თემების მიხედვით; ცენტრალური ბიბლიოთეკა ხელს შეუწყობს მეცნიერებს, მკვლევარებს იმუშაონ ადგილზე იონა მეუნარგიას სახელობის მხარეთმცოდნეობით დარბაზში.</p>			
მოსალოდნელი შედეგი	<ul style="list-style-type: none"> • ბიბლიოთეკების უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფა; • საზოგადოების ინტელექტუალური დონის ამაღლება; • საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის განახლების გზით მოსახლეობის წიგნისადმი დაინტერესება; • ბიბლიოთეკის მასობრივ ღონისძიებებში მონაწილეობით მოზარდებში წიგნისადმი ინტერესის გაღვივება; • ცენტრიდან დაშორებული სოფლების მოსახლეობის საინფორმაციო და წიგნით მომსახურების გაზრდა; • თანამშრომლების საქმიანობის პროდუქტიულობის ზრდა. 			

	№	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	1	წიგნითა და ინფორმაციით სარგებლობის რაოდენობა	45000-მდე მოსარგებლე	47000-მდე	10%	მომხმარებელთა მომართვიანობა
	2	მკითხველთა/მომხმარებე ლთა რაოდენობა	13000-მდე	14000-მდე	10%	მომხმარებელთა მომართვიანობა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024-2027 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 02 04		550.0	2,290.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს შემდეგ ღონისძიებებს: სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელი, ჩვენი ქალაქის დამსახურებული ქალბატონების დაფასების მიზნით დედის და ქალთა საერთაშორისო დღე „მარტის თვეა შენი ...“, პირველი ქართული რეფერენდუმისა და ზვიად გამსახურდიას დაბადების დღე, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და 9 აპრილის ტრაგედიის დღე, 26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, საქართველოს უახლესი ისტორიის ყველაზე ტრაგიკული სოხუმის დაცემის დღე, 2008 წლის 8 აგვისტოს ომში დაღუპულთა ხსოვნის დღე, ლიტერატურულ სადამოეზო, ცნობილი ავსტრიელი მწერლისა და პაციფისტის, ნობელის მშვიდობის პრემიის პირველი ქალი ლაურეატის ბერტა ფონ ზუტნერის მშვიდობის პრემიის დაჯილდოების ცერემონიალი, „აფხაზეთობა“, 1924 წლის აჯანყებაში მონაწილე დახვერტილ მამულიშვილთა ხსოვნის დღე, ზუგდიდელ მწერალთა და შემოქმედთა ხელშეწყობის და პოპულარიზაციის მიზნით საგამომცემლო(ლიტერატურული) საქმიანობის დაფინანსება, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, ვეფხისტყაოსნის საჯარო კითხვის დღე, სახელოვანი ზუგდიდელი ლოტბარის პოლიკარპე ხუბულავას სახელობის ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი „კოლხი და...“, ზუგდიდობა, საპატიო ზუგდიდელის წოდების მინიჭება, საახალწლო და საშობაო ღონისძიებები.</p> <p>სადღესასწაულო კულტურული ღონისძიებების, ადგილობრივი, ქვეყნის შიდა და საერთაშორისო ფესტივალების, ფორუმების, საქველმოქმედო აქციების, შემოქმედებითი სადამოეზო, კონცერტების დაგეგმვა და ორგანიზება; ნიჭიერი შემოქმედებითი ადამიანებისა და ჯგუფების წარმოჩენა და პოპულარიზაცია, მონაწილეთა მასობრიობა, წელიწადის ყველა ღირსშესანიშნავი დღისა და დღესასწაულის აღნიშვნა ღონისძიებებით. თეატრის, კინოს, კლასიკური, საოპერო და საესტრადო მუსიკის, ქორეოგრაფიის, სახვითი, გამოყენებითი ხელოვნებისა და ხელოვნების ტრადიციული დარგების განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, საგამომცემლო</p>			

	<p>საქმიანობის ხელშეწყობა, შენარჩუნება, დაცვა და პოპულარიზაცია. ხელოვნების სხვადასხვა დარგების განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. კულტურულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობის მიზნით საზოგადოებაში მოტივაციის ამაღლება. ისტორიულად, რელიგიურად და კულტურულად ჩამოყალიბებული ეროვნული ტრადიციების დაცვა და განმტკიცება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საბიბლიოთეკო სისტემის განვითარება და მისთვის მეთოდური დახმარების გაწევა. ადგილობრივ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა საიუბილეო თარიღების აღნიშვნა, ხელოვანების საღამოების მოწყობა, შემოსული მცირე პროექტების ხელშეწყობა.</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>დასვენებისა და გართობის კულტურის ჩამოყალიბება, საზოგადოების მოტივირება და კულტურული ფასეულობების დაცვა-პოპულარიზების საქმეში გამოვლენილი საინტერესო იდეების ხელშეწყობა.</p>

	№	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	1	კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიებების რაოდენობა	საშუალოდ 40-მდე ყოველწლიურად	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	10%	კორონავირუსის პანდემია
	2	დაფინანსებული პროექტების მაჩვენებელი.	საშუალოდ 5 წლიურად პროექტი	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	15%	მომართვიანობის ნაკლებობა

